ლელო

ვალერიან გელეიშვილის ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ივლისი ორშაბათი 2012 №160 (13 766) ფასი 80 თეთრი

ლონდონში ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა **18** დღე

გრიშიკაშვილი VS დინამო
არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ...

3

სკანდალი

საფრანგეთს თბილისში დეშამი ჩამოიყვანს

მეტოქე 5

ამჯერადაც როჯერი

ფედერერის მეშვიდე უიმბლდონი და 286-ე კვირა პირველ საფეხურზე

ჩოგბურთი 14

ამერიკული ოცნება ლონდონისკენ დაიძრა

ოლიმპიადა 15

სანიკიძის დასტური: SIENIS MONTEPASCHI

ესეც შესანიშნავი შვიდეული

ზაიზენბახერის 4+3 და ოლიმპიური გუნდიც მზადაა

ძიუდო 10

შენგელია ვარსკვლავია

თორნიკემ ბრუკლინის მწვრთნელი უკვე მოხიბლა

კალათბურთი 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● სამზადისი

გოლების წვიმა ბასაზე

გუშინ ეროვნული ნაკრების საწვრთნელ ცენტს "ბასაზე" გორის "დილამ" საკონტროლო შეხვედრა უმაღლესლიგელ "ვიტ ჯორჯიასთან" ჩაატარა და დიდი ანგარიშით 6:3 დაამარცხა.

გორელები ევროლიგაზე "ორჰუსს" 19 ივლისს შეხვედებიან და უკეთ მომზადებულები არიან. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ "სპარტაკთან" ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ, ეს შეხვედრა აქტიურად და იღბლიანად დაიწყეს და დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ **თემურ შალამბერიძისა** და **გია ცეცაძის** განვრთნილები ოპტიმალურ ფორმაში შედიან.

ანგარიში მე-2 წუთზე გაიხსნა: **გოგიტა გოგუას** გადაცემა **გიგა ბეჭვაიამ** გამოიყენა – 1:0.

მალე დუბლი შეასრულა **მათე ვაწაძემ**, ტაიმის მიწურულს კი მეტოქის კარი **გოგიტამ გოგუამ** აიღო - 4:0.

ვეტერინარებიდან თავი **ბესიკ ჩიმაკაძემ** გამოიჩინა, რომელმაც ჩინებულად შეასრულა საჯარიმო - 4:1.

მეორე ტაიმში "ვიტ ჯორჯია" გამოცოცხლდა. მართალია, პირველი გოლი შეცვლაზე შესულმა გორელთა თავდამსხმელმა **ირაკლი მოდებაძემ** გაიტანა (5:1), მაგრამ შემდეგ "დილას" კარში ორჯერ დაინიშნა პენალტი: პირველი ისევ ჩიმაკაძემ გამოიყენა, მეორე კი **გიორგი ვასაძემ** – 5:3.

მატჩის მიწურულს მესამე თერთმეტმეტრიანი "ვიტ ჯორჯიას" კარში დაინიშნა, რომელიც **სანდრო გურულმა** გამოიყენა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

დილა-ვიტ ჯორჯია 6:3 (4:1)

1:0 ბეჭვაია (1), 2:0 ვაწაძე (9), 3:0 ვაწაძე (29), 4:0 გოგუა (41), 4:1 ჩიმაკაძე (44), 5:1 მოდებაძე (51), 5:2 ჩიმაკაძე (69), 5:3 ვასაძე (78), 6:3 გურული (82).

"დილა": სკენდერი – შაშიაშვილი, სალუქვაძე, თომაშვილი, კვირკველია – ბეჭვაია, არზიანი – ალადაშვილი, გრიგალაშვილი, გოგუა - ვაწაძე

შეცვლა: 6. ჯიშკარიანი, ინწკირველი, ონიანი, კაშია, გვალია კაციტაძე, ახალკაცი, გურული, გორელიშვილი, მოდებაძე.

"ვიტ ჯორჯია": **რეჭია (46. დაუშვილი) - ხუციელავა, გოგიაშვილი, გეთიაშვილი (46. ტეტუნაშვილი), ღანიაშვილი (46. ჯავაშვილი) - კასრაძე (61. დავლაშელიძე), გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე (71. ჯუღელი), ჩიმაკაძე (86. ჯაყელი), ზაქრაძე (61. კუხალეიშვილი).**

კვლავ ვერ ითამაშა ტრავმირებულმა **რევაზ ბარაბაძემ, გიორგი ილურიძე მკურნალობას** ასრულებს, მაგრამ ჯერ ჭირს იმის თქმა, შეძლებს თუ არა ევროლიგაზე თამაშს. საბედნიეროდ, მძიმე არ აღმოჩნდა გორელთა თავდამსხმელის **გიორგი კახელიშვილის** ტრავმა, რომელიც "სპარტაკთან" დაშავდა და მოედნიდან გასაყვანი გახდა – გიორგი მინდორს მალე დაუბრუნდება.

მერაბ მამულაშვილი

ფოტო: fcdila.ge

ზესტაფონისა და ნეფთჩის რუმინული ბესტი

საქართველოს ორგზის ჩემპიონი "ზესტაფონი" ავსტრიულ შეკრებას აგრძელებს. უქმეებზე ფეროელები დაბა უტენდორფში ბუქარესტის "სტიაუას" გაეჯიბრნენ და უგულო ფრეს დასჯერდნენ.

"ზესტაფონის" ვებგვერდის ცნობით, უპირატესობას **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი ფლობდა, რუმინელები კი კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას.

შეგახსენებთ, რომ "სტიაუა" რუმინეთის ყველაზე ტიტულოვანი კლუბია, 2011/12 წლების სეზონში კი რუმინეთის ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავიდა.

"ზესტაფონმა" ბუქარესტელებთან ამ შემადგენლობით ითამაშა:

რ.კვასხვაძე (მამალაძე, 69), ღონღაძე (ბენაშვილი, 69), კობახიძე (კაჭკაჭიშვილი, 69), საჯაია (თედო გრიგალაშვილი , 46), ელიავა (თორნიკე გრიგალაშვილი, 69), მენთეშაშვილი (მუჯირი, 46), გორგიაშვილი (რაჟამაშვილი, 72), აფციაური (ბაბუნაშვილი, 62), შარიქაძე (სამუშია, 75), ოვონიკოკო (სარდალიშვილი, 62), დვალი (გუგუჩია, 62).

17 ივლისს "ზესტაფონი" უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრაში აზერბაიჯანის ჩემპიონ "ნეფთჩის" შეხვდება. ბაქოელები ახლა ავსტრიაში არიან შეკრებაზე და ბოლოს ასევე რუმინულ გუნდს ეთამაშნენ – ბუქარესტის "დინამო" 2:0 დაამარცხეს, გოლები **ჯავიდ იმამვერდიევმა** და სიერალეონელმა ლეგიონერმა **ჯულიუს ვობაიმ** გაიტანეს.

"ძალიან გახარებული ვარ, რომ მოვიგეთ, ეს შედეგი ერთობ მნიშვნელოვანია ჩემპიონთა ლიგაზე "ზესტაფონთან" მატჩის წინ და ხელს შეგვიწყობს, რომ ამ შეხვედრისთვის კარგად მოვემზადოთ" – უთხრა აზერბაიჯანულ მედიას "ნეფთჩის" მთავარმა მწვრთნელმა **ბუიუქაღა გაჯიევმა.**

მომდევნო საკონტროლო მატჩს "ზესტაფონი" 10 ივლისს გამართავს ჩეხეთის ჩემპიონ "ლიბერეცთან".

დავით თავართქილაძე

ფოტო: fczestafoni.ge

● გამოხმაურება

ყაზახები გადიდგულდნენ: ქუთაისში ფრეს არ ველოდით

სამწუხაროა, რომ ევროპის ლიგაზე ქუთაისის "ტორპედომ" დამაჯერებელი ფეხბურთი ვერ აჩვენა და "აქტობესთან" მხოლოდ ფრეს დასჯერდა. 1:1 შემდეგ ეტაპზე გასვლის უფრო მეტ შანსს მეტოქეს უტოვებს და რაც მთავარია, კიდევ ერთხელ მოხდა ის, რაც ყველაზე დასანანია – მეტოქეს ისტორიის დაწერაში ვეხმარებით.

"ფრე, რომელიც გვანყობდა" – ასეთი სათაურით დაიბეჭდა წერილი ყაზახურ ინტერნეტგვერდ "სპორტსზე", სადაც აშკარად იგრძნობოდა, რომ ყაზახები ჩვენთან გადიდგულდნენ.

"ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრები და სპეციალისტები "აქტობესგან" ქუთაისში, მინიმუმ, ფრეს მაინც ველოდით. ამ მინიმუმს აქტობელებმა საქართველოში მიაღწიეს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაშავდა თავდამსხმელი ალექსანდრე გეინრიხი, რომლის ფუნქციებსაც მისმა უზბეკმა თანამემაულემ, ნახევარმცველმა მარატ ბიკმაევმა მშვენივრად გაართვა თავი და ანგარიში გაათანაბრა. 1:1 გასვლაზე ყაზახური კლუბისთვის სავსებით კომფორტული ანგარიშია. ვერაფრით გავუგებ აქტიუბინსკელებს, ისევე როგორც ერთი წლის წინ, მეტოქეს ევროპის ლიგის შემდეგ ეტაპზე თუ გაუშვებენ" – წერს ყაზახი ჟურნალისტი.

ვახ, მართლაც, დრონი, დრონი. სამწუხაროდ, ყაზახებს უკვე ქართველებთან დამარცხება ეთაკილებათ. აღარ ღირს ახლა იმის შეხსენება, იყო დრო, ჩვენთან მინიმალური ანგარიშით ნაგებაც ახარებდათ. მაგრამ ჩვენივე ბრალიც არის და აზიელების გამდიდრების შედეგიც: ამ არასაფეხბურთო ქვეყნის ფეხბურთში იმხელა ფული დააბანდეს, ნელ-ნელა მადაზე მოვიდნენ და რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძის, თამაზ კოსტავას, რევაზ ძოძუაშვილის, ძმები ნოდიების, მალხაზ ასათიანისა და მიხეილ აშვეთიას გამზრდელ კლუბთან გასვლაზე ფრე ლოგიკური ჰგონიათ.

მაგრამ მაინც, ჩვენი მწირი ფინანსებითაც შესაძლებელია მათი ძლევა. შარშან რუსთავის "მეტალურგმა" პავლოდარის "ირტიშთან" ეს შეძლო, ქუთაისელებსაც არ აქვთ იმედი გადაწურული – "აქტობე" გრანდი არ არის და ქუთაისშიც გამოჩნდა, რომ მეტი სითამამით მათი დამარცხება შეუძლებელი არ იყო.

_ ახლა ყაზახები "აქტობესგან" მოგებას ელიან და კარგი იქნება, იმედს თუ გავუცრუებთ - ეს ჩვენი ღირსების საქმეა.

მერაბ მამულაშვილი

● ლეგიონი

ცხადაძეს რომ აზერბაიჯანის ნაკრებში ეთამაშა...

გიორგი ადამია

კახა ცხადაძის ბაქოს "ინტერმა" პირველ ეტაპზე ესტონეთში "ტრანსი" 5:0 გაანადგურა, შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობა ნაადრევად გაარკვია და განმეორებითი ფორმალური მატჩის შემდეგ ბერძნულ ტრიპოლისის "ასტერასს" შეხვდება.

ბერძნული კლუბის მთავარი მწვრთნელი **გეორგიოს ხერიდისი** ესტონეთში მატჩს დაესწრო და ქართველებით გადატენილ კლუბზე შეხვედრის შემდეგ კომენტარი გააკეთა. ახლა კი "აზერისპორტმა" მისი ვრცელი ინტერვიუ გამოქვეყნა, სადაც ბერძენთა დამრიგებელმა ხელმეორედ ისე ახსენა "ინტერის" ქართველი თავდამსხმელი **გიორგი ადამია**.

"დასამალი რა არის, "ინტერზე" მწირი ინფორმაციის გამო ბევრი არაფერი ვიცოდი. ვფიქრობდი, რომ "ინტერი" გაიმარჯვებდა, მაგრამ მეტოქის გარკვევას მეორე შეხვედრის შემდეგ ველოდი. აღმოჩნდა, რომ რეალურად "ინტერი" საბერძნეთის სუპერლიგის დონის კლუბია. ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, ძალიან მომწონა გიორგი ადამია. ეს ცალსახად შემიძლია გითხრათ. ის გუნდში ყველაზე სახიფათო მოთამაშეა, სწრაფია და მცველებს თავბრუს ახვევს და "ასტერასისთვის" რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. მომწონს სლავჩო გეორგიევსკი, მაგრამ რადგან ადამია თავდამსხმელია, ის უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს.

... ძალიან მომეწონა გუნდის ორგანიზაცია, რა სწრაფად ახერხებდა "ინტერი" დაცვიდან შეტევაში გადასვლას. მაგრამ ჩემი აზრით, ბაქოელთა სისუსტე დაცვის ცენტრშია. ზეწოლით მისი ნაკლი ვლინდება და ამის გამოყენებას შევეცდებით... მიმაჩნია, რომ ჩვენს დაპირისპირებაში შანსები 50/50-ზეა. წელს ევროთასებზე დებიუტი გვაქვს და შევეცდებით, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდეთ," – ამბობს ხერიდისი.

კახა ცხადაძემ კი "ექსტრატაიმში" გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხა. საინტერესო გამოდგა კითხვა იმ თემაზე, რაზეც აზერბაიჯანულ მედიაში ხშირად ინერება – ფაქტია, რომ კარგი მწვრთნელი ბრძანდებით, მაგრამ ადგილობრივ ადათ-ჩვევებს პატივს არ სცემთ და ზოგჯერ ცუდადაც ავლენთ თავს, რაც სატელევიზიო რეპორტაჟებშიც ბევრჯერ გამოჩნდაო: *"ფეხბურთი ემოციური სპორტია და შეუძლებელია, რეაგირება არ მოახდინა უსამართლობასა და რიგ გადაწყვეტილებებზე. ყველა მწვრთნელი თავისებურად ნერვიულობს. ერთი მშვიდად ზის სათადარიგოთა სკამზე, მეორე კატეგორია კი ემოციურად რეაგირებს მომხდარზე. მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი მოედანზე უნდა დარჩეს. მე კი არ მაქვს პრობლემა არც მწვრთნელებთან და არც იმ ჟურნალისტებთან, რომლებიც მოულენებს ობიექტურად აშუქებენ და ჩვენს თამაშს სამართლიანად აკრიტიკებენ".*

საინტერესო იყო ეს კითხვაც – რა რეაქცია გექნებოდათ, თქვენს ვაჟს აზერბაიჯანის ნაკრებში თამაში რომ შესთავაზონო?

"ჩემი შვილი საკუთარ ბედს თავისით გადაწყვეტს. ის უკვე ზრდასრული ადამიანია და მის ცხოვრებაში არ ვერევი" – ამბობს ცხადაძე და ამ დიპლომატიური მანევრით პასუხი თავიდან აიცილა.

მერაბ მამულაშვილი

● სამზადისი

კოლხეთი ზღვისპირეთში რჩება

დამდეგი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს ფოთის "კოლხეთიც". გუშინწინ ფოთელები ურეკში "ბათუმს" გაეჯიბრნენ და 0:2 დამარცხდნენ. 21-ე წუთზე ანგარიში **ირაკლი ცნობილაძემ** გახსნა, 48-ე წუთზე კი თავი **ვალერიან თევდორაძემ** გამოიჩინა.

"კოლხეთმა" მანამდეც ითამაშა ამხანაგური მატჩები: "ოზურგეთთან" და "ხობთან" 2:2, იმავ "ბათუმს" კი 3:1 მოუგო.

ფოთელთა რიგებში ახლა საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი ისინჯება, წინა ნაკადიდან არც თუ ცოტა დაითხოვეს, მოკლედ, ამ ეტაპზე "კოლხეთი" საკონტროლო შეხვედრებს ფაქტობრივად სელექციისთვის იყენებს.

მომდევო ტესტმატჩს **დათო მახარაძის** გუნდი 12 ივლისს გამართავს ლანჩხუთის "გურიასთან". ფოთელებს შეკრებაც დაგეგმილი აქვთ – 23 ივლისდან 4 აგვისტომდე ურეკში მოემზადებიან.

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სკანდალი

გრიშიკაშვილი VS დინამო

არ მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ...

სოსო გრიშიკაშვილს "დინამო თბილისი" ძალიან ცუდად მოექცაო – ეს ამბავი პირველად გურამ კაშიასგან შევიტყვე და სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიკვირდა...

გრიშიკაშვილი ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე იყო, თბილისის "დინამოშიც" არაერთი სეზონის უთამაშია, ბოლოს "დინამოში" ცხინვალის "სპარტაკიდან" გადავიდა, წინა სეზონში "დინამოში" იყო, მაგრამ...

გრიშიკაშვილის ამბავი ძალიან საყურადღებოა, ეს არ არის მხოლოდ სკანდალი, აქ ისეთი ადამიანური და პროფესიული ნიუანსები იკვეთება, რომ ყველაფერი ძალიან დიდ მნიშვნელობას იძენს...

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გრიშიკაშვილთან ინტერვიუს გთავაზობთ...

- მაინც რა მოხდა, საიდან დაიწყო ეს ამბავი?

- შარშან აგვისტოში გამირთულდა ტრავმა, მარჯვენა მხრის სახსარმა ძალიან შემაწუხა, გამოკვლევამ აჩვენა, რომ კუნთი 18 სანტიმეტრით იყო გაწყვეტილი, ოპერაციის გაკეთება კი მხოლოდ ნოემბერში მოვახერხე.

- რატომ გაჭიანურდა ოპერაციის გაკეთება?

- "დინამოში" მპირდებოდნენ, დღესხვალ გაგიკეთებთ ოპერაციასო, მერე კი მითხრეს, კლუბი ოპერაციას არ გაგიკეთებსო. ზურაბ პოლოლიკაშვილი და გია ნემსაძე ამ საკითხს დამოუკიდებლად ვერ წყვეტდნენ, თორემ გვერდში დგომის სურვილი ნამდვილად ჰქონდათ. კიდევ ერთ-ერთ, ჩემით მოვაბამ ამ ყველაფერს-მეთქი თავს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მე რა ოპერაციაც მჭირდებოდა, საქართველოში ჯერ არ გაუკეთებიათ და ასეთ რამეს აქ ვერ გარისკავდნენ.

- და რა გადაწყვეტილება მიიღე?

- ალექსანდრე რეხვიაშვილის დახმარებით რიგაში წასვლა გადავწყვიტე, მან მოახერხა და ოპერაცია ფასდაკლებით გამიკეთეს. იქ არის ასეთი ექიმი ვალდის ანდერსონი, რომელსაც 29 ასეთი ოპერაცია აქვს გაკეთებული ენ-ეიჩ-ელის ჰოკეისტებისთვის. მან მითხრა, ასეთი მწვავე ფორმა ჯერ არ შემხვედრიაო და მართლაც, უკვე იქამდე იყო საქმე მისული, რომ ცოტაც და განგრენა დამწყებოდა.

- როგორ ფიქრობ, "დინამოს" ხელმძღვანელობამ გულთან ახლოს რატომ არ მიიტანა შენი მდგომარეობა?

- ყველაზე საწყენი სწორედ ის არის, რომ არაერთი წელი გამიტარებია "დინამოში" და ასე მომექცნენ, თანაც კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებდა და ტრავმა ვარჯიშზე მივიღე. "დინამოს" პოზიციით გაოგნებული ვარ. მინდოდა კლუბის პრეზიდენტთან შეხვედრა, მაგრამ მითხრეს, შენთან ლაპარაკი არ სურსო.

- მაინც რა თანხა ჯდებოდა შენი ოპერაცია?

- გერმანიაში რომ გამეკეთებინა ოპერაცია, 12 000 ევრო დაჯდებოდა, ლატვიაში კი 6 000 ღირს მარტო ოპერაცია, რასაც რეაბილატიის არც თუ ცოტა ხარჯებიც ემატება, რეაბილატაციას დაახლოებით ერთი თვე სჭირდება. პირველი ოპერაცია რომ გავიკეთე რიგაში, ოთხ საათს გაგრძელდა, ვალდის ანდერსონს სარეაბილატაციო კლინიკაც აქვს, მაგრამ უსახსრობის გამო იქ ვეღარ დავრჩი. ამის გამო მეორედაც შევიქენი საოპერაციო და ისევ როგაში მომიწია ჩასვლა. პირველი ოპერაციის წინ ფინანსურად დამეხმარნენ ალექსანდრე ამისულაშვილი, უჩა ლობჟანიძე და ცხინვალის "სპარტაკის" ფეხბურთელი ლევან ჭაფოძე, მეორე ოპერაციის წინ კი "დინამოს" ფეხბურთელებმა შემიგროვეს გარკვეული თანხა, გოგუა და ოდიკაძე განსაკუთრებულად დამეხმარნენ, ისინი ხომ ჩემი უახლოესი მეგობრები არიან. ვერც მეორე ოპერაციის შემდეგ ვერ დავრჩი რიგაში რეაბილიტაციისთვის, დანიშნულება ჩამოვიტანე და "დინამოს" ექიმ მერაბ ვარძუკაშვულთან და კლუბის ფიზიოთერაპევტებთან ვმკურნალობდი, ცოტა ხანში კი ისეთი რამ მოხდა, რომ...

- კიდევ რაღაც პრობლემა შეგექმნა?

- აპრილი იყო, რომ გამომიცხადეს, დიღმის ბაზაზე მოსვლა აკრძალული გაქვსო, ბოლო თვენახევრის ხელფასიც აღარ მომცეს. ყველა გაოგნებული იყო, ერთხელაც მოვინდომე კლუბის პრეზიდენტთან შეხვედრა და ისევ უარი მივიღე.

- "დინამოსთან" გაფორმებულ კონტრაქტში წერია, რომ ტრავმის შემთხვევაში კლუბმა უნდა დააფინანსოს მკურნალობა?

- რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი წერია, მაგრამ მარტო ამაში ხომ არ არის საქმე, ამის გარდა ადამიანური ფაქტორიც ხომ არსებობს?! მანამდე სად აღარ მითამაშია, რუსეთი, ლატვია, აზერბაიჯანი, სომხეთი, უწინდელი "დინამო" და როცა ტრავმა მიმიღია, კლუბი გვერდში დამდგომია. როცა "დინამოს" სხვა პატრონი ჰყავდა და კლუბს ბუბა ტყავაძე მართავდა, სამკურნალოდ გერმანიაში გამიშვეს, ახლა კი... ვისაც არ მოვუყევი ეს ამბავი, ყველა გაოგნებულია. ცხინვალის "სპარტაკში" რომ დამმართნოდა ასეთი რამ, დარწმუნებული ვარ, დიმიტრი სანაკოევი ყველანაირად გვერდში დამიდგებოდა.

- იურიდიულ მხარეს დავუბრუნდეთ. თუ კონტრაქტში მკაფიოდ გიწერია ყველაფერი, ამის გამოყენებას არ ეცდები?

- მინდოდა, რომ ყველაფერი ამის გარეშე მოგვარებულიყო, ვესაუბრე კლუბის დირექტორ სანდრო შახოვს, მან გულთან ახლოს მიიტანა ჩემი მდგომარეობა, მაგრამ საბოლოოდ არც ამ შეხვედრამ მოიტანა შედეგი. ამის შემდეგ მივედი ფეხბურთის ფედერაციაში და წერილობით დავაფიქსირე ყველაფერი, ძალიან არ მინდოდა ამის გაკეთება, "დინამოში" მპირდებოდნენ, თამაშს თავს რომ დაანებებ, აკადემიაში დაგტოვებთო, ეს არაოფიციალურად იყო ნათქვამი, თუმცა მჯეროდა ამ ყველაფრის. როცა ბაზაზე აღარ შემიშვეს და ხელფასიც შემიჩერეს, მერეღა მივიღე ეს გადაწყვეტილება.

ტრავმიანი ვვარჯიშობდი, როცა შარშან სექტემბერში რუსთავის "მეტალურგთან" თამაშის წინ გიორგი ლორია დაშავდა და ალექს გარსიამ მითხრა, ვიცი შენი დგომარეობა, მაგრამ იქნებ ითამაშო, ასეთი მნიშვნელოვან მატჩზე გამოუცდელ ახალგაზრდას ვერ ჩავაყენებთ კარშიო, ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მარჯვენა ხელს ზემოთ ვერ ვწევდი, მაგრამ "ბლოკადა" გავიკეთე და მაინც ვითამაშე, ეს ისეთი ძლიერი პრეპარატია, ექვს თვეში ერთხელ შეიძლება მისი გამოყენება...

- კონკრეტულად რას ითხოვ "დინამოსგან"?

- მიუხედავად ყველაფრისა, მკურნალობის ხარჯების მხოლოდ 30 პროცენტის ანაზღაურებას. ყველა საბუთი მაქვს, თუ რა დაჯდა ჩემი ორი ოპერაცია.

- გავიგეთ, რომ კლუბმა აქეთ დაგაჯარიმა...

- საახალწლოდ მთელი გუნდი დაგვაჯარიმეს არასასურველი შედეგის გამო. სად არ მითამაშია და ყველაგან მე-13 თვის ხელფასს გვაძლევდნენ საახალწლოდ, აქ კი...

- ფეხბურთელის კარიერას გაგრძელებას ვეღარ შეძლებ?

- დროულად რომ გამეკეთებინა ოპერაცია და სარეაბილატიო პროცესიც რიგიანად გამევლო, იყო ამის შანსი, ახლა კი ეს უკვე შეუძლებელია.

დავით თავართქილაძე

● კომენტარი

შოთა არველაძე აზერბაიჯანელებს: ქალთა ფეხბურთი საქართველოში? ფაქტობრივად, არც არის

აზერბაიჯანში 17-წლამდელ გოგონათა შორის მსოფლიოს 2012 წლის ჩემპიონატის კენჭისყრა გაიმართა. მას თურქული „ქაისერი" ქართველი მთავარი მწვრთნელი შოთა არველაძე დაესწრო და ინტერნეტსააგენტო "ექსტრატაიმს" ინტერვიუ მისცა.

შოთა არველაძე

"ბაქოში მეორედ ვიმყოფები. პირველად ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ჩამოვედი. შეიძლება ითქვას, რომ აქაურობა კი არ შეიცვალა, სრულიად სხვა ქვეყანაში ჩამოვედი. მომეწონა კენჭისყრის ორგანიზება. საქართველოში ქალთა ფეხბურთზე რა მოგახსენოთ, ეს სახეობა ჩვენთან, ფაქტობრივად, არც არსებობს. საერთოდ, ჩვენი ტრადიციები გოგონებს ყოველთვის ხელს უშლიდა, სპორტით პროფესიულად რომ დაკავებულიყვნენ. ვფიქრობ, თქვენთვისაც არ არის უცხო კავკასიელი მამაკაცების მოსაზრება, რომ ქალი, უპირველესად, ოჯახზე უნდა ფიქრობდეს და არა კარიერაზე. ის უნდა იყოს ოჯახის ბურჯი. საქართველოში ცნობილი სპორტსმენი ქალები გვყავდა ჭადრაკში, ჩოგბურთში, მაგრამ ფეხბურთამდე საქმე არასოდეს მისულა," – ამბობს არველაძე.

ინტერნეტსააგენტო "აზერისპორტმა" შოთას კითხვა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე აზერბაიჯანი-საქართველოს ერთობლივ განაცხადზეც დაუსვა: "მრავალი წლის განმავლობაში ვითხოვდი, მეტიც, ვიხვეწებოდი, რომ რომელიმე დიდი ტურნირი ჩვენთანაც გამართულიყო. ჩვენ ორი თვის წინ ვუმასპინძლეთ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ელიტრაუნდს, სადაც ვაჯობეთ ინგლისელებს, უკრაინელებსა და ესპანელებს და ფინალურ სტადიაზეც ვითამაშეთ. ჯგუფური ეტაპის თბილისში მასპინძლობის უფლება რომ არ მოეცათ, ალბათ, ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალამდე ვერ გავაღწევდით. ასეთი გრანდიოზული შეჯიბრებების მასპინძლობაზე პრეტენდენტობა აუცილებელია. ... 2015 წელს თბილისმა ევროპის სუპერთასის მასპინძლობის უფლება მიიღო. უფრო დიდი ტურნირის მასპინძლობის უფლებას კი ახლა თუ არა, 8-10 წლის შემდეგ აუცილებლად მოგვცემენ და მჯერა, ამოცანას თავს გავართმევთ".

შოთამ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე „ზესტაფონისა" და „ნეფთჩის" მომავალ შეხვედრებზეც ილაპარაკა: "საინტერესო დაპირისპირება იქნება. ბოლო დროს, საქართველოს ჩემპიონმა ძალიან მოუმატა და „ნეფთჩის" იოლი თამაშები არ ელის. ვნახოთ, რა მოხდება უშუალო დაპირისპირებისას.

... როგორი ჩანს თურქეთიდან აზერბაიჯანული ფეხბურთი? სიმართლე გითხრათ, თქვენი ფეხბურთისთვის უკეთესი მინდა. გასულ სეზონში მხოლოდ ერთი აზერბაიჯანელი თამაშობდა თურქეთის სუპერლიგაში. აზერბაიჯანულ ფეხბურთზე ბაქოს „ინტერის" მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე ხშირად მიყვება. ისე კი, ბევრი არაფერი ვიცი. თქვენი ნაკრების თამაშებსაც არ ვუყურებ.

გუნდში აზერბაიჯანელის მიწვევის სურვილი თუ მქონდა? იყო შესაძლებლობა, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ინფორმაციის არქონის გამო ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა".

მერაბ მამულაშვილი

● პირველი ლიგა

კახა კაჭარავა

გაგრა 19-წლამდელებს დაუმეგობრდა

კახა კაჭარავას გაწვრთნილმა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პირველ ლიგაში დაქვეითებულმა "გაგრასთან" ხუთ დღეში სამი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა.

შეიძლება ითქვას, რომ სამივე შემთხვევაში "გაგრას" სამი სხვადასხვა ნაკრები დაუპირისპირდა, რადგან კაჭარავა ამჟამად სელექციას აწარმოებს, ფეხბურთელებს აკვირდება და შემადგენლობას მუდმივად ცვლიდა.

იგივე ხდება "გაგრაშიც", სადაც მთავარი მწვრთნელი **ზვიად ჯელაძე** ახალ გუნდს აყალიბებს.

"გაგრამ" სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა: პირველში მეტოქეს 4:1 სძლია, მეორეში - 5:0. ყველაზე მეტი გოლი 6 ივლისს ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტ "ბასაზე" გაიმართულ მესამე მატჩში გავიდა, ამჯერად გაგრელებმა ახალგაზრდა მეტოქეებს 5:3 მოუგეს.

აღსანიშნავია, რომ მოედანს დაუბრუნდა და "გაგრაში" აგრძელებს თამაშს გუნდის კაპიტანი **გიორგი ტყეშელაშვილი,** რომელიც დასრულებულ სეზონში გორის „დილასთან" განმეორებით სათასო შეხვედრაში მხარი იტკინა და ოპერაცია გაიკეთა. "გაგრას" ცენტრალურმა მცველმა 19-წლამდელებს მესამე მატჩში საჯარიმო დარტყმით ძალზედ ეფექტური გოლი გაუტანა – სტანდარტი დაახლოებით 35 მეტრიდან შეასრულა.

ისიც სათქმელია, რომ 19-წლამდელთა ნაკრებში გაგრელთა ცენტრალური მცველი **გიორგი გადრანი** ისინჯებოდა.

"გაგრა" სეზონისთვის მზადებას განაგრძობს და უახლოეს დღეებში კიდევ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს: "მერანის" სტადიონზე თსუ-ს შეხვდება, 10 ივლისს იქვე ბოლნისის „სიონს" უმასპინძლებს, 14 ივლისს თბილისის „ლოკომოტივს" დაუპირისპირდება, ხოლო 16 ივლისს ცხინვალის „სპარტაკს" სამედიცინო უნივერსიტეტში "ბენდელას" სტადიონზე შეხვდება.

მერაბ მამულაშვილი

ლეგიონი

დევდარიანი მოედანს უბრუნდება

კარგი ამბავი ზოგადად ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის: საქართველოს ნაკრების კანდიდატი **დავით დევდარიანი** მოედანს უბრუნდება.

"ლამის ცხრათვიანი პაუზის შემდეგ, დევდარიანი "ორჰუსს" დაუბრუნდა. სავარაუდოდ, ის ორშაბათს სუპერლიგის განახლებამდე დარჩენილ ტესტ-მატჩს ითამაშებს" - იუწყება "ორჰუსის" ვებგვერდი.

დანიის სუპერლიგაში სეზონი 13 ივლისს იწყება, "ორჰუსი" კი "ოლბორგს" ხვდება. დევდარიანმა ბოლოს "ორჰუსის" მაისურა 2011 წლის 16 ოქტომბერს მოირგო. შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში დათო საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** გამოიძახა, მაგრამ ზედიზედ მესამედ მოუვიდა ფატალური დამთხვევა - გამოძახებაზე ტრავმას იღებდა.

თუმცა, ჯერ ძნელი სათქმელია, შეძლებს თუ არა დევდარიანი "ოლბორგთან" და 19 და 26 ივლისს ევროპის ლიგაზე გორის "დილასთან" თამაშს.

ახლა ევროპულ ფეხბურთში ფინანსებს საკმაოდ მომჭირნედ ხარჯავენ. გამონაკლისი არც "ორჰუსია". კლუბის სპორტული დირექტორი **ბრაიან სტინ ნილსენი** ამბობს, რომ ევროთასებზე გასვლის შემდეგ სპონსორებისა და ახალი პარტნიორების მოძიების იმედი გაუჩნდა. თუმცა არ მალავს, რომ დღეისათვის ძვირადღირებული მოთამაშეების დამატების საშუალება არ გააჩნიათ.

მეტიც, ახლა კლუბმა ოთხი 1993 წელს დაბადებული მოთამაშე ძირითად შემადგენლობაში გადაიყვანა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ "ორჰუსს" დიდად არ ულხინს, მაგრამ ამით თავი არ უნდა დავიმშვიდოთ – საშუალო ევროპულ დონეს მაინც ინარჩუნებენ, ჩვენ კი ამ დონის მისაღწევად წლები გვჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

იაშვილმა გოლი სუპერმარიოს გაუგზანა

გასულ უქმეებზე **ალექსანდრე იაშვილისა** და **ნიკა გელაშვილის** "ბოხუმმა" საკონტროლო მატჩი გამართა რეგონალლიგის "ობერჰაუზენთან" და 3:0 გაიმარჯვა. იაშვილმა 90 წუთი ითამაშა და გოლიც გაიტანა, გელაშვილი კი მოედანზე არ გასულა.

ანდრეას ბერგმანმა "ბოხუმი" 4-4-2 სქემით ათამაშა, იაშვილის მეწყვილე თავდასხმაში სლოვენიელი **ზლატკო დედიჩი** იყო, რომელიც მეორე ტაიმში **დანიელ ენგელბრეხტმა** შეცვალა.

იაშვილმა მეტოქეს გოლი 43-ე წუთზე გაუტანა და ანგარიში 2:0 გახადა. ჩვენებურს მანამდეც ჰქონდა საგოლე შანსი, რომელიც ვერ გამოიყენა. იაშვილმა "ბოხუმის" მესამე საგოლე კომბინაციაშიც დაიდო ნვლილი.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ობერჰაუზენის "როტ ვაისს" 90-იან წლებში გერმანიის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელი **მარიო ბასლერი** წვრთნის.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრე იაშვილი

რუჯენმა ქართველები შეცვლაზე ათამაშა

ჰოლანდიის ჩემპიონატისთვის და ევროპა ლიგისთვის ემზადება **მერაბ ჟორდანიას** "ვიტესი" – არნემელებმა ახალი მწვრთნელის, **ფრედ რუტენის** ხელში პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშეს, ჰოლანდიის ქვედალიგელი "დე ბატევანი" 7:0 დაამარცხეს.

არნემელთა კაპიტან **გურამ კაშიას** მიკროტრავმის გამო არ უთამაშია, **გიორგი ჭანტურია** 64- წუთიდან ჩაერთო თამაშში, **ვაკო ყაზაიშვილი** კი მოედანზე 81-ე წუთზე შევიდა.

შეგახსენებთ, რომ "ვიტესი" ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე პირველ მატჩს პლოვდივის "ლოკომოტივთან" 19 ივლისს ითამაშებს.

დავით თავართქილაძე



გურამ კაშიამ თამაშს ტრიბუნიდან უყურა

ზოთა არველაძე

ფრაგმენტები ზოთა არველაძის ავტობიოგრაფიული წიგნიდან

ერთი ფეხბურთელის ცხოვრება

რეინჯერსი – აგენტი 007

გაგრძელება. დასაწყისი: **„ლელო“ N 110 (13716)**

მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელი შეკრება ამერიკის შეერთებულ შტატებში გავიარეთ. ამხანაგური მატჩები სამხრეთ ამერიკის გრანდებთან: „რივერ პლეიტთან“ (რომელსაც გოლი გავუტანე) და ბრაზილიის „სანტოსთან“ გავმართეთ. მოკლედ, მოსამზადებელი ეტაპი ნაყოფიერი გამოდგა. ამერიკაში ის მუხტი შევიძინეთ, რომელიც ისე გაღვივდა, რომ სამი შოტლანდიური ტიტული მოვიპოვეთ, ორი თასი და ჩემპიონობა.

სამწუხაროდ, ევროსარბიელზე ხელმოცარულნი დავრჩით, უეფას თასის გათამაშებიდან მყისვე გამოვვარდით. პრაღაში ჩეხურ „უიუკოვთან“ - 0:2 წავაგეთ, ეს შემთხვევითი ანგარიში იყო. საპასუხო შეხვედრაში, ძირითადი დრო 2:0-ით, - „რეინჯერსის“ სასარგებლოდ დასრულდა.

პირველ დამატებითში მესამე გოლი გავიტანეთ და საქმე მოგვარებული გვეგონა, როცა ჩეხებმა დაცვაში ჩვენი დაუდევრობით ისარგებლეს და გოლი გაგვიტანეს. შეხვედრის დასრულებამდე რვა წუთი რჩებოდა და ოთხი საგოლე მომენტის შექმნა მოვასწარით. თუმცა უშედეგოდ და მთელი ძალები შოტლანდიური ფრონტისთვის მოვმართეთ. „სელტიკი“ უეფას თასის ფინალში გავიდა და იქ „პორტუსთან“ დამარცხდა. ალბათ ამან შეგვიწყო ხელი, რომ იმ სეზონში, შოტლანდიაში, რაც კი მოსაგები იყო, ყველაფერი მოვიგეთ. გარდა ამისა, პირველი „ოლდ ფორმული“ გოლი შევაგდე. „სელტიკს“ სტუმრად ვეთამაშებოდით, „პარკ ჰედზე“ - 1:2-ს ვაგებდით და **დე ბურმა** ანგარიში გაათანაბრა. მერე მე გავიტანე გოლი და ანგარიში - 2:3 გახდა. **არტურ ნუმანის** დარტყმული **რობ დუგლასს** ხელიდან გაუვარდა და გადმოვარდნილ ბურთზე ყველას დავასწარი. ძალიან მინდოდა ჩემი გოლი გადამწყვეტი გამომდგარიყო და მოგვეგო, მაგრამ შეხვედრა 3:3-ით დასრულდა. პრემიერლიგის მეორე წრეში „სელტიკელებს“ „აიბროქსზე“ ვეთამაშეთ და 3:2-ით დავამარცხეთ. ის თამაში გადამწყვეტი გამოდგა. მას შემდეგ სულ ცხრილის სათავეში ვიყავით.

შოტლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურებში დასანანი ქულები დავკარგეთ და ბოლო ტურისთვის „რეინჯერსს“ და „სელტიკს“ თანაბარი ქულები დაუგროვდათ. გატანილ და გაშვებულ ბურთებს შორის სხვაობაც ერთნაირი გვქონდა. ჩვენ შინ „დანფერმლაინს“ ვხვდებოდით, „სელტიკი“ კი სტუმრად თამაშობდა „კილმარნოკთან“. ჩვენ, რა თქმა უნდა, ჩემპიონობის მეტი შანსი გვქონდა, რადგან შინ ვთამაშობდით. ვინც უკეთესი შედეგით დაასრულებდა თამაშს და მეტ გოლს გაუტანდა მოწინააღმდეგეს, ჩემპიონობაც მას დარჩებოდა.

შოტლანდიამდე, ჩემპიონი ჰოლანდიაშიც ვიყავი და საქართველოშიც. არაჩვეულებრივია, როცა გრძნობ, რომ პირველი ხარ, ამის განცდა შოტლანდიაშიც ძალიან მინდოდა. ამისთვის მთელი სეზონი ვიშრომეთ და სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ერთ შეცდომას ან უბედობას ყველაფერი წყალში ჩაეყარა.

ჩვენი და „სელტიკის“ მატჩიც ერთდროულად დაიწყო. მეხუთე წუთზე დავწინაურდით, მაგრამ „დანფერმლაინმა“ მალევე გაგვითანაბრა. ეს ჩვენთვის შოკი იყო. თანაც შევიტყვეთ, რომ „სელტიკი“ უკვე 2:0-ს იგებდა... კვლავ დავწინაურდით, მერე მეც გავიტანე ბურთი. **ლორენცო ამორუზოს** ჩამოწოდებულს ვარდნაში, თავით ყველას დავასწარი და საკმაოდ ეფექტური გოლი გამოვიდა. რაც მთავარია, დროული და საჭირო. პირველი ტაიმის შემდეგ, - 3:1-ს ვიგებდით, ხოლო „სელტიკი“ - 3:0-ს.

მეორე ტაიმი დაიწყო და გავაცნობიერე, რომ ერთს კი არა, ორ თამაშს ვთამაშობდით. ცალი თვალი და ყური „სელტიკის“ თამაშისკენ გვქონდა. ტრიბუნებაზე ყოველი ხმაურიანი რეაქცია ჩვენს გაურკვევლობას და დაბნეულობას იწვევდა. ვერ ვარკვევდით, რაზე რეაგირებდა ტრიბუნაზე მყოფი გულშემატკივარი, ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა თამაში. სტადიონზე მოსული რადიოთითქოს ჩვენი თამაშიც გაჩერდა. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა. თურმე „სელტიკმა“ პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა. იმ წუთისთვის ისინი - 4:0-ს იგებდნენ, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, **ალან ტომსონმა** თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა.

ჩვენი მატჩი ორი წუთით ადრე დამთავრდა და მთელი სტადიონი „სელტიკის“ თამაშის დასრულებას ელოდა... „აიბროქსმა“ დაიგუგუნა და „რეინჯერსი“, ორმოცდამეათედ, შოტლანდიის ჩემპიონი გახდა!.. შეიძლება ითქვას, რომ ეს „რეინჯერსისთვის“ ნანატრი ჩემპიონობა იყო! ორმოცდაათჯერ მსოფლიო რეკორდსმენი კლუბებს შორს არც ერთ ქვეყანას არ ჰყოლია!.. ბედნიერი ვიყავი, რომ ამ საიუბილეო ჩემპიონობის უშუალო მონაწილე გავხდი!... ბოლო სამი წელი „რეინჯერსი“ ვერაფრით ხდებოდა ჩემპიონი. ძალიან შთამბეჭდავი იყო ის, რაც „აიბროქსზე“ ვნახე. ჰაერში ლურჯი ფეიერვერკები გაისროლეს, ციდან თითქოს ლურჯი თოვლი მოდიოდა... მოედანზე ბევრი ვიმხიარულეთ, მე თავზე სომბრეროგადაფარებული ვზეიმობდი.... ეს ერთ-ერთი ულამაზესი დღე იყო ჩემს კარიერაში!..

მოედანზე ბევრი ვიმხიარულეთ, მე თავზე სომბრეროგადაფარებული ვზეიმობდი.... ეს ერთ-ერთი ულამაზესი დღე იყო ჩემს კარიერაში!

ზოთა არველაძე შოტლანდიის ჩემპიონობას ზეიმობს

ფოტო წიგნიდან „გუშინ“...

ბედნიერი ვიყავი, რომ ამ საიუბილეო ჩემპიონობის უშუალო მონაწილე გავხდი!...

მომარჯვებული გულშემატკივარი წამდაუწუმ გვეძახდა და თითებითაც გვანიშნებდა, რა ანგარიში იყო „სელტიკის“ მატჩში. მოედანზე ფეხბურთელებს ერთმანეთის ხმა აღარ გვესმოდა. სტადიონზე ხმაურის გარდა, საშინელი დაძაბულობა და ნერვიულობაც იყო. მეორე ტაიმში გოლები **კლაუდიო კანიჯამ, მაიკლ მოლსმა და მიქაელ არტეტამ** გაიტანეს - 6:1-ს ვიგებდით და უცებ, „აიბროქსი“ დადუმდა... ეს პაუზა საკმაოდ გაიწელა,

გაგრძელება იქნება

● ამბები

დეშამი საფრანგეთის სათავეში

"პარიზიენის" მტკიცებით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციასა და **დიდიე დეშამს** შორის 2-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა, რომელიც ავტომატურად ევრო 2016-ის ჩათვლით გახანგრძლივდება, თუკი "მამლები" ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდებიან. ახალი თავკაცის წარდგენა ამ დღეებში იგეგმება. **ლორან ბლანის** გადადგომის შემდეგ 43 წლის სპეციალისტს უმთავრეს პრეტენდენტად მიიჩნევდნენ, მაგრამ ეროვნულ გუნდში მუშაობაზე თავიდან მან უარი თქვა. *"დიდიე ის მწვრთნელია, ვინც საფრანგეთს ყველაზე მეტად სჭირდება. მას სერიოზული, საქმიანი ადამიანის რეპუტაცია აქვს. მართალია, "მარსელში" ბოლო სეზონი ჩაუვარდა, მაგრამ მას მერე დაისვენა და, წესით, ახალი გამოწვევისთვის მზად უნდა იყოს,"* – განუცხადა Goal.ком-ს **მიშელ იდალგომ**, 79 წლის მწვრთნელმა, ვინც საფრანგეთს 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ისტორიაში პირველი ოქროს შეშალი მოუტანა.

ძოლამ უოტფორდი ჩიბარა

ესპანეთის ჩემპიონშიპის მონაწილე "უოტფორდმა" ოფიციალურ ვებგვერდზე გვამცნო, რომ უახლოესი ორი წლის განმავლობაში გუნდის მთავარ მწვრთნელად **ჯანფრანკო ძოლა** იმუშავებს. 46 წლის იტალიელი კლუბის ახალმა აპენინელმა მესაკუთრეებმა მიიწვიეს. შეგახსენებთ, რომ მამა-შვილი **ჯინო** და **ჯანპაოლო პოცოები** "უდინეზეს" გარდა ესპანეთში "გრანადას" აქციების საკონტროლო პაკეტსაც ფლობენ. ინგლისური კლუბი კი მათ ორი კვირის წინ შეიძინეს. "უოტფორდს" სპორტული დირექტორიც ახალი ჰყავს – **ჯანლუკა ნანი**.

დი მატეო გარანტიას არ იძლევა

"ჩელსის" იტალიელმა მთავარმა მწვრთნელმა, 42 წლის **რობერტო დი მატეომ** განაცხადა, რომ **ფერნანდო ტორესის** დიდი იმედი აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ესპანელს ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მისცემს. *"წარმატებას ფეხბურთელებისთვის საკუთარი თავის რწმენა მოაქვს, სპორტში კი ეს განსაკუთრებულად ბევრს ნიშნავს. ძალიან მიხარია ტორესისა და ხუან მატას წარმატება, მაგრამ წინასწარ მე ვერავის ვერ მივცემ პირობას, რომ მუდმივად ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს,"* – თქვა მან.

ახალი კონტრაქტი ბერტრანდს

"დეილი მირორის" ცნობით, "ჩელსიმ" შორს დაიჭირა "ასტონ ვილას" წინადადება **რაიან ბერტრანდის** ტრანსფერთან დაკავშირებით და მზადაა, 22 წლის განაპირა მცველს ახალი, 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმოს. *"ის ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. ახალ სეზონში ის ბევრად მეტ სათამაშო დროსა და შესაბამისად, განვითარების მეტ შანსს მიიღებს,"* – განაცხადა **რობერტო დი მატეომ**. რაიანს "ლურჯები" **ეშლი კოულის** პოტენციურ მემკვიდრედ განიხილავენ. უკანასკნელს კონტრაქტი ერთი წლის მერე ეწურება და დიდი ალბათობით ამის მერე კოული კარიერას ამერიკულ MLS-ში განაგრძობს.

ლევან ბიბილაშვილი

● ლივერპული

ათი მილიონი სტარიჯში

goal.com-ის მტკიცებით, "ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი **ბრენდან როჯერსი** "ჩელსიდან" 23 წლის **დენიელ სტარიჯის** შეძენას გეგმავს. ის მზადაა, დედაქალაქელებს ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონი ფუნტი (12,6 მლნ ევრო) შესთავაზოს. ხელშეკრულების თანახმად, სტარიჯი "სტემფორდ ბრიჯზე" კიდევ ორი წლით უნდა დარჩეს, თუმცა აღნიშნული თანხა საკმარისი იქნება "ჩელსის" თანხმობის მისაღებად. ჩრდილოირლანდიელ სპეციალისტს ორი ფაქტორი განსაკუთრებულად იმედიანად განაწყობს - უპირველესად ის, რომ **რობერტო დი მატეოს** მოსვლის შემდეგ სტარიჯი ლონდონელთა რიგებში სათამაშო პრაქტიკას მოკლებულია და რაც მთავარია, მას მხოლოდ ფლანგის თავდამსხმელად განიხილავენ და არა ცენტრფორვარდად, სადაც დენიელს თავად ურჩევნია ასპარეზობა. მერსისაიდელებს ფეხბურთელში "ტოტენჰემი" ეცილება. სტარიჯი **ემანუელ ადებაიორის** ერთ-ერთი ალტერნატივაა. ჩვენი აზრით, ის, რომ "ტოტენჰემს" რამდენიმე დღის წინ **ანდრე ვილაშ ბოაში** ჩაუდგა სათავეში, კლუბის შანსებს სერიოზულად ამცირებს, რადგან სტარიჯს პირველად ფლანგზე ადგილი სწორედ პორტუგალიელმა მწვრთნელმა მიუჩინა. ანონიმური წყარო ამტკიცებს, რომ: *"თავდამსხმელის შეძენა ერთდროულად რამდენიმე კლუბს სურს, მაგრამ "ლივერპულის" შანსები დანარჩენებზე მაღალია. მას ყველაზე მომხიბლავი წინადადება აქვს გამზადებული"*. სტარიჯი "ჩელსიში" ამჟამად კვირაში 65 ათას ფუნტს იღებს. "ლივერპული" მზადაა, მას ანაზღაურებაც საკმაოდ გაუზარდოს.

დენიელ სტარიჯი

ლევან ბიბილაშვილი

● ქუინზ პარკ რეინჯერსი

პარკი გადაწყდა



ჟი სუნ პარკი ქუინზ პარკში გადავიდა

goal.com-ის ინფორმაციით, "მანჩესტერ იუნაიტედის" 31 წლის კორეელი ნახევარმცველი **ჟი სუნ პარკი** დღეს "ქუინზ პარკში" სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ლონდონის გარეუბნის წარმომადგენელთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. "წითელი ეშმაკები" ვეტერანი ნახევარმცველის სანაცვლოდ 2,5 მილიონ ფუნტს ახლავე მიიღებენ და ამდენივეს მიითვლიან, თუკი ეს კლუბი პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. ტრანსფერის ინიციატორი **მარკ ჰიუზი** გახლავთ. სწორედ მან დაარწმუნა პრეზიდენტი **ტონი ფერნანდესი**, ასაკში შესულ ფეხბურთელში ამხელა თანხა "გაესროლა". უკანასკნელი 1,5 წლის განმავლობაში პარკმა თამაშს აშკარად მოუკლო და ამიტომაც არის, რომ **ალექს ფერგიუსონი** მის გაშვებას იოლად დათანხმდა. რეგულარულმა სათამაშო პრაქტიკამ კორეელს შესაძლოა ძველებური რწმენა დაუბრუნოს საკუთარ ძალებში. პარკი მეორე ფეხბურთელია ამ ზაფხულს, ვინც "ოლდ ტრეფორდიდან" "ლოფტუს როუდს" მიაშურა. პარკამდე ეს გზა **ფაბიო და სილვამ** გაიარა. ოლონდ ბრაზილიელი ლონდონს მხოლოდ იჯარით არის მივლენილი.

პარკის გარდა მარკ ჰიუზი კიდევ ერთი ვეტერანის სამსახურით არის დაინტერესებული. ლაპარაკია "ლივერპულის" 32 წლის თავდამსხმელ **კრეიგ ბელამიზე**. მწვრთნელი და ფეხბურთელი ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ. მათ ერთად უმუშავიათ უელსის ნაკრებში, "ბლექბერნსა" და "მანჩესტერ სიტიში". უელსელის შეძენას "კარდიფ სიტიც" გეგმავს. ბელამი "მელვუდის" ბაზაზე მხოლოდ ლონდონის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგ დაბრუნდება. ახლა ყველაფერი მხოლოდ **ბრენდან როჯერსის** კეთილ ნებაზე დამოკიდებული.

ლევან ბიბილაშვილი

● მანჩესტერ სიტი

აგუერო №2

და მანჩინის ახალი კონტრაქტი

"მირორის" ინფორმაციით, "მანჩესტერ სიტი" მზადაა, არგენტინული "ინსტიტუტოდან" 18 წლის უნიჭიერესი თავდამსხმელი **პაულო დიბალა** 5 მილიონ ფუნტად გადაიბიროს. ადგილობრივი პრესა მას ახალ **სერხიო აგუეროს** უწოდებს. დიბალას სულ ერთი სეზონი აქვს ნათამაშები პროფესიულ ფეხბურთში და ამის მიუხედავად 40-მდე მატჩში 18 გოლის გატანა მოახერხა. მართალია, პაულო უკვე მიიწვიეს 20-წლამდელთა ნაკრებში, თუმცა **მარსელო ტრობიანის** გუნდში ჯერ კიდევ არ უთამაშია. "სიტის" გარდა ფეხბურთელის შეძენა "ინტერს", "მილანსა" და "ჩელსის" სურთ. ინგლისში გადასვლის შემთხვევაში მას სამუშაო ვიზის მოპოვება არ გაუჭირდება, რადგან მისი ბებია და ბაბუა იტალიელები არიან და ამ ქვეყნის მოქალაქეობას ფეხბურთელი იოლად მიიღებს.

პაულო დიბალა

სნეიდერიც სიტიში?

"ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეა სტრამაჩონიმ** განაცხადა, რომ 28 წლის ჰოლანდიელი **ვესლი სნეიდერი** "ნერაძურისთვის" შეუცვლელი ჰგონია, თუმცა ეჭვობს, რომ მას მომავალ სეზონში გუნდის ლიდერის იმედი აღარ უნდა ჰქონდეს. *"ვაპირებთ თუ არა, რომ სნეიდერის შემცვლელი შევიძინოთ? ეს შეკითხვა პრეზიდენტ მასიმო მორატის უნდა დაუსვათ. მე მის შემცვლელს ვერავის ვხედავ, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან დღევანდელ ფეხბურთს ფული მართავს,"* – აცხადებს "ინტერის" თავკაცი. ფეხბურთელისთვის ბრძოლაში "მანჩესტერ სიტი" უკვე ჩაება. "ქალაქელებს" ჰოლანდიელის გადაბირება 20 მილიონი ფუნტი დაუჯდებათ.

მანჩინი მზადაა

რობერტო მანჩინისთან ახალი, გაუმჯობესებული ხელშეკრულების დადებაზე "სიტის" ბოსები პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, როცა "ეტიჰადზე" საჩემპიონო ეიფორია ჯერ ჩამცხრალი არც კი იყო, მაგრამ აქამდე სიტყვას საქმე არ მოჰყოლია. "სანის" ინფორმაციით, მხარეები 4-წლიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ, რომლის წყალობითაც იტალიელი ნელიწადში 6 მილიონ ფუნტს გამოიმუშავებს.

ლევან ბიბილაშვილი

● ამბები

ერთ-ერთ ლიდერ ბრაზილიელს მოდრიჩისადმი მადრიდელი გახდება

„მარკა" ამტკიცებს, რომ „ტოტენჰემის" ხორვატი პლეიმეიქერი **ლუკა მოდრიჩი** უკვე 15 ივლისს **ჟოზე მურინიოს** განკარგულებაში იქნება. მადრიდში უკვე მოდრიჩისთვის საყოფაცხოვრებო პრობლემებს აგვარებენ. ამბობენ, რომ ხორვატი „სამეფო კლუბს" 35 მილიონი ევრო დაუჯდება, არადა, ლონდონელები თავიდან 50 მილიონ ევროს ითხოვდნენ.

მანამდე კი „რეალი" რამდენიმე ფეხბურთელს მოიცილებს, რადგან მურინიოს სურს პირველ გუნდში 26 ფეხბურთელი იყოს. ახლა კი 29 ფეხბურთელია, შარშანდელებს **გაგო** (იჯარიდან დაბრუნდა), **მორატა** და **ხესუსი** (სარეზერვოდან გადმოიყვანეს) დაემატნენ.

ფილიპე ლუიში ატლეტიკოს ერთგულია

მადრიდის „ატლეტიკოს" ბრაზილიელმა მცველმა **ფილიპე ლუიშ კასმირს კიმ** ხელშეკრულება 2017 წლის ზაფხულამდე გააგრძელა. *„ჩემთვის დიდი პატივია ამ დიდ გუნდში თამაში და როცა ხელმძღვანელობა ხელშეკრულების გაგრძელების წინადადებით მოვიდა ჩემთან, ორჯერ არც დავფიქრებულვარ. „ატლეტიკოსთან" ერთად ტიტულები მოვიგე და მსოფლიომ ამ გუნდიდან გამიცნო. ასე რომ, რაც შეიძლება დიდხანს მინდა „ატლეტიკოს" მაისურა მეცვას და რაც შეიძლება მეტი ტიტული მოვიგო"*, - განაცხადა ბრაზილიელმა მარცხენა მცველმა.

ფილიპე ლუიში მხოლოდ ნომერს შეიცვლის, რომელიც გასულ სეზონში გუნდის კაპიტან **ანტონიო ლოპესს** ეცვა: *„დავურეკე ანტონიოს, ძალიან მაგარ ადამიანს და ვთხოვე, თუ შეიძლებოდა, რომ მისი დატოვებული „სამიანი" მე ჩამეცვა, რაზეც კაპიტნისგან თანხმობა მივიღე. ძალიან მეამაყება, რომ 3-იანი მე მეენება"*.

ფილიპე ლუიში 26 წლისაა, ის „ატლეტიკოში" 2010 წლიდანაა. ბრაზილიელს კონტრაქტი 2015 წელს უსრულდებოდა, ასე რომ, ხელშეკრულება ორი სეზონით გაგრძელდა. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის იანვარში, ჯერ კიდევ „დეპორტივოში" თამაშისას მან ძალიან საშიში ტრავმა მიიღო „ბილბაოს" მეკარე **გორკა ირაისოსთან** შეჯახებისას.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფლორენციელები გააქტიურდნენ

დიდი ხანია, "ფიორენტინას" მესვეურებს სატრანსფერო ბაზარზე არ უაქტიურიათ და შესაძლოა, ტრადიცია ამ ზაფხულს დაარღვიონ. ერთობ მოულოდნელი გამოდგა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფლორენციელები სერიოზულად გაძლიერებას გეგმავენ და სამიზნეებიც შერჩეული ჰყავთ. ერთ-ერთი სამიზნე **მარუან შამახი** გახლავთ, რომელიც "არსენალის" ღირსებას იცავს, თუმცა ძირითად შემადგენლობაში ვერაფრით დაიმკვიდრა ადგილი და გასხვისებას უპირებენ. 28 წლის მოროკოელი შემტევის გადაბირება სნორედ ფლორენციელებმა მოიწადინეს და ლონდონელებს თანხის დასახელება სთხოვეს..

"შამახის გადაბირება ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია და საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად მიდის. ლონდონელებმა ისეთი პირობები გვითხრეს, რომელთა შესრულება სავსებით რეალურია და გამომდინარე აქედან, ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. დიდი იმედი მაქვს, რომ თავად ფეხბურთელს ფლორენციაში გადმობარგების სურვილი აქვს და მოლაპარაკების პროცესზე ნამოვა. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა", - აცხადებს ფლორენციელთა პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე**.

ლაშა წიკლაური

უცხოური ფეხბურთი

არსენალი

ის, რაც არსენალში ხდება კემპბელს არ უკვირს

"არსენალი" ის კლუბია, რომელზეც ინგლისური პრესა ბოლო ხანს ყველაზე მეტს წერს. "ემირატსის" დატოვებასთან ძალიან ახლოს არის გუნდის კაპიტანი და შარშანდელი პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი რობინ ვან პერსი. ჰოლანდიელის ცნობილი განცხადების შემდეგ, წასვლა პრაქტიკულად გადაწყვეტილი აქვს თეო უოლკოტსაც. მოკლედ, "მეთოფეთა" ბანაკში სერიოზული დაძაბულობაა. "დეილი მირორი" "არსენალის" ვეტერან ვარსკვლავ სოლ კემპბელს დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა. აი, რა უპასუხა 37 წლის ვეტერანმა:

- მესმის, რატომაც გადაწყვიტა ვან პერსიმ, რომ ახალ კონტრაქტს ხელი არ მოაწეროს. როცა შვებულების შემდეგ გუნდის გასახდელში შედიხარ, ცდილობ, რომ ცვლილებები შეაფასო. ამ დროს გინდა, რომ საუკეთესო ფეხბურთელები იხილო გვერდით. თუკი ასე ხდება, მაშინ გიჩნდება იმედი, რომ რაღაცას მიაღწევ. სწორედ ეს განცდა სჭირდება რობინს. შესაძლოა, მას არ მოეწონა ის, რისი მოწმეც გახდა, რადგან მას ბევრად უკეთესი დროც ახსოვს. ბოლოს და ბოლოს, მას უფრო მეტი უნდა. ფეხბურთელის განცხადება იმის ნიშანია, რომ მის მოთმინებასაც აქვს საზღვარი, რომ მისი მიზანი სერიოზული ტიტულების მოგებაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ისეთ კლუბში წავა, სადაც თავიდანვე ექნება ამის იმედი. შესაძლოა ის დარჩეს კიდეც "არსენალში", თუკი კლუბი 100 მილიონ ფუნტს მოიძიებს მსოფლიო კლასის სამი ფეხბურთელის შესაძენად. კლუბმა შარშან ფაბრეგასი- ნასრის დუეტი გაუშვა და ვერც წელს ვხედავ საფუძველს, რომ ეს მოხდეს. "არსენალს" აქვს მყარად მომუშავე ფინანსური სისტემა. მათ ფანტასტიკური სტადიონი ააშენეს, ვალის მოცულობა ნელ-ნელა მცირდება. ზოგადადაც, მოედანს მიღმა ყველაფერი კარგად ვითარდება... ერთი სიტყვით, დიდ ფულს შოულობენ, მაგრამ ამ დროს გუნდი წლებია, ვერაფერს იგებს. ანუ არ ხდება მთავარი, რაც უნდა მოხდეს.

ვენგერი: პრინციპებს არ ვუღალატებ

"არსენალის" თავკაცმა **არსენ ვენგერმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ის არასოდეს დათანხმდება მეგატრანსფერებს და სანამ ლონდონში მუშაობს, ბოლომდე ერთგული დარჩება თავისი პრინციპების. *"ბოლომდე ვეთანხმები იოჰან კრუიფის საფეხბურთო ფილოსოფიას. ცუდია, რომ დრო და დრო ვილაცები შენ მიერ წლობით ნაშენებს ერთი ხელის მოსმით ანგრევენ. ხანდახან ძალიან გინდა, რომ რომელიმე ფეხბურთელი მთელი კარიერის განმავლობაში შენთან დარჩეს, მაგრამ ეს ხშირად არ გამოდის. მეც სწორედ ამის მსხვერპლი გავხდი. შარშან ნასრი, კლიში და ფაბრეგასი დავკარგე, თანაც ისეთ ასაკში, როცა მათ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთი უნდა ეთამაშათ "არსენალში". მეც არაერთხელ შემეძლო კლუბიდან წასვლა, მაგრამ ეს არ გამიკეთებია, რადგან აქ ვმუშაობ უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში და მთელი ეს პერიოდი ჩემი პრინციპების ერთგული ვრჩები. ფული ჩემთვის მოტივაცია არასოდეს ყოფილა. კრუიფის მსგავს ადამიანებს არასოდეს შეუქმნიათ გუნდი იმ ფეხბურთელებისგან, რომელთა მთავარი მიზანი დიდი ფულის შოვნა იყო. ჩვენ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ძალიან გვინდა, ფეხბურთს რაღაც უფრო მეტი ვაჩუქოთ,"* – განუცხადა ფრანგმა ESPN-ს.

დეილი მირორი: დაე, წავიდეს!

უკომენტაროდ გთავაზობთ "დეილი მირორის" მესვეტე **ენდი დანის** ნააზრევს:

- დაე, ვან პერსის წასვლა ჰქონდეს გადაწყვეტილი. დაე, მეტი ხელფასის მიღება სურდეს. შესაძლოა, მისი წასვლა ტიტულების მოპოვების დაუოკებელი სურვილითაც არის ნაკარნახები, მაგრამ როდის აქეთ მიეცა ფეხბურთელს კლუბის განვითარების მიმართულების არჩევის უფლება, ვისაც წინა 6 სეზონის განმავლობაში საშუალოდ 9 გოლი გაჰქონდა? ის, რომ ვან პერსის საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს დეტალები, ეს უბრალოდ უპატივცემლობა კი არა, ცოტა შეურაცხმყოფელიც კი არის არსენ ვენგერისთვის. ის, რაც ფეხბურთელმა დაწერა, არ იყო უბრალოდ განცხადება, რომელსაც კონტრაქტის გაგრძელება არ სურს. ეს იყო კლუბში საკუთარ მნიშვნელობაზე ეგოისტური ხაზგასმა. გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ეს გააკეთა ფეხბურთელმა, ვინც იქამდე კაპიტნის, გუნდის სიმბოლოსა და "არსენალის" საუკეთესო ფეხბურთელის ტვირთს კარგად უმკლავდებოდა. ლონდონელთა გულნატკენ და შესაძლოა, იმედგაცრუებულ გულშემატკივრებს ვურჩევდი, რომ არ ღირს ცრემლის ღვრა. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი იმ ფეხბურთელების ერთიანობაა, რომლებიც კლუბში რჩებიან.

უინტერბერნი: ლიგა მინიმუმია

ნაიჯელ უინტერბერნი "არსენალის" ლეგენდაა. კლუბის ღირსებას ის 13 სეზონის განმავლობაში იცავდა და მისი მაისურა 550-მდე შეხვედრაში მოირგო. 48 წლის ვეტერანი "მეთოფე" დარწმუნებულია, რომ კლუბს ჯერ კიდევ შეუძლია რობინ ვან პერსისთან თანამშრომლობის გახანგრძლივება. ამ თემაზე ის Talksport–ს ელაპარაკა:

- "არსენალმა" რამდენიმე კარგი ფეხბურთელი უკვე შეიძინა. იმედია, შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდება. რეალურია, რომ სამომავლოდ დაგეგმილმა ტრანსფერებმა ვან პერსი დაარწმუნოს, რომ ღირს დარჩენა. 5-6 წარუმატებელი სეზონის შემდეგ გუნდი ახალი მიმართულებით იწყებს სვლას. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ის კლუბი, რომელიც ყოველ წელს საუკეთესო ფეხბურთელებს ყიდის იმის მიუხედავად, რომ დირექტორთა საბჭოში შეიძლება ასეთი გეგმაც ჰქონდეთ. მთავარია, რომ სეზონის დაწყების წინ მოთამაშეებს ჰქონდეთ იმის რწმენა, რომ მათ შეუძლიათ ტიტულების მოგება. იმ დროს, როცა ჯერ ფაბრეგასი და ნასრი მიდიან, მერე კი მათ გზას ვან პერსიც ადგება, ფეხბურთელებში ეს იმედიან განწყობას აქრობს. ძალიან რთულია ისეთ კლუბებთან კონკურენცია, როგორებიც არიან "სიტი", "იუნაიტედი" და "ჩელსი", მაგრამ როცა ფეხბურთელი ხარ, უნდა გჯეროდეს, რომ ეს შეგიძლია. კარგია, ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა, თუმცა ეს პროგრამა მინიმუმი უნდა იყოს.

ჩელსი მოლაპარაკებებს იწყებს

ინგლისური გაზეთების ცნობით, "ჩელსის" ამ ზაფხულზევე აქვს განზრახული "არსენალიდან" **თეო უოლკოტის** შეძენა. ფეხბურთელს კონტრაქტი მომდევნო ზაფხულზე უმთავრდება, ახალი ხელშეკრულების გაფორმებას კი 23 წლის გარემარბი ეჭვის თვალით უყურებს. მეტიც, მოლაპარაკებათა პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა. "ლურჯებისთვის" მარჯვენა შემტევი ნახევარმცველის პოზიცია შესაძლოა აქტუალური გახდეს, რადგან გაქცევაზე უჭირავს თვალი **დენიელ სტარიჯს**. თეოს საკითხი დღის წესრიგიდან იმ შემთხვევაში მოიხსნება, თუკი "უიგანიდან" **ვიქტორ მოზესის** გადაბირება მოხერხდება. "ჩელსის" გარდა უოლკოტისთვის დიდი ხანია, თვალი აქვს დადგმული "ლივერპულსაც".

ლევან ბიბილაშვილი

ნაიჯელ უინტერბერნი ვან პერსის დარჩენის იმედს ჯერ კიდევ არ კარგავს

მანჩესტერ იუნაიტედი

იუნაიტედი იყიდება

ოღონდ ხმის უფლების გარეშე

ერთი კვირის წინ "მანჩესტერ იუნაიტედის" მესაკუთრე გლეიზერების ოჯახის იურისტმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ კლუბის აქციების ნაწილი კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებული შუამავალი კომპანიის დახმარებით ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე გაიყიდება. გასული წლის მიწურულს კლუბის აქციათა სინგაპურის ბირჟაზე გატანა იგეგმებოდა, მაგრამ შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდეგ გადაწყვეტილება შეიცვალა. ამასთან, უკვე ცნობილია, რომ მსურველები აქციების შეძენით მხოლოდ შეზღუდული ხმის უფლებას მოიპოვებენ. "იუნაიტედის" ხაზინაში შემოსული თანხა სრულად წარიმართება საბანკო ვალების დასაფარად, რომელიც ამ ეტაპზე 423 მილიონ ფუნტს (655 მლნ დოლარი) უტოლდება (2006 წელს ეს თანხა 660 მილიონი ფუნტი სტერლინგი იყო). კლუბის ბოსები ამ გზით მინიმუმ 100 მილიონი დოლარის მიღებას ვარაუდობენ.

გლეიზერებმა "იუნაიტედის" საკონტროლო პაკეტი 2005 წელს ლონდონის ბირჟაზე შეიძინეს. ეს გარიგება მაშინ 800 მილიონი ფუნტი, მაშინდელი კურსით 1,5 მილიარდი დოლარი დაჯდა. იმავე წელს მესაკუთრეებმა კლუბი დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებად აქციეს. როგორც ჩვენი ბრიტანელი კოლეგები ირწმუნებიან, ოჯახი კლუბის მართვის სადავეების ხელიდან გაშვების საფრთხის წინაშე არ დგას, რადგან სრული ხმის უფლების მქონე აქციათა 100%-ს სწორედ **მალკოლმ გლეიზერის** შვილები **ავრაამი, კევინი, ბრაიანი, ჯოელი, ედვარდი** და **დარსი** ფლობენ.

ეიმოსი ჰალ სიტიში

"იუნაიტედზე" წერას განსხვავებული თემატიკით დავასრულებთ. **ალექს ფერგიუსონმა** გუნდიდან უკვე მეორე მეკარე გაუშვა. თუკი **ტომაშ კუშჩაკმა** "ოლდ ტრეფორდი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა, 22 წლის **ბენ ეიმოსმა** "ჰალ სიტის" ერთწლიანი იჯარით მიაშურა. გარიგება ჩემპიონშიპის წარმომადგენელს სულ რაღაც 250 ათასი ფუნტი დაუჯდა. ეიმოსის იჯარა სულაც არ არის გასაკვირი, რადგან პერსპექტიულ გოლკიპერს არნახული კონკურენციის გამო თამაში პრაქტიკულად არ უწევს. საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებამდე "ეშმაკებმა" მას ახალი, 3-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

ლევან ბიბილაშვილი

მალკოლმ გლეიზერს იუნაიტედის შესაძენად აღებული ვალიდან გასასტუმრებელი 655 მილიონი დარჩა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქსი ლოპესს "კატანიაში" დაბრუნება არ უნდა

მაქსი ლოპესი კატანიაში არ ბრუნდება

მაქსი ლოპესმა "მილანის" შემადგენლობაში ნახევარი სეზონი ითამაშა, რამდენიმე შეხვედრაში თავიც გამოიჩინა, მაგრამ როგორც ჩანს, მთავარი მწვრთნელის გული მაინც ვერ მოიგო. დიახ, 28 წლის არგენტინელი ფორვარდი ლომბარდიულმა გრანდმა არ გამოისყიდა და ფეხბურთელიც ავტომატურად "კატანიას" დაუბრუნდა. თუმცა, როგორც სიცილიური კლუბის მესვეურები აცხადებენ, თავად ფეხბურთელს არ სურს "კატანიაში" თამაში. რა გაგრძელება ექნება ამ ამბავს, ჯერჯერობით რთული სათქმელია... მოვუსმინოთ სიცილიური კლუბის სპორტულ დირექტორ **სერჯო გასპარინს**:

"გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იმ 32 ფეხბურთელის გვარი დაასახელა, რომლებსაც შეკრებაზე იახლებს და მათ შორის გახლავთ არგენტინელი თავდამსხმელი მაქსი ლოპესიც. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, მაქსის არ სურს "კატანიაში" დაბრუნება და არც შეკრებაზე გამოცხადებას აპირებს. ეს ამბავი ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ ინფორმაცია სანდო წყაროსგან მაქვს. ეჭვი არ მეპარება, რომ ასეც მოხდება. მაქსიმ პრესასთანაც არაერთხელ განაცხადა, რომ "მილანში" უნდა კარიერის გაგრძელება და არა "კატანიაში". ლომბარდიელებმა მისი გამოსყიდვა არ ისურვეს და თუ ჩვენთან თამაში არ უნდა, მაშინ ტრანსფერზე დადგება. მის ნაცვლად საკმაოდ სოლიდურ თანხას მოვითხოვთ, რადგან ლოპესი მაღალი კლასის ფორვარდია. თუ არ გაიყიდა? – თუ არც შეკრებაზე გამოცხადდა და არც გაიყიდა, მაშინ მინიმუმ ნახევარი სეზონი უფეხბურთოდ მოუწევს ყოფნა, რადგან მთავარი გუნდიდან მოიკვეთება. იმედი მაქვს, აქამდე არ მივა საქმე და ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება".

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სატრანსფერო ბაზარი

ესპანეთი ზოგავს, იტალია ხარჯავს

სებასტიან ჯოვინკო იუვენტუსში გადავიდა, შინჯი კაგავა მანჩესტერ იუნაიტედში, ხორდი ალბა კი ბარსელონაში

31 აგვისტომდე თვე-ნახევარზე მეტია დარჩენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპულ კლუბებს მთავარი ტრანსფერული ფანჯარისთვის საკმარისზე მეტი დრო აქვთ – სატრანსფერო ფანჯარა ხომ სწორედ აგვისტოს ბოლოს იხურება. თუმცა უკვე არაერთი საინტერესო გარიგება დაიდო და ჩვენც შეგვიძლია, შუალედური შეჯამება გავაკეთოთ. ევროპის 4 წამყვან საფეხბურთო ქვეყანაში შემდგარ გარიგებებს გადავხედეთ და საინტერესო დასკვნამდე მივედით: ჯერჯერობით, ყველაზე მეტი ფული იტალიელებმა დახარჯეს.

ტრანსფერმარკტის მონაცემებით სერია A-ს კლუბებმა სატრანსფერო ფანჯრის გახსნიდან დღემდე 167 მილიონი ევრო დახარჯეს. თუმცა ევროპის ვიცე-ჩემპიონების ქვეყანაში თითით საჩვენებელი და ძვირადღირებული ტრანსფერი ჯერ არ განხორციელებულა. სატრანსფერო ბაზარს ყველაზე აქტიურად იტალიურმა სუპერგრანდებმა, ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ და მილანის „ინტერმა“ შეუტიეს, თუმცა ყველაზე ძვირი შენაძენი „ნაპოლის“ ჰყავს: ნეაპოლელებმა ჩილელ **ედუარდო ვარგასში** 11.4 მილიონი ევრო გადაიხადეს.

ევროპის ჩემპიონატის ფინალისგან განსხვავებით, სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობის მხრივ ესპანეთი იტალიასთან აშკარად „მარცხდება“: ლა ლიგის კლუბებმა დღემდე მხოლოდ 33 მილიონი ევრო დახარჯეს. ამ თანხის ნახევარზე ოდნავ ნაკლები კი მარტო **ხორდი ალბაზე** მოდის, რომელიც „ბარსელონამ“ 14 მილიონ ევროდ იყიდა. ლისაბონიდან ვალენსიისკენ გეზაღებული **ჟოაო პერეირა** „ღამურებს“ 3 684 210 ევრო დაუჯდათ.

გერმანული და ინგლისური კლუბები კი ესპანურებზე გაცილებით მეტად აქტიურობენ – ბუნდესლიგასა და პრემიერლიგაში დაახლოებით 134-134 მილიონი ევრო დაიხარჯა. ინგლისში მთელი თანხის მესამედი ლონდონის „ჩელსიმ“ გაიღო – „არისტოკრატებმა“ **ედენ აზარი** ფრანგული „ლილიდან“ 40 მილიონად გადაიბირეს. ბუნდესლიგის ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერის ავტორი კი ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსიაა“ - 17.1 მილიონი ევრო **მარკო როისის** სანაცვლოდ, რომელიც BVB-ში „გლადბახიდან“ გადაბარგდა. ზოგადად, გერმანული კლუბებიდან ამ ეტაპზე ყველაზე მეტი მოლოდინისამებრ „ბაიერნმა“ დახარჯა – რეკორდმაისტერმა ჯიბე 29.3 მილიონით შეითხელა.

● ამბები

ერთიანი ბიბლიოთეკა

ულოპი: როისი იმედებს გაამართლებს



გერმანიის ჩემპიონისა და თასის მფლობელის, დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** დარწმუნებულია, რომ ახალწვეული **მარკო როისი**, რომელიც დორტმუნდელებმა „გლადბახიდან“ გადაიბირეს, რაც 17,1 მილიონი ევრო დაუჯდათ, იმედებს ამ სეზონშივე გაამართლებს და წნეხის ქვეშ არ მოექცევა იმის გამო, რომ ძალიან ძვირადღირებული ფეხბურთელი გახდა.

„მარკოს შესაძლებლობებში ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება, - აცხადებს კლოპი „ველტ ამ ზონთაგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში და დასძენს, - მე მომთმენი მწვრთნელი ვარ და პირველივე მატჩებში სასნაულებს არ მოვთხოვ, როისი კი შესანიშნავი ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს ნდობას აუცილებლად გაამართლებს. ჩვენ მას ყველანაირად მხარში ამოვუდგებით და დავეხმარებით იმაში, რომ ზუსტად ისეთ ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს, როგორზეც არა მარტო დორტმუნდი, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია ოცნებობს. მარკოს იმაზე გაცილებით მეტი შეუძლია, რაც გასულ სეზონში მიონხენგლადბახში გააკეთა. ჩვენ მასში 17 მილიონი გადავიხადეთ, რაც დიდი თანხაა, მაგრამ როისი სწორედ ამდენი ღირს.“

დე იონგი ლევერკუზენსაც მოუნდა

„ტვენტეს“ გოლეადორი **ლუუკ დე იონგი** თავისი კლუბის პრეზიდენტის მოქმედებებით ძალიან უკმაყოფილოა და ამას არც მალავს. ლუუკის თქმით, „ტვენტეს“ მთავარი ბოსი მას თითქოს არ ზლუდავს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ დაინტერესებულ კლუბებს უტოპიურად დიდ თანხას სთხოვს. როგორც იცით, ჰოლანდიური გაზეთი „დე ტელეგრაააფი“ ორიოდე დღის წინ „ტვენტეს“ პრეზიდენტ **იოოპ მუნსტერმანის** სიტყვებს ციტირებდა, რომელმაც თქვა, დე იონგს 20 მილიონ ევროზე ნაკლებად არ გავყიდითო.

ლუუკის გადაბირება ყველაზე მეტად მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ უნდა და ამ გუნდის მენეჯერი **მაქს ებერლი** ენსხედეშიც იმყოფებოდა, სადაც „ტვენტეს“ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებები გამართა, მაგრამ საბოლოოდ ხელცარიელი დაბრუნდა – „გლადბახი“ 20 მილიონს ვერ გადაიხდის. „დე ტელეგრაააფის“ უახლესი ინფორმაციით, დე იონგისთვის ბრძოლაში კიდევ ერთი გერმანული კლუბი, ლევერკუზენის „ბაიერიც“ სერიოზულაც ჩაერთო. 21 წლის თავდამსხმელის გადაბირება „ტოტენჰემს“ და „ნიუკასლსაც“ სურთ.

ვილაშ ბოაშს ლევანდოვსკი მოსწონს



„ტოტენჰემის“ შესახებ არაერთი სატრანსფერო სპეკულაცია ვრცელდება, უახლესი ინფორმაციით კი, „სპურზის“ ახალ თავკაც **ანდრე ვილაშ ბოაშს** ყველაზე მეტად პოლონეთის ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ გოლეადორი **რობერტ ლევანდოვსკი** მოსწონს. ეს ცნობა გასულ უქმეებზე ავტორიტეტულმა გამოცემამ „თაიმსმა“ გაავრცელა.

ლევანდოვსკის დორტმუნდელებთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს და ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, „ტოტენჰემი“ მზადაა, გერმანიის ჩემპიონსა და თასის მფლობელს 25 მილიონი ევრო გადაუხადოს.

გუშინ „ტოტენჰემთან“ დაკავშირებით კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა: ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, ვილაშ ბოაში თავის ასისტენტად **რიკარდო კარვალიოს** იწვევს, თუმცა ამ უკანასკნელს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, სურს თუ არა აქტიური სპორტული კარიერის დასრულება.

ჰოფენჰაიმი მადრიდში თევზაობს

„ჰოფენჰაიმმა“ მადრიდის „რეალის“ სარეზერვო გუნდის ფეხბურთელს, ესპანელ ტალანტ **ხოსე ლუის მატოს (ხოსელუ)** დაადგა თვალი. ესპანური მედიის ინფორმაციით, ჰოფენჰაიმელები მადრიდელებს 22 წლის ნიჭიერ ფეხბურთელში 5 მილიონ ევროს სთავაზობენ, თუმცა „სამეფო გუნდი“ ამაზე არ თანხმდება და მატოს სანაცვლოდ 8-დან 10 მილიონ ევრომდე ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ მატომ გასულ სეზონში 36 მატჩში 26 გოლი გაიტანა, რითაც „რეალის“ მეორე გუნდის წარმატებაში (მეორე ლიგაში აღზევდა) ლომის წვლილი შეიტანა. შეგახსენებთ, რომ მატოს თანაგუნდელ **დანიელ კარვახალს** „ლევერკუზენში“ ეპატიჟებიან.

გვერდიგამაზადა
გოტფრიდ ლენცმა

● შალკე

შალკემაც დაიწყო

სტევენსი ფარფანში გამთამაშებელს ხედავს

ჰუუბ სტევენსმა შაბათს მეგირდები პირველად ავარჯიშა

გუნდესლიგური კლუბებიდან ახალი სეზონისთვის მზადება ყველაზე გვიან გელზენკირხენის „შალკემ“ დაიწყო. მთავარ მწვრთნელ **ჰუუბ სტევენსს** პირველ ვარჯიშზე ევროპის ჩემპიონატის სამი მონაწილე დააკლდა: **კლაას-იან ჰუნტელაარი** (ჰოლანდია), **ბენედიქტ ჰოვედესი** (გერმანია) და **კირიაკოს პაპადოპულოსი** (საბერძნეთი) ჯერ კიდევ შვებულებაში არიან.

სტევენსმა შაბათს ჯამში 27 ფეხბურთელს მოუყარა თავი და მათ შორის აღარ იყო ჩვენებური **ლევან ყენია**, რომელიც, როგორც იცით, კარიერას სანკტ პეტერბურგის „ზენიტში“ გააგრძელებს. ზემოთ ხსენებული ტრიოს გარდა, არ უვარჯიშიათ **ჯერმეინ ჯონსსა** და **ჩინედუ ობასი ოგბუკეს**. პირველი „შალკეს“ აშშ-ის ნაკრების გამო დააკლდა, ნიგერიელი გარემარბი კი ტრავმირებულია. ობასი ოგბუკე ლაზარეთში მინიმუმ სამ კვირას დაჰყოფს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, სტევენსი სერიოზულად ფიქრობს იმაზე, რომ **რაულის** ნასვლის შემდეგ, 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში, ცენტრფორვარდის უკან **ჯეფერსონ ფარფანი** ათამაშოს, რომელიც აქამდე მარჯვენა ფლანგზე ასპარეზობდა ხოლმე.

● ვერდერი

ელჯერო ბრემენში დაუკრავს

იუვე და ვერდერი 6,5 მილიონზე შეთანხმდნენ

ელჯერო ელია

როგორც ჩანს, **ელჯერო ელიას** ტრანსფერის საქმეს წერტილი დაესვა: გუშინ საღამოს გავრცელებული ცნობების თანახმად, ტურინის „იუვენტუსი“ და ბრემენის „ვერდერი“ ჰოლანდიელი გარემარბის სატრანსფერო ღირებულებაზე შეთანხმდნენ და ელია კარიერას „ვერდერში“ გააგრძელებს. ბრემენელთა მედიაოფიცერმა **ტინო პოლსტერმა** გუშინ ამ ცნობის დადასტურება არ ისურვა, მაგრამ ტრანსფერი არც უარყო.

ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ „ვერდერი“ და „იუვენტუსი“ 6.5 მილიონ ევროზე შეთანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ ბრემენელებს ელიას არენდით აყვანა სურდათ, მაგრამ „იუვეს“ ხელმძღვანელებმა ჰოლანდიელის განათხოვრებაზე უარი თქვეს და მხოლოდ სრულყოფილ ტრანსფერზე იყვნენ თანახმა.

25 წლის ელჯერო ელია „იუვენტუსში“ შარშან, „ჰამბურგიდან“ გადავიდა და ტურინელებს ეს ტრანსფერი მაშინ 10 მილიონი ევრო დაუჯდათ. თუმცა ელიამ „იუვეს“ თავკაც **ანტონიო კონტეს** იმედები ვერ გაამართლა. **ნილს პეტერსენის** (ბაიერნიდან), **ასანი ლუკიმიას** (ფორტუნადან) და **თეოდორ გებრე სელასიეს** (სლოვანიდან) შემდეგ, ელია „ვერდერის“ რიგით მეოთხე შენაძენია.

კაპიტანი ისევ ფრიტცი იქნება

„ვერდერის“ მარჯვენაფლანგელი **კლემენს ფრიტცი**, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 22 მატჩი აქვს ჩატარებული, მომავალ სეზონშიც ბრემენული კლუბის კაპიტანი იქნება. ეს ინფორმაცია „მუსიკოსების“ მთავარმა მწვრთნელმა **თომას შაფმა** მოსამზადებელი შეკრების დაწყებისთანავე დაადასტურა.

„კაპიტნის შეცვლაზე ერთი წამითაც არ მიფიქრია. კლემენს ფრიტცი ჩვენი გუნდის ლიდერი და ღირსეული კაპიტანია, რომელსაც ასი პროცენტით ვენდობი,“ - თქვა შაფმა. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ფრიტცს „ვერდერთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული.

● ბარსელონა

სეიდუ, გმადლობთ, მშვიდობით!

აფრიკელს ჩინეთში უზრუნველი პენსია ელის

ახლახან „ბარსელონამ“ ხორდი ალბა შეიმატა, თუმცა კატალონიურ გუნდს დანაკარგიც აქვს - წასვლა გადაწყვიტა მალელმა ნახევარმცველმა სეიდუ კეიტამ და მას ხელი არ შეუშალეს. 32 წლის აფრიკელმა გამოაცხადა, რომ „ბარსელონაში“ გატარებული „ოთხი ძალიან წარმატებული სეზონის“ შემდეგ კლუბიდან მიდის. კეიტას კონტრაქტით კიდევ ერთი წელიწადი მართებდა „ბარსელონაში“ თამაში, მაგრამ ფეხბურთელმა ხელშეკრულების ის პუნქტი აამოქმედა, რომლის თანახმადაც მას გუნდიდან წასვლის უფლება ექნებოდა, თუკი სეზონში მატჩების ნახევარზე ნაკლებში ვერ მოხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში. კეიტამ გასულ სეზონში 38 ტურიდან მხოლოდ 14-ში ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში, კიდევ 12-ჯერ ის შეცვლაზე შევიდა. აფრიკელმა 2 გოლის გატანა შეძლო.

ფეხბურთელის განცხადებას მალევე მოჰყვა კლუბის პასუხი - „სეიდუ კეიტამ განაცხადა, რომ ის აღარ დარჩება „ბარსელონაში“ მომავალ სეზონში. კლუბი მადლიერია ფეხბურთელის გარჯისა და თავდადებისთვის და უსურვებს მას წარმატებულ კარიერას“, - ვკითხულობთ კატალონიელთა ოფიციალურ საიტზე.

კეიტა მსოფლიომ 20-წლამდელთა ჩემპიონატზე გაიცნო, სადაც მალის ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა, თავად ფეხბურთელმა კი „ოქროს ბურთი“ მიიღო. ის 17 წლისა ჩავიდა საფრანგეთში და „მარსელის“ ახალგაზრდულ გუნდს შეუერთდა. ლიგა 1-ში დებიუტი მას 1999 წელს ჰქონდა „ტრუასთან“ მატჩში, თუმცა 2000 წლის ზაფხულში „ლორიანში“ გადავიდა და გუნდს ლიგა 1-ის საგზური მოაპოვებინა, მომდევნო სეზონში კი - საფრანგეთის თასი. 2002 წელს კეიტა „ლანსში“ გადავიდა, სადაც მომავალში გუნდის კაპიტანი გახდა. 2007 წლის ზაფხულში აფრიკელი, რომელსაც უკვე ჰქონდა საფრანგეთის მოქალაქეობა, „სევილიამ“ შეიძინა და მას 4-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. მაგრამ მან ისე კარგად ითამაშა ანდალუსიაში, რომ მომდევნო ზაფხულში 14 მილიონ ევროდ „ბარსამ“ შეიძინა. ოთხი სეზონის განმავლობაში კეიტამ „ბარსელონას“ მაისურით 119 მატჩში 16 გოლი გაიტანა (სულ 188 თამაში, 22 გოლი), მოიგო 14 ტიტული „ბარსასთან“ ერთად. მალის ნაკრებში მას 72 თამაშში 19 გოლი აქვს გატანილი.

სეიდუ კეიტა ბარსელონაში აღარ ითამაშებს

და სად მიდის სეიდუ კეიტა? სად და ჩინეთში - „დალიან აერბინის“ ხელმძღვანელობამ უკვე გამოაცხადა, რომ ახლოსაა კეიტას გადაბირებასთან. ჩინელები აფრიკელს 2,5-წლიან კონტრაქტს სთავაზობენ. თავიდან იყო საუბარი, რომ კეიტას ჩინეთში წელიწადში 14 მილიონ ევროს გადაუხდიდნენ, მაგრამ „დალიანის“ მეპატრონე ჟაო მინიანმა ეს ცნობა უარყო, მან განაცხადა, რომ ფეხბურთელი დაახლოებით ამდენს მიიღებს, ოღონდ 2,5 წლის განმავლობაში.

მცველი ფორვარდის სულით

ხორდი ალბას სამედიცინო შემოწმებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, არავითარი დარღვევა არ გამოავლინა და ესპანეთის ნაკრების მცველმაც 2017 წლის ზაფხულამდე გააფორმა „ბარსასთან“ ხელშეკრულება. ამიერიდან, ვინც კი ალბას შეძენას მოინდომებს, „ბარსელონას“ 90 მილიონევროიანი წინადადებით უნდა მიმართოს. სხვათა შორის, 2012/13 წლების კლუბის მაისურში გამოწყობილ ალბას „კამპ ნოუზე“ 10 ათასი გულშემატკივარი დახვდა! „ძალიან განსხვავებული დღეა ჩემს ცხოვრებაში, ყველას მადლობა, ვინც აქ ხართ და მხარს მიჭერთ, მიხარია, რომ სახლში დავბრუნდი“, - მიმართა ალბამ „ბარსას“ ფანებს.

აი, როგორ დაახასიათა ალბა „ბარსას“ დირექტორმა ანდონი სუბისარეტამ: „დინამიკური, ინტენსიური, ძალიან კარგი ტექნიკური არსენალით. ორივე ფეხით კარგად თამაშობს და შეუძლია რამდენიმე პოზიციაზე დადგომა, ძალიან ბრძოლისუნარიანია“. სხვათა შორის, ადრეულ ასაკში ალბა ფორვარდი იყო.

ალბამ ერთობ შეაქო დავიდ ვილია, რომლის მადლიერიც ყოფილა: „ის უკვე დიდი ვარსკვლავი იყო, როცა მე მივედი „ვალენსიაში“. ვილია ძალზე დამეხმარა. როცა ეროვნულ ნაკრებში დებიუტი მქონდა, ერთ-ერთმა პირველმა მან დამირეკა და მომილოცა. ახლაც, როცა „ბარსელონას“ ფეხბურთელი გავხდი, ვილიამ პირველმა მომილოცა“.

ბარსა და დინამო

11 აგვისტოს „ბარსელონა“ წინასასეზონო ამხანაგურ მატჩს ბუქარესტში ადგილობრივი „დინამოს“ წინააღმდეგ გამართავს. ახლა უკვე ცნობილია გუნდის ყველა წინასასეზონო მატჩი. პირველად ბოლო წლების პრაქტიკაში, „ბარსელონა“ წინასასეზონო ტურით არსად მიდის. გუნდი არცთუ შორს მყოფ ქალაქებში ჩავა: ჰამბურგში (24 ივლისს), ტანჟერში (28), პარიზში (4 აგვისტოს), გეტებორგში (8) და ბოლოს ბუქარესტში (11).

ჩავი ტიტულების მეფე

23 ტიტული პროფესიულ კარიერაში - ეს ესპანელი ფეხბურთელისთვის სარეკორდოა - „ბარსას“ ნახევარმცველმა ჩავი ერნანდესმა ევრო 2012-ის მოგებით ლეგენდარულ პაკო ხენტოს გაასწრო. მადრიდელი ვარსკვლავის რეკორდმა 41 წელინადი გაძლო. ჩავიმ „ბარსელონას“ მაისურით 20 ტიტული მოიგო, ესპანეთის ნაკრებში კი - 3. და ის ჯერ კიდევ შეეცდება ამ რიცხვის გაზრდას, მხოლოდ 32 წლისაა. განსაკუთრებით ბევრი ტიტული მან ხოსეპ გვარდიოლას ხელმძღვანელობით მოიგო - 14.

ახალი სეზონიდან პირველი გუნდის სრულუფლებიანი წევრები ხდებიან: ჯოვანი დოს სანტოსი, მარტინ მონტოია, ბარტრა და მარკ მუნიესა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ხორდი ალბა კამპ ნოუზე

● მოსალოდნელი ტრანსფერი

მილოშ კრასიჩი შეიძლება "ინტერში" გადაბარგდეს

კრასიჩი ინჭერის სამიზნეში

თუ "კორიერე დელო სპორტის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, უახლოეს პერიოდში "ინტერი" კიდევ ერთი ფეხბურთელით გაძლიერდება და ეს ფეხბურთელი **მილოშ კრასიჩი** გახლავთ. 27 წლის სერბი ნახევარმცველი დიდი ხანია ვეღარ ხვდება "იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში და ამ ზაფხულს რომ გარემო უნდა გამოიცვალოს, ამას წყალი არ გაუვა; შესაბამისად, "ინტერის" ვარიანტი მისწრებაა, მით უმეტეს, რომ თავად ფეხბურთელს იტალიის დატოვება არ სურს.

აღნიშნული ტრანსფერის ალბათობას ბოლო დროს "ინტერისა" და "იუვენტუსის" მესვეურთა დაახლოება-დამეგობრებაც უწყობს ხელს – დამეგობრება ალბათ ცოტა გადამეტებული ნათქვამია, მაგრამ ფაქტია, რომ მორატებმა და ანიელებმა გარკვეულ საკითხებზე საერთო ენა გამონახეს და ითანამშრომლეს კიდეც. მაგალითად, **ლუსიოს** მხოლოდ იმ პირობით შეეძლო "ნერაძურის" დატოვება, თუ სხვა იტალიურ გუნდში არ გადაბარგდებოდა, მაგრამ ტურინელებმა მილანელებს ხელშეკრულების ამ პუნქტზე თვალის დახუჭვა სთხოვეს, რაზეც დადებითი პასუხი მიიღეს. სანაცვლოდ, ტურინელებმა მხოლოდ "ინტერისთვის" მილოშ კრასიჩზე ფასი დასწიეს და 15 მილიონი ევრო 10-მდე დაიყვანეს. მოვუსმინოთ ტურინული გრანდის სპორტულ დირექტორ **ჯუზეპე მაროტას** და ყველაფერში უკეთ გავერკვევით:

"დასამალი არაა, რომ მილოშ კრასიჩი ტრანსფერზე გვყავს დაყენებული და მისი საბაზრო ღირებულება 15 მილიონი ევროა. მილოშის მიმართ "ინტერის" მესვეურებმა გამოხატეს ინტერესი და მოლაპარაკების პროცესიც დაწყებულია. გამომდინარე იქიდან, რომ მილანელებმა საშუალება მოგვცეს ლუსიო დაგვემატებინა, მათთან სხვა პირობებზეა ლაპარაკი და მზად ვართ, კრასიჩი 10 მილიონი ევროს სანაცვლოდ დავთმოთ. ვნახოთ, უახლოეს პერიოდში მილანელებთან შეხვედრას ვაპირებთ და ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ. საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ შეთანხმება შედგეს".

ლაშა ნიკლაური

● მოულოდნელი ამბავი

მოდენას ბაჯო ჩაიბარებს?

რობიმ სამწვრთნელო ლიცენზია აიღო

რობერტო ბაჯო

მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა "კორიერე დელო სპორტმა", რომლის მიხედვითაც, დიდი შანსია, "მოდენას" მთავარ მწვრთნელად იტალიური ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა, **რობერტო ბაჯო** დაინიშნოს. რობიმ სამწვრთნელო ლიცენზია ისე აიღო, რომ ამის შესახებ ბევრს არავის გაუგია – ამიტომ, აღნიშნული ინფორმაცია მართლაც რომ მოულოდნელი გახლდათ. "მოდენა" სერია B-ში ასპარეზობს და ელიტაში დაბრუნება აქვს მიზნად დასახული.

"მოდენას" მესვეურები უკვე დაუკავშირდნენ რობერტო ბაჯოს და მას ხელშეკრულების გაფორმება შესთავაზეს; ამ პროცესებს კლუბის კონსულტანტი **ანტონიო კალიენდო** ხელმძღვანელობს, რომელიც თავის დროზე, რობის პირადი აგენტი გახლდათ და კალჩოს ლეგენდასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. ჟურნალისტები თვითონ რობერტოს ვერაფრით დაუკავშირდნენ, აი კალიენდომ კი საინტერესო კომენტარი გააკეთა:

"რობის კარგა ხანი არ სურდა მწვრთნელობა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აზრი შეიცვალა და სწავლაც დაიწყო. რამდენიმე დღის წინ ლიცენზია აიღო, რომელიც უფლებას აძლევს, რომ სერია A-ს გუნდს ჩაუდგეს სათავეში. ამ ამბავმა ძალიან გამახარა და "მოდენას" მესვეურებს უმალ შევთავაზე მასთან მოლაპარაკების წამოწყება. ბაჯოს პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, შეთანხმება შედგება და რობი თავის სამწვრთნელო კარიერას "მოდენაში" მუშაობით დაიწყებს. დარწმუნებული ვარ, ისეთი ბრწყინვალე მწვრთნელი იქნება, როგორიც ფეხბურთელი იყო".

ლაშა ნიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პორტრეტი. ბაიერნის ახალი სპორტული დირექტორი

ზამთრის სისჯეშუ

როგორ მუშაობს და ისწრაფვის წარმატებისკენ ბაიერნის ახალი ბოსი

ზუსტად კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც „ბაიერნს“ სპორტული კუთხით ახალი ბოსი ჰყავს – კაცი, რომელიც ფეხბურთზე უზომოდაა შეყვარებული. ეს კაცი ყველა ვარჯიშს ესწრება, ესაუბრება მწვრთნელს, ხელმძღვანელებს და ფეხბურთელებს. ის ყველას ელაპარაკება და ყველა მასზე ლაპარაკობს – ყოველთვის ასე იყო, როცა საქმე მათიას ზამერს ეხებოდა და ასეა ახლაც.

ზამერი რეკორდმაისტერის ახალი სპორტული დირექტორია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მენეჯერი, რომელიც „ბაიერნის“ ხელმძღვანელობიდან ყველაზე ხშირად იქნება ყურადღების ცენტრში. 44 წლის ფუნქციონერი, რომელიც აქტიური სპორტული კარიერის დროს თითით საჩვენებელი ფეხბურთელი იყო და უკანასკნელი გერმანელი მოთამაშეა, რომელსაც ოქროს ბურთი აქვს აღებული (1996), გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან მიუნხენურ გრანდში იმიტომ გადაიყვანეს, რომ ბავარიული გრანდი დააბრუნოს იქ, სადაც მისი ადგილია – ჯერ გერმანული ფეხბურთის, მერე კი ევროპის მწვერვალზე. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან ორი წელია, „ბაიერნს“ ტიტული არ მოუგია, გასულ სეზონში განცდილი ფიასკოების შემდეგ კი რეკორდმაისტერს უკვე გერმანიის მეორე კლუბად მოიხსენიებენ, რადგან ბუნდესლიგაშიც მეორე ადგილი დაიკავა, გერმანიის თასის ფინალში დამარცხდა და ვერც ჩემპიონთა ლიგის ფინალი მოიგო. მიუნხენში არ უყვართ მეორეობა და ამიტომაც მიიყვანეს ზამერი – კაცმა, რომელმაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორის რანგში სამაგალითოდ იმუშავა, თავისი შესაძლებლობები ახლა „ბაიერნში“ უნდა დაამტკიცოს.

ამრიგად, ზუსტად ერთი კვირა გავიდა მას მერე, რაც ზამერი რეკორდმაისტერში დაინიშნა და გაგახსენებთ, როგორ ჟღერდა მისი პირველი დაპირება: *„ჩვენ გვინდა და ვალდებულები ვართ, რომ თავიდანვე წარმატებული ფეხბურთი ვითამაშოთ!“*

ყველაფერს ხედავს, ყველაფერი ესმის: მათიას ზამერი

გოტფრიდ ლენცი

ბაიერნში უკვე ბევრი რამ შეიცვალა

ამ ერთ კვირაში „ბაიერნში“ ყველაფერი სხვანაირად ხდება, რაც, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ზამერის დამსახურებაა. 67 წლის მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** მნიშვნელოვნად შეიცვალა: ვარჯიშებზე ტონს აუწია და ფეხბურთელებს ადრინდელზე აგრესიულად და ხშირად უჯავრდება, როცა ისინი შეცდომებს უშვებენ. უკვე ჰაინკესიც ზამერივით ლაპარაკობს, როცა ამბობს, ფეხბურთელებს თითოეულ მოქმედებაზე უნდა ეტყობოდეთ, რომ წარმატებები სწყურიათო.

წარმატება არის ერთადერთი რამ, რისკენაც ზამერი ისწრაფვის: *„არ მაინტერესებს, შემაქებენ თუ ვეყვარები – ეს ჩემთვის არასდროს იყო მნიშვნელოვანი. ბავშვობაშიც ძალიან მონდომებული და მიზანმიმართული ვიყავი,“* - აცხადებს მათიასი.

ფეხბურთელი ზამერი დორტმუნდის „ბორუსიასთან“ ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა, მოიგო ჩემპიონთა ლიგაც, ხოლო გერმანიის ნაკრებში კი 1996 წელს ევროპის ჩემპიონობა იზეიმა. ზამერი ყოველთვის შეუდრეკელი და საკუთარი თავის მიმართაც კი დაუნდობელი იყო – ამიტომაც შეარქვეს „მოტეცკი“, რაც, მათიასის თქმით, კომპლიმენტია. *„ზამერის წინააღმდეგ შანსი არ გაქვთ!“* - სკანდირებდა ხოლმე „დორტმუნდის“ სამხრეთი ტრიბუნა საშინაო მატჩების დროს. მათიასი გასახდელში ყველაზე ძლევამოსილ და გავლენიან ფეხბურთელებს ეჩხუბებოდა – „ბორუსიაში“ **ანდრეას მიოლერს** შეუტია, გერმანიის ნაკრებში კი თვით **შტეფან ეფენბერგს** ეჩხუბა.

მათიასი საკუთარი თავის შესახებ: *„მირჩევნია, არასიმპათიური გამარჯვებული ვიყო, ვიდრე სიმპათიური დამარცხებული! კითხვა ყოველთვის ასე უნდა დაისვას: გვინდა თუ არა წარმატების მიღწევა? გამარჯვებისთვის ბრძოლაში ყველა ხერხი გამართლებულია.“*

ის ემოციური ფეხბურთელი იყო და ფუნქციონერის რანგშიც ემოციურია. **დიტერ ჰაინესი** ამბობს, კაცი დავბერდი და არასდროს მინახავს ისეთი მოტივირებული ფეხბურთელი, როგორიც ზამერი იყოო.

> **„მირჩევნია, არასიმპათიური გამარჯვებული ვიყო, ვიდრე სიმპათიური დამარცხებული!“**

ძალაუფლების მოყვარული მოტცკი

მათიასმა კარიერა 2000 წელს, 30 წლის ასაკში დაასრულა. მუხლის მძიმე ტრავმამ აიძულა, ბუცები ლურსმანზე ნაადრევად ჩამოეკიდებინა და სხვათა შორის, სირბილი დღემდე აკრძალული აქვს. ზამერი კარიერის დასრულებისთანავე „დორტმუნდის“ მთავარი მწვრთნელი გახდა, 2002 წელს „ბორუსიას“ გერმანიის ჩემპიონატი მოაგებინა და ბუნდესლიგის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი მწვრთნელი გახდა. მოგვიანებით „შტუტგარტშიც“ იმუშავა, მაგრამ მიხვდა, რომ მწვრთნელობა არ არის ის, რაზეც კარიერის დასრულების შემდეგ ოცნებობდა. მწვრთნელის რანგში მათიასი თავს ვერ გრძნობს ისე კომფორტულად, როგორც უნდა, რადგან მეტი ძალაუფლება სურს. ფეხბურთელობის დროს მათიასი ყოველთვის შეფი იყო და შეფობა სურდა კარიერის მერეც.

2006-ში მათიასი გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორად დანიშნეს და ბავშვთა ფეხბურთიც ჩააბარეს. მიზანი ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბთან ერთად ახალი თაობისა და გუნდის ფორმირება გახლდათ. მათიასმა ბავშვთა ფეხბურთის განვითარების კონცეფცია ჩამოაყალიბა და ყველა მწვრთნელს (გარდა ეროვნული ნაკრებისა) ტექნიკაზე, ტაქტიკაზე, კადრებსა და კონდიციაზე მუშაობის გეგმა დაუდგინა. სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ გერმანიის 17-წლამდელთა, 19-წლამდელთა და 21-წლამდელთა ნაკრები გუნდები ევროპის ჩემპიონები გახდნენ.

დაპირისპირება ლიოვთან

2008 წლამდე მათიასი მჭიდროდ თანამშრომლობდა გერმანიის ეროვნული გუნდის სამწვრთნელო შტაბთანაც, მაგრამ ყოველთვის იგრძნობოდა, რომ ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვთან** და ნაკრების მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფთან** დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა – მათ ზამერის მკაცრი ტონი და მიდგომა არასდროს მოსწონდათ. 2008 წელს კი დენთის კასრი აფეთქდა: ზამერმა ვერ დამალა უკმაყოფილება და გაბრაზებული იმის გამო, რომ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ბირჰოფმა და ლიოვმა ბერლინში ფეხბურთელები და ფანები ერთად აზეიმეს. ზამერის აზრით, წაგებული ფინალის შემდეგ ზეიმი უდიდესი სირცხვილი იყო...

ამბობდნენ, ზამერისა და ლიოვის დაპირისპირებას ეს უკანასკნელი შეეწირებაო, მაგრამ ასე არ მოხდა – საფეხბურთო კავშირის შეფებმა ლიოვს ხელი ვერ ახლეს და ცხადია, ვერც ზამერი დააოკეს, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მათიასი ეროვნული გუნდისთვის უნდა ჩამოეშორებინათ. ამრიგად, 2008 წლის შემდეგ ბუნდესგუნდმა მუშაობა მათიასის გარეშე განაგრძო, ზამერი კი სხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების შეფად დარჩა.

ბაიერნი, ახალი გამოწვევა

„ბაიერნის“ პრეზიდენტი **ული ჰაინესი** მიხვდა, რომ ზედიზედ ორი სეზონის ჩაგდების შემდეგ, რაც რეკორდმაისტერისთვის კატასტროფის ტოლფასია, გუნდში ისეთი კაცი სჭირდებოდა, როგორიც ზამერია და მათიასისგან პირველივე დარეკვისას თანხმობა მიიღო – მას იქ ურჩევნია მუშაობა, სადაც ბოლომდე ენდობიან და სრულ კარტ-ბლანშს სთავაზობენ.

მათიასი „ბაიერნში“ ძველებურ შემართებას დაბრუნებსო, ამბობს **ფრანც ბეკენბაუერი**. *„ბოლოს და ბოლოს, „ბაიერნის“ ფეხბურთელებისგან სხვადასხვა სულელურ ალიბებს აღარ მოვისმენთ, რადგან ზამერი ამას არ დაუშვებს,“* - ეს კი **ლოთარ მათეუსის** სიტყვებია.

ამრიგად, **არიენ რობენს** და კომპანიას სულ სხვანაირად მოუნევთ შრომა, რადგან ზამერს არ უყვარს ეგოისტი ან გაზულუქებული ფეხბურთელები. მას ლიდერები სჭირდება და რაც მთავარია, ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიუდო. ოლიმპიური ნაკრები

შუკვანი, ჟორჟოლიანი, ოქრუაშვილი - ლონდონში!

ზაიზენბახერმა ოთხს სამიც დაუმატა და ოლიმპიური გუნდი დაასახელა

საქართველოს ვაჟ ჟიუდოისტთა ნაკრები ავიარეისების გადადების გამო ერთი დღით მიუნხენის აეროპორტში დაყოვნდა და თბილისში მთელი დღის დაგვიანებით, შაბათ საღამოს დაბრუნდა - მიუნხენი-კიევი-თბილისის მარშრუტით. ამიტომ ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა მხოლოდ გუშინ დაასახელა პრესკონფერენციაზე.

ლომერ ჟორჟოლიანი (მარცხნივ) და ბეთქილ შუკვანი

ზაიზენბახერმა გაამართლა მოარული ხმები და საკამათო, ანუ გაორებულ წონებში ოლიმპიურ ნაკრებში კულუარებში ადრევე დასახელებული ფალავნები შეიყვანა - **ბეთქილ შუკვანი** (60), **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) და **ადამ ოქრუაშვილი** (+100). შეგახსენებთ, რომ დანარჩენ წონებში ლონდონის ოლიმპიადაზე ჭიდაობა განაღდებული ჰქონდათ **ლაშა შავდათუაშვილს** (66), **ნუგზარ ტატალაშვილს** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილს** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90), რადგან ამ წონებში მხოლოდ თითო ლიცენზიატი გვყავდა და არჩევანი არც გვქონდა.

გაორებული წონებიდან შუკვანისა და ოქრუაშვილის საკითხი მარტივად გადაწყდა, ყველაზე პრობლემური კი 100 კილოგრამში ოლიმპიადის მონაწილის არჩევა იყო. ოქრუაშვილი სალიცენზიო რეიტინგშიც გვარიანად უსწრებდა კონკურენტ **ზვიად ხანჯალიაშვილს**, წლეულს შედეგებითაც აჯობა, რასაც ბოლოს ხანჯალიაშვილის ტრავმაც დაემატა - მან საოლიმპიადოდ მოსამზადებელი ლამის მთელი ციკლი ჩააგდო. შუკვანისა და **ამირან პაპინაშვილის** კონკურენციაში, ვფიქრობთ, გარდამტეხი მომენტი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დადგა. მოგეხსენებათ, ჩელიაბინსკში გამართული კონტინენტის პირველობა ბოლო სალიცენზიო შეჯიბრება იყო, სადაც პაპინაშვილი მესამეზე გავიდა, შუკვანმა კი წააგო და ამით თითქოს ხაზი გადაუსვა შარშანდელ მონაგარს, როცა მშვენიერი სეზონი ჩაატარა და ევროპის პირველობაზე ვერცხლიც მოიპოვა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ჩელიაბინსკის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა - შუკვანი, რომელიც ევროპაზე გადაღლილი მოგვეჩვენა, ძველებურად დამაჯერებლად აჭიდავდა, თუმცა აქ პაპინაშვილის ავადმყოფობაც უნდა აღინიშნოს. ამან თავი ჯერ კიდევ იაპონიაში ჩატარებულ ბოლო შეკრებაზე იჩინა და როგორც ამბობენ, სწორედ ეს გახდა რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადზე" პირველივე შეხვედრაში მისი მარცხის მიზეზი. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ზაიზენბახერს ეს თემა არ უხსენებია. განაცხადა, რომ მათი აზრით, შუკვანს პოტენციურ მეტოქეებთან წარმატების მეტი შანსი აქვს, ბოლო თვეებში უკეთ გამოიყურება და ამიტომ შეაჩერა მასზე არჩევანი, თუმცა ისიც ფაქტია, რომ პაპინაშვილი ბრაზილიიდან არც არგენტინაში წაიყვანეს იქაურ ტურნირზე და თან თბილისში მაშინვე შიშობდნენ, რომ ის გამოჯანმრთელებას ვერც სალონდონედ მოასწრებდა. ასეა თუ ისე, ეს ხმები გამართლდა და ოლიმპიადას მართლაც შუკვანი იჭიდავებს.

ცირეკიძე-ჟორჟოლიანი: მთავარი დილემა

როგორც გითხარით, ამ სამი წონიდან ყველაზე პრობლემური 100 კილოგრამი იყო, სადაც ერთ მხარეს ევროპის ორგზის ვიცე-ჩემპიონი ჟორჟოლიანი იდგა, მეორე მხარეს - ქართული ძიუდოს ყველაზე სახელოვანი წარმომადგენელი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე**. სალიცენზიო რეიტინგში ჟორჟოლიანი 680 ქულით XI ადგილზეა, ცირეკიძე კი 422-ით - XVII-ზე. სპორტული პრინციპით ანუ რეიტინგიდან გამომდინარე ოლიმპიადაზე წასვლა ჟორჟოლიანს რომ ეკუთვნის, ამაზე არავინ კამათობდა. არც იმაზე, რომ თითქოს ჟორჟოლიანი ოლიმპიადაზე უშანსოდაა და მისგან ჯილდოს არ უნდა ველოდოთ, მაგრამ უმეტესობის აზრით, ცირეკიძეს მედლის მოპოვების მეტი შანსი აქვს. ეს - ზოგადად მედალზე როცაა ლაპარაკი, თორემ თუ უფრო მაღალი სინჯის მედალს ავიღებთ ანუ ფინალში გასვლას, აქ ცირეკიძის მაზანდა კიდევ უფრო ზევით იწევდა.

ერთი სიტყვით, ყველას აინტერესებდა, ზაიზენბახერი ქუღლებს გაითვალისწინებდა თუ - შანსებს? პრესკონფერენციაზე მწვრთნელმა განაცხადა, რომ ის ცირეკიძეს აყენებდა, მაგრამ სპორტული პრინციპიდან გამომდინარე, თავად თქვა უარი და ადგილი კონკურენტს დაუთმო. თუმცა მიზეზი შეიძლება სხვაც იყოს. ჩელიაბინსკში წასვლამდე თავად სპორტსმენები შეთანხმდნენ, ევროპაზე ვინც უკეთ იასპარეზებდა, ლონდონშიც ის წავიდოდა (!), იქ კი ცირეკიძე მეშვიდეზე გავიდა, ჟორჟოლიანი - მეორეზე.

სიტყვამ მოიტანა და ამ შეთანხმებებზეც უნდა ვთქვათ, რაც არახალია ქართული სპორტისთვის და მანკიერ მოვლენად მიგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, ფარული გარიგების სახე ნამდვილად აქვს. *ვფიქრობთ, სპორტსმენებს არ აქვთ ასეთი გარიგებების უფლება, რადგან ეროვნული ნაკრები ქვეყნის სახეა და ვინ სად იასპარეზოს, ეს არა მათ, არამედ ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტოს. სპორტსმენები ნაკრებში გამოსვლისთვის ხელფას-პრემიებს ხალხის გადასახადებიდან იღებენ და მათი ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული.*

ნისლიან ალბიონზე გამოიდარებს?

მოკლედ, ლონდონში ჟორჟოლიანი იჭიდავებს, რომელიც ჩვენს ოლიმპიურ გუნდში ყველაზე გამოცდილია - მის გარდა ყველა ოლიმპიადის დებიუტანტია, ის კი პეკინური თამაშების მონაწილეობაა. ვიმედოვნებთ, ეს ფაქტორი ჟორჟოლიანზე დადებითად იმოქმედებს და „ნისლიან ალბიონზე" გაუმკლავდება თავის ყველაზე ცუდ თვისებას - არასტაბილურობას. მას წონის ლამის ყველა ლიდერთან მოუგია, ყველას დამარცხება შეუძლია, მაგრამ უჭირს მთელი ტურნირის სტაბილურად მაღალ დონეზე ჭიდაობა, ძლიერ მონინააღმდეგესთან გამარჯვებას შედარებით სუსტთან მარცხს მიაყოლებს ხოლმე. ის ნამდვილად არაა ზარმაცი და ფუქსავატი, მშრომელი ბიჭია, თავმდაბალი, წყნარი და წესიერი, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს მართლაც კარგი თვისებები ტატამზე არცთუ სასურველი თანამგზავრია - იქ მეტი ჟინი, შემართება და გულიანად შეტევაა საჭირო. ხშირად გამოხედვა, მიმიკა, ჟესტი, ჩუმი მუჯლუგუნი ან რამე ამგვარი მეტოქეზე ფსიქოლოგიური ზეწოლისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ამიტომ მან ტატამზე ცოტა გაბრაზებაც უნდა ისწავლოს და უნდა ირწმუნოს, რომ ყველას დამარცხება ხელეწიფება. თუ ამ თვისებებს გამოიმუშავებს ანუ საკუთარ თავზე მაღლა დადგება, მაშინ „ნისლიან ალბიონზე" მისთვისაც გამოიდარებს.

ირაკლი თავაძე

ჭიდაობა. ნაკრები

საბზადრში

ოლიმპიადისთვის მთელი დატვირთვით ემზადებიან ჩვენი „თავისუფალი" და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდები.

ბერძენ-რომაელები ამჟამად მინსკში, „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე გადიან შეკრებას, სადაც **ბეგი დარჩიას** განკარგულებაში ლიცენზიების უშუალოდ მომპოვებელი ექვსეულია: **რევაზ ლაშხი** (60), **მანუჩარ ცხადაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **ვლადიმერ გეგეშიძე** (84), **სოსო ჯაბიძე** (96), **გურამ ფერსელიძე** (120). ოლიმპიადაზეც ეს ექვსეული იჭიდავებს. ისინი ბელარუსში წინა კვირას გადაფრინდნენ გერმანიიდან მას შემდეგ, რაც დორტმუნდში წარმატებით იასპარეზეს „გერმანიის დიდ პრიზზე" - თითო ოქრო-ვერცხლი და ორი ბრინჯაო მოიპოვეს. ტურნირის ჩემპიონი ლაშხი გახდა, ცხადაიამ ვერცხლი მოიპოვა, გეგეშიძე და ჯაბიძე კი მესამეზე გავიდნენ.

„თავისუფლები" სადღეისოდ დუშეთში ვარჯიშობენ, სადაც **ზაზა თურმანიძის** განკარგულებაში 40 ფალავანია. მათ შორის, ის შვიდეულიც, რომელმაც სალიცენზიო ტურნირებში წარმატებით იასპარეზა ანუ ლონდონის ოლიმპიადაზეც იჭიდავებს: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **მალხაზ ზარქუა** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120). მიმდინარე შეკრებას ორივე გუნდი 22 ივლისს დაამთავრებს და დასკვნით შეკრებაზე ბორჯომში გაემგზავრება. ბერძენ-რომაელები ბორჯომში ალტერნატივად ისევ „სტაიკებს" განიხილავდნენ, თუმცა ეს საკითხი იმხანად განხილვის პროცესში იყო, ახლა კი როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, ეს საკითხი ბორჯომის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამ დღეებში მოჭიდავეებთან კიდევ ერთი სიახლეა – გერმანიიდან ჩამოვიდა „ადიდასის" ის ახალი საჭიდაო ფორმები, რომლითაც ფალავნებმა ოლიმპიადაზე უნდა იასპარეზონ, კაცზე 4-4 კომპლექტი. „თავისუფლებს" ახალი ფორმები გუშინ უკვე დაურიგეს დუშეთში, ბერძენ-რომაელები კი მას საქართველოში დაბრუნების შემდეგ მიიღებენ. ლონდონშიც უფრო ადრე ბერძენ-რომაელები წავლენ – 2 აგვისტოს დარჩია და დათუნაშვილი გაემგზავრებიან.

ირაკლი თავაძე



ჭიდაობა ჩვენი, ქართული...

ცაგერში კომპლექსი აშენდება, ქუთაისში ...ანგრევენ!

ლეჩხუმში ქართულ ჭიდაობაზე ორი ახალი ამბავი შევიტყვეთ: ერთი - სასიხარულო, მეორე - სამწუხარო. რაჭა- ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის გუბერნატორმა დავით გაგოშიძემ იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთის მონაწილეობით გამართულ ზონალურ ტურნირზე ბრძანა - მალე ცაგერის ცენტრში დაიწყება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობაო, რამაც დამსწრე საზოგადოების მქუხარე ტაში გამოიწვია.

მეორე ამბავი კი ქუთაისელი სპორტის მესვეურებისგან შევიტყვეთ. ამ ქალაქში ახლახან დაუწყიათ ქართული ჭიდაობის ერთადერთი სპორტდარბაზის დანგრევა! ახლის მშენელობაზე კი მათ არაფერი უთქვამთ...

ცაგერის ძველი სპორტდარბაზი ქართული ჭიდაობის ადგილობრივი ქომაგებით იყო გაჭედილი. ისინი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მუსიკის ჰანგების ფონზე გაჩაღებულ ჩოხიანთა რკენას.

ცაგერელებისთვის ზონალური პირველობა ნამდვილ ზეიმად იქცა. თუმცა კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებაზე, როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე მეტი ჯილდო ქუთაისლებმა მოიპოვეს. მასპინძლებსაც ერგოთ ერთი ოქრო და ერთი ბრინჯაო.

თასით დაჯილდოვდა ცაგერის ქართული ჭიდაობის ამაგდარი **კობა ქომეთიანი,** ჯილდო მას ქართული ჭიდაობის კოორდინატორმა, საქართველოს რვაგზის ფალავანმა **ალექსი დავითაშვილმა** გადასცა.

ქვარცხლბეკი

60 კგ. 1. ალეკო ბართია (ქუთაისი), 2. გიორგი ნასყიდაშვილი (ზესტაფონი), 3. გოგა კაპანაძე (ჭიათურა).

66 კგ. 1. გიორგი კაცაძე (ქუთაისი), 2. მირიან ენუქიძე (ჭიათურა), 3. ნუგზარ ქურასბედიანი (ქუთაისი),

73 კგ. 1. ნიკა ბიწაძე (ქუთაისი), 2. ირაკლი წერეთელი (ჭიათურა), 3. თორნიკე მურცხვალაძე (ცაგერი).

81 კგ. 1. ალექსანდრე ქურასბედიანი, 2. გიგა არჩვაძე (ორივე - ქუთაისი), 3. გრიგოლ სოფრომაძე (ტყიბული).

90 კგ. 1. დავით ქომეთიანი (ცაგერი), 2. იასონ ნემსაძე (ქუთაისი), 3. დიმიტრი ტაბატაძე (საჩხერე).

+90 კგ. 1. ონისე ბუღაძე, 2. გოგი კილაძე (ორივე - საჩხერე), 3. გურამ წულუკიძე (ქუთაისი).

გაბრიელ ბარჯაძე
ცაგერი

ჭლაჟის ხელბურთი

ქვარცხლბეკზე უცვლელი შემადგენლობით

აჭარის დედაქალაქში გუშინ დამთავრდა 18-წლამდელ გოგონათა და ვაჟთა ევროპის მე-3 ჩემპიონატი პლაჟის ხელბურთში. პირველობისთვის რვა-რვა გუნდი იბრძოდა. ვაჟებში წარმატებით აიღეს სტარტი უნგრელებმა და რუსებმა. მეორე ეტაპიდან მათ მხარი აუბეს თურქებმა. მეოთხედფინალში უნგრელებმა ზედიზედ მეშვიდე მატჩი მოიგეს - ამჯერად საქართველოს ნაკრებს (წინა ორ ეტაპზე ექვსივე ორთაბრძოლა დათმო) აჯობეს 2:0 (19:15, 19:18). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ნორვეგია-რუსეთი 0:2, უკრაინა-შვეიცარია 0:2, თურქეთი-ხორვატია 2:1. ჯმის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მეხუთე-მერვე ადგილებისთვის პაექრობაში ჯერ ხორვატიასთან წააგო მშრალად 0:2, ბოლო მატჩში კი ნორვეგიას სძლია 2:1 და მე-7 ადგილი დაიკავა.

ნახევარფინალი: უნგრეთი-თურქეთი 1:2, შვეიცარია-რუსეთი 0:2.

ფინალი. რუსეთი-თურქეთი 2:0 (23:16, 25:24). **მატჩი მე-3 ადგილისთვის.** უნგრეთი-შვეიცარია 2:0 (23:18, 20:17).

გოგონებშიც ვაჟთა შორის პრიზიორი ქვეყნების ნარმომადგენლები ავიდნენ კვარცხლბეკზე, ოღონდ სხვა თანმიმდევრობით. თავიდანვე უდანაკარგოდ უნგრელები, რუსები და თურქები დაწინაურდნენ. ამ უკანასკნელებმა მეოთხედფინალში ზედიზედ მეშვიდე მარცხი აგემეს ქართველ გოგონებს 2:0 (20:11, 18:11). სომხეთი-რუსეთი 0:2, უნგრეთი-შვეიცარია 2:0, ნორვეგია-უკრაინა 2:1. ქართველმა ხელბურთელმა გოგონებმა, თანამემამულე ვაჟების მსგავსად, მე-8 პაექრობაც დათმეს უკრაინელებთან 0:2, მხოლოდ ბოლო მატჩში მიაღწიეს ნარმატებას სომხეთთან 2:0 (16:14, 1512) და მე-7 ადგილზე გავიდნენ.

ნახევარფინალი. თურქეთი-ნორვეგია 2:0 (17:10, 15:4), უნგრეთი-რუსეთი 2:0 (18:16, 25:16).

ფინალი. უნგრეთი-თურქეთი 2:0 15:13, 31:25). **მატჩი მე-3 ადგილისთვის.** რუსეთი-ნორვეგია 2:0 (25:8, 20:12).

ვაჟა დანელია

● შვიდკაცა რაგბი. ევროპის გრან-პრი. III ეტაპი. 7-8 ივლისი. ოდენსე (დანია)

სინი საქართველოს!

მოსკოვში შერცხვენის შემდეგ, სადაც საქართველოს ნაკრები 12 გუნდში XI ადგილზე გავიდა, შვიდკაცა ნაკრების თავკაცმა კახა ალანიამ ევროპის გრან-პრის მე-3 ეტაპზე უფრო ძლიერი შემადგენლობა წაიყვანა. გუნდს ამერიკული ტურნედან დაბრუნებული „ბორჯღალოსნები" დაემატნენ და შედეგიც გაცილებით უკეთესი მივიღეთ - დანიაში გუნდმა V ადგილი და სინი მოიპოვა.

ოდენსეში 16 გუნდი 4 ჯგუფად გაიყო, საქართველო C ჯგუფში რუსეთთან, უკრაინასთან და ბელგიასთან მოხვდა. პირველ მატჩში რუსეთის ნაკრებთან „მშრალად" დამარცხების შემდეგ ჩვენმა გუნდმა უკრაინას და ბელგიას მოუგო და თასისთვის ბრძოლა გააგრძელა.

სამწუხაროდ, გუშინ მეოთხედფინალში პორტუგალიის ნაკრებმა სასტიკად დაგვამარცხა - 0:24 - და ჩვენი გუნდი მე-5 ადგილისთვის (სინისთვის) ბრძოლაში გადაერთო.

პირველი მეტოქე სინისთვის ბრძოლაში შოტლანდია იყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებს შემცვლელები აღარ ჰყავდა ტრავმების გამო, გუნდმა მცირე სენსაცია მოახდინა და 21:19 დაამარცხა შოტლანდია. ასე გავედით სინისთვის ფინალში ინგლისელთა პირისპირ, სადაც ასევე დავამარცხეთ მეტოქე (21:14) და სინს დავეუფლეთ.

C ჯგუფი	
საქართველო-რუსეთი	0:12
საქართველო-უკრაინა	5:0
საქართველო-ბელგია	24:0
1/4 ფინალი	
საქართველო-პორტუგალია	0:24
პლეი ოფი	
საქართველო-შოტლანდია	21:19
მე-5 ადგილისთვის	
საქართველო-ინგლისი	21:14

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ქადრაკი

პირველობა ვადამდე

ინგა ჭარხალაშვილი

ვარშავაში დღეს დამთავრდება ქრისტინა რაძიკოვსკას მე-2 საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც მთავარი პრიზისთვის სამი ქვეყნის 10 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი იბრძვის წრიული სისტემით.

ტურნირზე შესანიშნავად თამაშობს ქართველი დიდოსტატი **ინგა ჭარხალაშვილი,** რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით მასპინძელ ალექსანდრა ლაჩს მოუგო და 6,5 ქულით, ფაქტობრივად, პირველობა გაინაღდა. **ნინო ბაციაშვილმა** თეთრებით **სოფიო გვეტაძე** დაამარცხა და ჰოლანდიელ ანე ჰაასტის მძლეველ კარინა ჰოროვსკასთან ერთად 4,5-4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ინაწილებს.

ვაჟა დანელია

მომხიბლავი საპრიზო ფონდით

ფილადელფიაში (აშშ) მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი, გამარჯვებული მიიღებს 20 000-ს) გასულ უქმეებზე ორი ტურის პარტიები გათამაშდა.

ქართველ დიდოსტატთაგან **გიორგი ყაჭეიშვილმა** და **თამაზ გელაშვილმა** მონაგარს 1,5-1,5 ქულა შესძინეს: ყაჭეიშვილმა შიამ ნიხილს (ინდოეთი) სძლია და ალექსანდრ სტრიპუსკის (აშშ) დაუზავდა, გელაშვილმა კი იაკოვ ნოროვიუს (აშშ) მოუგო და ალოჟი იანკოვიჩს (ხორვატია) შეუთანხმდა ყაიმზე. ჩვენებურებმა შვიდი შესაძლებლიდან 5-5 ქულას მოუყარეს თავი და მეექვსე-მეშვიდე ადგილებს ინაწილებენ, ლიდერებს - ივან სოკოლოვსა (ჰოლანდია) და ალექსანდრ შაბალოვს (აშშ) თითო ქულით ჩამორჩებიან.

თანამემამულეებს მხარი ვერ აუბა დიდოსტატმა **მიხეილ კეკელიძემ.** ხუთი ტურის შემდეგ იგი ლიდერთა შორის იყო, მაგრამ ბოლო ორი ორთაბრძოლა დათმო, შესაბამისად, მარინ ბოსიოჩიჩთან (ხორვატია) და რეი რობსონთან (აშშ). 4 ქულით მას 38-ე ადგილი უკავია.

შარშან მსგავს შეჯიბრებაში გატა კამსკიმ და მაიკლ ადამსმა გაიყვეს პირველი-მეორე ადგილები.

ვაჟა დანელია

● კიკბოქსინგი

შავი ზღვის თასი დედოფლისწყაროში

კიკბოქსინგში "შავი ზღვის თასის" ტრადიციულ გათამაშებაში, რომელიც ბათუმში ამ დღეებში გაიმართა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, საქართველოს, აზერბაიჯანის, ირანისა და სომხეთის 200-მდე ახალგაზრდა სპორტსმენი მონაწილეობდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გუნდმა „ჩემპიონმა'' **თამაზ ყარაგვეზაშვილის** ხელმძღვანელობით ტურნირში წარმატებით იასპარეზა, გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა და მთავარ პრიზს - „შავი ზღვის თასს'' დამსახურებულად დაეუფლა. პირად ჩათვლაში კი 7 ოქროს, 6 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

გამარჯვებულთა შორის არიან **თორნიკე ლეკაშვილი, ზურაბ ჯეთერიშვილი, ვალერი ვაჭარიძე, ვანო ნათელაძე, დავით ქადაგიძე** და **ხვიჩა ქოქუაშვილი.** მეორე პრიზორები გახდნენ **ვალერი კვინინაშვილი, არტურ ტოროსიანი, თამუნა ჩიბუხაშვილი, გოჩა ხილაძე, ალიკა ბექაური, დავით ჯინაშვილი.** მესამე ადგილზე გავიდნენ **გიორგი გომერშმიდი** და **გიორგი ხუციშვილი.**

ლელა ხეჩოშვილი

სიბაშვილი მეწინავეობს

გიორგი სიბაშვილი

დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა მოჭადრაკეთა დუბაის მე-11 ჩემპიონატი, რომელშიც 16 ქვეყნის 163 წარმომადგენელს შორის 4 ჩვენებურია.

გამორჩეულად თამაშობს **გიორგი სიბაშვილი,** რომელმაც მე-7 ტურში საფარმირატ ათაბაიევს (თურქმენეთი) სძლია და 6,5 ქულით პირველ ადგილზეა. ამდენივე ქულას მოუყარა თავი უკრაინელმა ვოლოდიმირ ვეტოჩკომ: მან აზერბაიჯანელი ერთპიროვნული ლიდერი ნარმინ მამადოვა დაამარცხა და უარესი კოეფიციენტით მე-2 ადგილზეა. მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან შანეფეს მერედოვი (თურქმენეთი), ნარმინ მამადოვა, ალ-რაშედ მაიედი (საამიროები) და რაია სავაითი (ინდოეთი). 5,5 ქულა მოაგროვა ექვსმა მოჭადრაკემ. მათ შორის უკეთესი კოეფიციენტი აქვს **ნინო ხომერიკს** - იგი მე-7 ადგილზეა. **ანა თედოშვილმა** და **მარიამ მჟავიამ** 4,5-4,5 ქულას მოუყარეს თავი.

ტურნირზე შვეიცარიული სისტემით 9 ტური გათამაშდება.

ვაჟა დანელია

ლიდერები ფრთხილობენ

ესპანურ ბარბერაში გრძელდება მოჭადარკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომრლშიც თბილისელი დიდოსტატი **ლევან არაშიძეც** მონაწილეობს. ოთხი ტურის შემდეგ ჩვენებური 2,5 ქულით მეწინავეთა ჯგუფში იმყოფებოდა. მე-5 ტურში იგი შავი ფიგურებით კუბელ ანგელ გუერას დაუზავდა. ლიდერთა 9 პარტიიდან 6 ყაიმით დასრულდა. მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს: ხოხე გონსალესი-მაქსიმ ტუროვი, პერეს კესადა-არიან გონსალესი, ოლდენ ერნანდესი-კარლოს გომესი, კამილო რიოსი-ლუის არისმენდი, მიგელ მუნოსი-ენრიკე კოლონი, ხოლო ფერნანდო პერალტამ როლანდო ალარკონს, დანიელ ალსინამ კი ირინა ბულმაგას აჯობა. ამდენად. ხუთი ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ტუროვი, პერალტა, ალსინა, ესკობარი, ხოსე და არიან გონსალესები დაწინაურდნენ. 13-მა მოჭადრაკემ, მათ შორის - არაშიძემ, 3-3 ქულას მოუყარა თავი. მე-6 ტურში არაშიძე კუბელ ალექსეი ფერნანდესს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

● ჩოგბურთი

მეორე პრიზსა და 100 ქულას დასჯერდა

გასულ უქმეებზე ქალთა მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგში 73-ე ადგილზე მყოფმა **ანა ტატიშვილმა** იტალიური ბიელის 100.000-იან საერთაშორისო ტურნირზე სამი შეხვედრა გამართა. უამინდობის გამო გადმოტანილ პაექრობაში ჩვენებურმა 17 წლის ირინა ხრომაჩევა დაამარცხა იოლად - 6:2, 6:0, ნახევარფინალში კი ნასტასია ბარნეტს სამ სეტში (3:6, 6:0, 6:1) მოუგო, ფინალში რეიტინგით 92-ე შვედ იოჰანა ლარსონთან დამარცხდა - 3:6, 4:6 და მეორე ადგილთან ერთად 100 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. ქართველი ჩოგბურთელი იტალიაში რჩება და პალერმოს 220.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებს.

ფრანგულ დენაინში (25.000$) **სოფიო შაფათავა** მე-2 წრეს ვერ გასცდა - ქართველ ჩოგბურთელს ხორვატმა ანა ვრლიჩმა გადაულობა გზა - 7:5, 1:6, 6:2. წყვილთა ნახევარფინალში შაფათავამ ანგელინა გაბუევასთან ერთად ჟორჟე და ჩესქუეს ფრანგულ დუეტთან წააგო - 3:6, 2:6.

ვაჟა დანელია

● სუმო. ნაგოიას ბაშო. 8-22 ივლისი

ორმა მოგებით დაიწყო

გუშინ ნაგოიაში გაიხსნა წლის მე-4 სუპერტურნირი, ივლისის ბაშო. სამი ჩვენებურიდან ორმა გამარჯვებით დაიწყო 15-დღიანი ტურნირი. აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** მე-3 მაეგაშირა **შოჰოზანს** ხვდებოდა, რომელმაც ჯიქურ შეუტია ჩვენებურს, თუმცა მეტოქის დარტყმები აიტანა და ის დოჰიოზე დააგდო. ელიტის ყველაზე მძიმე სუმოისტი, მე-7 მაეგაშირა **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** მონღოლ **შოტენროსთან** ორთაბრძოლაში დამარცხდა. მართალია, მან მეტოქის მავაში ხელთ იგდო, მაგრამ მარცხნიდან კონტრშეტევა გაეპარა და ფეხზე ვეღარ დადგა. ძურიოს დივიზიონში მოიგო **კოკაიმ (ლევან ცაგურია).**

გუშინ დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** და ყველა ოძეკიმ მოიგეს თავიანთი შეხვედრები, თუმცა მონღოლს ძალიან გაუჭირდა **ტოიონოშიმას** დამარცხება და კინაღამ მილიონი იენიც დაკარგა, რომელიც ამ შეხვედრაში გამარჯვებულს ერგებოდა. მათ შერკინებაში ხელმეორე ორთაბრძოლა დაინიშნა, რადგან პირველში მსაჯებმა ვერაფრით დაადგინეს, ვინ იმარჯვა. დღეს ტოჩინოშინი ოს **არანს** შეხვდება, ხოლო გაგამარუ - მე-6 მაეგაშირა **ტოსაიუტაკას.**

I დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ტოიონოშიმა (იორიკირი), კისენოსატო-მიოგირიუ (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ტოჩიოძანი (ოკურიდაში), ბარუტო-კიოკუტენჰო (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-აოიამა (ოშიდაში), კოტოოშუ-ამინიშიკი (ოშიდაში), ვაკაკოიუ-გოეიდო (ოშიდაში), **ტოჩინოშინი**-შოჰოზანი (ჰატაკიკომი), არანი-ტაკეკაძე (კოტენაგე), შოტენრო-**გაგამარუ** (ცუკიოტოში). **ძურიო: კოკაი**-კოტოიუკი (ჰატაკიკომი).

II დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კიოკუტენჰო, კოტოშოგიკუ-ამინიშიკი, ბარუტო-ტოიონოშიმა, ჰარუმაფუჯი-მიოგირიუ, კოტოოშუ-გოეიდო, კაკურიუ-აოიამა, კისენოსატო-ოკინოუმი, ტოჩიოძანი-ვაკაკოიუ, შოჰოზანი-ტაკეკაძე, **ტოჩინოშინი**-არანი, **გაგამარუ**-ჰომაშო. **ძურიო: კოკაი**-ტოსაიუტაკა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



● ვლაჟის ფრენბურთი

ისევ წარუმატებლად

შვეიცარიაში პლაჟის ფრენბურთელთა დიდი სლემის მორიგ მსოფლიო ტურში გეორ-გიამ **(რენატო გომეში, ჟორჟე ტერშეირო)** საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიელებს 2:0 მოუგო (21:13, 21:19) **0 ჯგუფში** მოხვდა, იქ ჰოლანდიელებს კი აჯობა 2:1 (15:21, 21:15, 17:15), მაგრამ ბრაზილიელებსა და იტალიელებს ერთნაირი ანგარიშით (0:2) დანებდა და ჯგუფიდან ვერ გავიდა. 10 ივლისს გერმანიის დედაქალაქ ბერლინში მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპში გეორ-გიაც და ქალთა საქა-რთველოც **(კრისტინა სანტანა, ანდრეცა ჩაგაში)** კვალიფიკაციიდან ჩაებმება.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ



სანიკიძე მონტეპასკის წინააღმდეგ

სანიკიძის დასტური: ᲡᲘᲔᲜᲐᲡ ᲛᲝᲜᲢᲔᲞᲐᲡᲙᲘ

ᲤᲔᲠᲓᲘᲜᲐᲜᲓᲝ ᲛᲘᲜᲣᲩᲘ: ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ

თუ დაავკვირდით, სტატიას რუბრიკად ანერია - „ტრანსფერი". შეიძლებოდა ამის ნაცვლად ყოფილიყო „სავარაუდო ტრანსფერი", მაგრამ ის, რაზეც წერას ვაპირებთ, სიტყვიერად შეთანხმებული ამბავია, მხოლოდ ხელმონერა აკლია.

საქართველოს ნაკრების ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** მომავალ სეზონში იტალიური გრანდის, სიენის „მონტეპასკის" ღირსებას დაიცავს. ვიქტორს სიენელებმა ხელშეკრულება მაისში შესთავაზეს, თუმცა ქართველმა თავდამსხმელმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ამასობაში განიხილა სხვადასხვა ვარიანტი, რომელთა შორის იყო სანკტ პეტერბურგის „სპარტაკი", ესპანეთის „ვალენსია". ველოდით, რომ ამერიკული „სან ანტონიოც" გამოიჩენდა ინტერესს, რის შესახებაც ოკეანისგაღმური გაზეთები წერდნენ, თუმცა საბოლოოდ სანიკიძე მიდის იქ, სადაც მისდამი მეტი ინტერესი გამოავლინეს - „მონტეპასკიში".

სიენელთა რიგებში მომავალი სეზონისთვის სერიოზული ცვლილებები იგეგმება. გუნდი დატოვა მთავარმა მწვრთნელმა **სიმონე პიანიჯანიმ,** რომელიც თურქულ „ფენერბაჰჩეში" გადავიდა. რეფორმების შესახებ ილაპარაკა „მონტეპასკის" პრეზიდენტმა **ფერდინანდო მინუჩიმ**:

- ბო მაკალები და დევიდ ანდერსენი გაისად სიენაში არ ითამაშებენ, თავისუფალი აგენტის სტატუსი მიიღეს კშიშტოფ ლავრინოვიჩმა და რიმანტას კაუკენასმაც. სეზონის დასრულებისთანავე ვთქვი, რომ ახალ პროექტს ვამზადებდით. ჩვენი ამოცანა კარგი შემადგენლობის შეკრებასთან ერთად კლუბის ფუნდამენტის გამყარებაა.

პრეზიდენტს მოსალოდნელ შენამატზე ჰკითხეს...

- ობრი კოულმენი, ვიქტორ სანიკიძე და ბენჟამინ ეზე? თანმიმდევრობით მივყვეთ. ეზს იმედი გვაქვს, მაგრამ მან ჯერ „მილანი" უნდა დატოვოს. ძალიან გვინდა სანიკიძის დამატება, ძალიან. რაც შეეხება კოულმენს, იგი ამერიკელია. ჯერ იტალიელებსა და „ბოსმანის ზონის" კალათბურთელებს გავუფორმებთ ხელშეკრულებებს, შემდეგ ამერიკელებს. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გუნდში რჩება დევიდ მოსი.

ლიტვურმა გამოცემა „ბასკეტნიუსმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმად ვიქტორსა და „მონტეპასკის'შორის შეთანხმება მიღწეულია. აი, რა დაწერეს ლიტველებმა: „სიენელები კონტრაქტს გაუფორმებენ 26 წლის 203 სმ სიმაღლის ფორვარდ ვიქტორ სანიკიძეს, რომელიც გასულ სეზონში ბოლონიის „ვირტუსში" გამოდიოდა და საშუალოდ 12 ქულასა და 10.9 მოხსნას აგროვებდა.

სანიკიძის შემდეგ „მონტეპასკის" ხელმძღვანელობა ეზესა და კოულმენის დამატებაზე იზრუნებს".

უცხოურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ერთია და უშუალოდ სანიკიძის ნათქვამი მეორე. დავინტერესდით, რამდენად რეალურია ლიტვური გამოცემის ინფორმაცია და გუშინ ვიქტორ სანიკიძეს დავუკავშირდით.

- კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, თუმცა ბევრი რამ შეთანხმებულია. თამაში „მონტეპასკიში" გადავწყვიტე და ხელშეკრულებას ამ დღეებში მოვაწერ ხელს, - გვითხრა ვიქტორმა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ NBA-ᲨᲘ

ᲔᲘᲕᲔᲠᲘ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ: ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲔᲛᲞᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲐ

თორნიკე შენგელია ახალ კლუბ „ბრუკლინ ნეთსთან" ერთად ვარჯიშს შეუდგა, რის შემდეგაც მისადმი ჟურნალისტების ყურადღება გაორმაგდა. გამოცემებში, „ნიუ ჯერსისა" და „ნიუ იორკ პოსტში" ორი ერთმანეთზე საინტერესო სტატია გამოქვეყნდა, რომლის თარგმანსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ: ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ

„ბრუკლინის" ახალწვეული თორნიკე შენგელია საზაფხულო ლიგაზე სახელის მოხვეჭას აპირებს, - დაახლოებით ასეთი სათაურით გამოქვეყნდა სტატია გაზეთ „ნიუ ჯერსიში". სიტყვას გადავცემთ ავტორ **კოლინ სტეფენსონს.**

„ბრუკლინელთა დამრიგებელი **ეიერი ჯონსონი** ამბობს, რომ ქართველი ახალგაზრდის თამაში ევროპაში არ უნახავს:

- გასულ სეზონში ევროპაში ვიყავი, მაგრამ შენგელიას არ შევხვედრივარ. 2012 წლის დრაფტის წინ ჩვენმა ოკეანისგაღმელმა სკაუტებმა 500 პერსპექტიული კალათბურთელის თამაშის ამსახველი კადრები ნახეს და საუკეთესოები გვირჩიეს. 500-ის არა, დაახლოებით 250 კალათბურთელის თამაში ვნახე, მაგრამ მათ შორის შენგელია არ იყო.

ასეა თუ ისე, დღეს 20 წლის ქართველი „ბრუკლინ ნეთსის" ღირსებას იცავს და კლუბთან ერთად საზაფხულო ლიგისთვის ემზადება.

- საწყისი ორი ვარჯიშის შემდეგ შენგელიას შესახებ მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია. მონდომებულია, იცის როგორ უნდა კალათბურთის თამაში. ჩვენი გუნდი ევროპულთან მიახლოებულ კალათბურთს ანიჭებს უპირატესობას - გაშლილი შეტევით, „პიკ ენდ როლით", ერთი მაღლით... ეს ყველაფერი თორნიკემ კარგად იცის, - კმაყოფილი ჩანს ჯონსონი.

შენგელია „თოკიდ" წარმოგვიდგა. ვარჯიშისას, ძალიან ენერგიული კალათბურთელის შთაბეჭდილებას ტოვებდა; მტკიცედ იდგა დაცვაში; პასებს ჭკვიანურად არიგებდა; ჩააგდო რამდენიმე შორეული ტყორცნა, როცა დაუცველი დარჩა; ბურთით სწრაფად გადაადგილებაც კარგად გამოსდის და ფარქვეშიდანაც ზუსტია; **ტორინ გრინის** პასით ერთი ლამაზი ალეი უპიც შეასრულა.

- ჯერ ვერ ვთამაშობ ისე, როგორც შემიძლია, კმაყოფილი არ ვარ, - ამბობს შენგელია, - *მინდა უკეთესი ვიყო, რისთვისაც ძალას არ დავიშურებ.*

იგი გასულ სეზონში „შარლერუას" მაისურით ბელგიის ჩემპიონატში საშუალოდ 18.4 წუთში 8.9 ქულასა და 5.2 მოხსნას ითვლიდა. როცა ქართველი ახალგაზრდა დრაფტზე აიყვანა, „ბრუკლინის" გენერალურმა მენეჯერმა **ბილი კინგმა** გამოთქვა ვარაუდი, რომ თორნიკე მომავალ სეზონს ისევ ევროპაში გაატარებდა და შემდეგ დაბრუნდებოდა ამერიკაში. თუმცა შენგელია სხვა აზრზეა, „ნეთსის" მაისურით საზაფხულო ლიგაზე აპირებს თამაშს და ეიმედება, რომ „ბრუკლინისგან" კონტრაქტსაც დაიმსახურებს.

- ჯერ ვერ ვთამაშობ ისე, როგორც შემიძლია, კმაყოფილი არ ვარ, - ამბობს შენგელია, - მინდა უკეთესი ვიყო, რისთვისაც ძალას არ დავიშურებ

ურიგო გეგმა ნამდვილად არ არის, რადგან „ნეთსის" შემადგენლობაში არაერთი თავისუფალი ადგილია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ვარჯიშის პირველ დღეებში შენგელიამ ეიერი ჯონსონზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა.

- დრაფტ ზე თორნიკეს რომ ვირჩევდით, მის ევროპაში დროებით დატოვებას ვაპირებდით, მაგრამ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ჩვენს შემადგენლობაზე, - ამბობს მწვრთნელი, - *ასევე დიდი მნიშვნელობა ექნება საზაფხულო ლიგაზე გამოსვლას, შენგელიას ორლანდოს კემპზეც დავაკვირდებით. სადღეისოდ იგი იმ ადამიანს ჰგავს, რომელსაც ევროპაში დაბრუნება არ სურს."*

ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ: ᲒᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲔᲑᲐ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲗᲣ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲑᲘ

გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის" ჟურნალისტი **ტიმ ბონტამპსი** უფრო მეტად ჩაეძია და თორნიკეს შესახებ მწვრთნელთან ერთად საქართველოს ნაკრების ყოფილ წევრ ტორინ გრინს დაეკითხა. ეს პუბლიკაცია წინა სტატიის გაგრძელებად გამოდგება.

„შენგელია კემპზე შთამბეჭდავი უნდა იყოს", - ასეთი სათაური მოუძებნა ბატონმა ტიმმა თავის სტატიას.

„207 სმ სიმაღლის ფორვარდი თორნიკე შენგელია „ბრუკლინ ნეთსის" საწვრთნელ პროცესში ხუთშაბათიდან ჩაერთო და მწვრთნელი ეიერი ჯონსონიც აალაპარაკა:

- შენგელია ჩვენი საწვრთნელი კემპის ვარსკვლავია. იგი საუკეთესო სამეულშია. დიდებული იქნება თორნიკეს ხილვა სხვა კალათბურთელების წინააღმდეგ. ამის საშუალება კი ორლანდოში მოგვეცემა.

ერთ-ერთ ვარჯიშზე შენგელიამ მეტად ეფექტური ეპიზოდი შემოგვთავაზა: **ედვინ აბოლსს** ბურთი ჩაუჭრა და სწრაფი დრიბლინგი მარცხენა ხელით ჩატენვით დააგვირგვინა.

- თორნიკეს ხან მსუბუქი, ხან მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ვათამაშებთ. მაგალითად, დღეს მესამე ნომერი იყო. თუ 207 სმ სიმაღლის ათლეტური ახალგაზრდა კარგად ისვრის, კარგად ამოვა პერიმეტრზე, კარგად შეასრულებს პასებს, მისი ღირებულება საგრძნობლად გაიზრდება, - ამბობს ჯონსონი.

თორნიკეს ხან მსუბუქი, ხან მძიმე ფორვარდის პოზიციაზე ვათამაშებთ. მაგალითად, დღეს მესამე ნომერი იყო. თუ 207 სმ სიმაღლის ათლეტური ახალგაზრდა კარგად ისვრის, კარგად ამოვა პერიმეტრზე, კარგად შეასრულებს პასებს, მისი ღირებულება საგრძნობლად გაიზრდება

საზაფხულო ლიგაზე შენგელიას გვერდით ტორინ გრინი ითამაშებს, რომელიც 2010 წელს საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა. თორნიკე მაშინ 18 წლისა იყო, თუმცა ტორინს მაშინაც შეეძლო მის პერსპექტიულობაზე ლაპარაკი და ახლაც:

- 2010 წელს თორნიკე ახალგაზრდა იყო, თუმცა ნაკრებში საკმარისად იტვირთებოდა. მას მერე შენგელიას თამაშები ვიდეოთი მაქვს ნანახი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ სერიოზული პროგრესი განიცადა. იგი ძალიან შრომისმოყვარეა და სწორედ ამის ხარჯზე წლიდან წლამდე იზრდება.

რადგან მწვრთნელზეც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, 20 წლის ქართველის მიზანი არ შეცვლილა:

- ამერიკაში დარჩენა და მომავალ სეზონში გუნდის დახმარება მინდა. თუ ეს ვერ მოხერხდა, გული დამწყდება. თუმცა ისიც მესმის, რომ გადაწყვეტილი არაფერია და თუ „ბრუკლინში" წლეულს ვერ ჩავირიცხები, ევროპაში ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ 2013-14 წლების სეზონისთვის ამერიკაში დავბრუნდე."



ორლანდოს საზაფხულო კემპი დღეს დაიწყება. მასში 8 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: „ორლანდო მეჯიქი", „ბრუკლინ ნეთსი", „ბოსტონ სელტიქსი", „ფილადელფია სიქსერსი", „იუტა ჯაზი", „ოკლაჰომა თანდერი", „ინდიანა პეისერსი" და „დეტროიტ პისტონსი".

„ბრუკლინი" სადებიუტო მატჩს მასპინძელ „ორლანდოსთან" გამართავს. შეხვედრა დღეს გაიმართება. ხვალ შენგელიას თანაგუნდელები „ბოსტონს" დაუპირისპირდებიან, 11-ში - „ფილადელფიას", 12-ში - „ოკლაჰომას", ხოლო 13-ში - ინდიანას.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ოლიმპიური ქარტია

შეკითხვა: ვიცი, რომ არსებობს მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობის კანონად ცნობილი დოკუმენტი სახელწოდებით „ოლიმპიური ქარტია". გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ ამ დოკუმენტის შესახებ.

მალხაზ ჯადუგიშვილი
თბილისი

პასუხი: ოლიმპიური ქარტია არის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საწესდებო დოკუმენტების კრებული, რომელიც განსაზღვრავს ოლიმპიური მოძრაობის ამოცანებსა და მიზნებს, პრინციპებს, დებულებებს, ოლიმპიური თამაშების ჩატარების წესებს და ა.შ. ოლიმპიური ქარტიის საფუძვლები შეიმუშავა პიერ დე კუბერტენმა და დასამტკიცებლად წარუდგინა პარიზის სპორტის საკითხებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონგრესს (1894). დროის განმავლობაში, ოლიმპიური ქარტიის სხვადასხვა პუნქტში შეჰქონდათ დამატებები, დაზუსტებები, აუცილებელი განმარტებები, ინსტრუქციები, მაგრამ კუბერტენის მიერ შემუშავებული ქარტია ძირითადად უცვლელი დარჩა. ქარტიას ახლავს რეგიონალური თამაშების ჩატარების წესები, ოლიმპიური თასის დებულება, ოლიმპიური ორდენის წესდება და სოკის გამოცემათა ნუსხა.

სოკის 104-ე სესიაზე (ბუდაპეშტი, 1995) რატიფიცირებული ოლიმპიური ქარტია 5 თავის, 4 მუხლისა და 74 წესისაგან შედგება.

პირველ თავში განმარტებულია ოლიმპიური მოძრაობის ძირითადი პრინციპები, ოლიმპიური თამაშების რაობა, აღწერილია ოლიმპიური სიმბოლიკა და მისი გამოყენების წესები. მეორე თავი მთლიანად საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეთმობა:

ოლიმპიური ქარტია

CITIUS, ALTIUS, FORTIUS

განსაზღვრულია სოკის იურიდიული სტატუსი, ორგანიზაციული მოწყობა და სტრუქტურა, სოკის წევრთა უფლება-მოვალეობანი. მესამე თავი განმარტავს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა ფუნქციას, მათი აღიარების და ოლიმპიურ მოძრაობაში ჩართვის წესებს. მეოთხე თავში საუბარია ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის როლსა და მიზნებზე, უფლებებსა და მოვალეობებზე, სტატუსსა და სტრუქტურაზე, აღიარების პირობებზე. ყველაზე ვრცელია ქარტიის ბოლო, მეხუთე თავი — „ოლიმპიური თამაშები". აქ დეტალურად არის განმარტებული ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული ყველა საკითხი: ოლიმპიადების თარიღები; მასპინძელი ქალაქის არჩევნები; საორგანიზაციო კომიტეტის სტატუსი, შემადგენლობა, ეოკთან ურთიერთობა, ვალდებულებები; ოლიმპიური სოფელი; კულტურული პროგრამა; თამაშების მონაწილეთა შერჩევის წესი, მათი მოქალაქეობა, ასაკობრივი ზღვარი; სამედიცინო კოდექსი; სანქციები ოლიმპიური ქარტიის დარღვევის შემთხვევაში; თამაშების პროგრამა; ინფორმაციის მიღება; პროპაგანდა და რეკლამა; ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები; გამარჯვებულთა დაჯილდოება; ოლიმპიური არბიტრაჟი. საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ წესებს ახლავს ოფიციალური განმარტება.

ოლიმპიური საქართველო 1952-2012

ჰელსინკიდან-ლონდონამდე

„საქართველო თავისი ტერიტორიითა და მოსახლეობით პატარა სახელმწიფოა, თავისი სპორტული ტრადიციებითა და პოტენციალით კი დიდი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება".
ხუან ანტონიო სამარანჩი

ზაფხულის XXVII ოლიმპიური თამაშები, 2000 წ. სიდნეი, 15 სექტემბერი - 1 ოქტომბერი

Sydney 2000


გიორგი ვაზაგაშვილი (ძიუდო) - III

გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) - III

აკაკი ჩაჩუა (ბ/რ ჭიდაობა) - III


ვლადიმერ ჭანტურია (კრივი) - III

მუხრან ვახტანგაძე (ბ/რ ჭიდაობა) - III


ელდარ კურტანიძე (თ. ჭიდაობა) - III

გენადი ჩხაიძე (ბ/რ ჭიდაობა) - V

სიდნეიში დამოუკიდებელი საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციაში ირიცხებოდა 36 სპორტსმენი (დღეს წარმოგიდგენთ 18 მონაწილეს), რომელთა წილად მოდის 6 ბრინჯაოს მედალი. მონაწილე ქვეყანა: 199; სპორტსმენი: 10651


დავით პოღოსიანი (თ. ჭიდაობა) - VI


ილია გიორგაძე (სპ. ტანვარჯ. ღერძი) - VI


ივერი ჯიქურაული (ძიუდო) - VII

რუსუდან ხოფერია (ბატუტზე ხტომა) - VII

ტარიელ მელელაშვილი (ბ/რ. ჭიდაობა) - VIII


ალექსი მოდებაძე (თ. ჭიდაობა) - X


ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) - XI, XXV


ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) - სანუგეშო წრე

კობა გულიაშვილი (ბ/რ ჭიდაობა) - XIV

გურამ მჭედლიძე (თ. ჭიდაობა) - XIV


ალექსანდრე ცერცვაძე (ბ/რ ჭიდაობა) - XV

„დიდი სპორტული ქვეყნების ტოლი, სწორი და ბადალი" /ზაურ ბოლქვაძე/

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2012

ენდიმ ისტორია ვერ გადაწერა

როჯერ ფედერერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა – ის ყველა დროის საუკეთესოა

როჯერ ფედერერის მეშვიდე ტრიუმფი

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ წლევანდელი უიმბლდონის ფინალში გასვლით, **ენდი მიურეიმ** უკვე დააფიქსირა ისტორიული შედეგი ბრიტანული ჩოგბურთისთვის - 1938 წლის შემდეგ ადგილობრივ მოთამაშეს არ ჰქონდა ნათამაშები გადამწყვეტ მატჩში. ხოლო ფინალის მოგების შემთხვევაში, მიურეი შეწყვეტდა 76-წლიან უტიტულო სერიას ბრიტანელი ჩოგბურთელებისთვის.

მიურეისა და **როჯერ ფედერერს** ორჯერ უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ "დიდი სლემის" ტურნირების ფინალში და ორჯერვე როჯერმა სამ სეტში მოიგო. ეს უსიამოვნო ტრადიცია ბრიტანელმა გუშინ დაარღვია, როცა პირველი პარტიის მოგება შეძლო. როჯერი კორტზე ერთგვარად შებოჭილი გამოვიდა და ძალიან ცუდად ჩაატარა სასტარტო გეიმი, რითაც ენდის ბრეიკის საშუალება მისცა. თანდათან შვეიცარიელი შევიდა თამაშში – "ვინერსების" რაოდენობამ იმატა და პირიქით, ოდნავ იკლო შეცდომებმა. მეოთხე გეიმში მან დაიბრუნა დაკარგული მონოდება, მერვეში კი ახლოს იყო ბრეიკით წინ გასვლასთან, მაგრამ ორი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა.

ამ შანსის ხელიდან გაშვების შემდეგ, როჯერმა ჩააგდო მომდევნო გეიმი თავის მოწოდებაზე, როცა სამი უხეში შეცდომა დაუშვა, მიურეიმ კი სეტზე ძალიან დამაჯერებლად ჩაანოდა და ამით კარიერაში პირველად მოიგო "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში სეტი.

ანალოგიური სიტუაცია კინაღამ შემდეგ სეტში შეიქმნა. 4:4-ზე ფედერერის რამდენიმე შეცდომამ ბრიტანელს ორი ბრეიკ-პოინტი მოუტანა, მაგრამ ორივე შემთხვევაში შესანიშნავად იმოქმედა როჯერმა. მცირე პრობლემები ჰქონდა შვეიცარიელ ჩოგბურთელს თავის მორიგ მონოდებაზე, მაგრამ იქაც გადამწყვეტ მომენტებში მაქსიმალურად მობილიზებული იყო და მინიმუმ ტაი-ბრეიკი გაინაღდა. მაგრამ მე-13 გეიმი საჭირო არ გახდა. შვეიცარიელმა ჯერ 0:30-დან გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი ორი გენიალური გათამაშება ჩაატარა და 7:5 მოიგო მეორე პარტია.

მესამე სეტი ახალი დაწყებული იყო, როცა ლონდონში განვიმდა და ორგანიზატორებს კორტის გადახურვა მოუხდათ. დახურულ არენაზე გამოიკვეთა ფედერერის უპირატესობა. პაუზის შემდეგ მან პრაქტიკულად უშეცდომოდ დაიწყო თამაში (პირველად სეტში მას მიურეიზე ნაკლები უნებლიე შეცდომა ჰქონდა) და მიურეის სულ უფრო და უფრო უჭირდა შვეიცარიის ზეწოლისთვის გამკლავება. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეექვსე გეიმი, რომელიც 20 (!) წუთი გაგრძელდა. ფედერერმა ვერ შეძლო ხუთი ბრეიკ-პოინტის გამოყენება, მაგრამ მეექვსე ცდაზე შვეიცარიელი მიღებისთანავე შეტევაზე გადავიდა და მიურეის შეცდომა დააშვებინა. ამის შემდეგ როჯერს ისღა დარჩენოდა შეენარჩუნებინა თავისი მოწოდება, რაც წარმატებით გააკეთა - 6:3.

მეოთხე სეტში პირველი ბრეიკის გასაკეთებლად როჯერს იმაზე ცოტა დრო დასჭირდა, ვიდრე წინა სეტში. თავიდან მიურეიმ ორი უხეში შეცდომა დაუშვა, ბრეიკ-პოინტზე კი ფედერერს ეფექტური ბექჰენდი გამოუვიდა – 3:2. შემდეგ გეიმში ენდის საპასუხო ბრეიკის მცირე შანსი გაუჩნდა, მაგრამ 15:30-ზე იოლი დარტყმა გააფუჭა. ამის შემდეგ, შვეიცარიელმა თავის მოწოდებაზე შანსი აღარ მისცა მეტოქეს – ის დამაჯერებლად აწვდიდა, რაც სავსებით ლოგიკურ შედეგში გამოიხატა – 4:6, 7:5, 6:3, 6:4.

ამ მოგებით როჯერი გაუთანაბრა **პიტ სამპრასს** ორი მაჩვენებლით: მათ ახლა, შვიდ-შვიდი მოგება აქვს უიმბლდონზე. გარდა ამისა, გუშინდელმა მოგებამ ფედერერს რეიტინგში პირველი ადგილი მოუტანა, შესაბამისად, მომდევნო კვირა 286-ე იქნება მისთვის ლიდერის რანგში, რაც სამპრასის ყველა დროის რეკორდის გამეორებაა.

ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიცარია, 3) – ენდი მიურეი (ბრიტანეთი, 4) 4:6, 7:5, 6:3, 6:4.



ეს ესაა სერენამ ფინალი მოიგო

ძველი სერენას დაბრუნება

ქალთა კლასიფიკაციაში ყველაფერი თავდაყირა დადგა

"დიდი სლემის" ტურნირებზე ნებისმიერ ფინალურ შეხვედრას ახლავს ინტრიგა და გამონაკლისი არც ქალების გადამწყვეტი მატჩი ყოფილა. **სერენა უილიამსი** თავის მეხუთე ტიტულს უმიზნებდა უიმბლდონზე, **აგნიეშკა რადვანსკას** კი შეეძლო გამხდარიყო მეხუთე ქალი ჩოგბურთელი, რომელსაც ეს ტურნირი იუნიორებშიც ექნებოდა მოგებული და უფროსებშიც. მთავარი ინტრიგა კი ის გახლდათ, რომ მატჩში წყდებოდა რეიტინგის პირველი ადგილის ბედი. ამ ტურნირამდე რადვანსკა მესამე ადგილზე ზემოთ არასოდეს ასულა კლასიფიკაციაში, ახლა კი მეორე ადგილი გარანტირებული ჰქონდა, ფინალის მოგების შემთხვევაში კი მსოფლიოს ახალი პირველი ჩოგანი გახდებოდა.

სერენა უილიამსი ბუკმეიკერების აშკარა ფავორიტი იყო. ამერიკელის მოწოდებებმა ყველას უდიდესი პრობლემა შეუქმნა. ექვსი მატჩის განმავლობაში მან 85 ეისი ჩააწოდა. შედარებისთვის, **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** ასევე ექვს მატჩში 86 ეისი მიითვალა, თუმცა ფრანგს გაცილებით მეტი პარტია ჰქონდა ნათამაშები.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ამერიკელის გამოცდილება. სერენასთვის ასეთი სიტუაცია ჩვეული გახლდათ, რადვანსკა კი პირველად თამაშობდა "დიდი სლემის" ტურნირის ფინალში. და ამ ფაქტორმა მართლაც გარკვეული როლი ითამაშა პირველ სეტში. აგნიეშკა აშკარად შებოჭილი ჩანდა, ნერვიულობდა და ამის გამო ბრძოლა ვერ გაუმართა მეტოქეს. სერენა დამაჯერებლად ინარჩუნებდა თავის მოწოდებას, მიღებაზე კი მუდმივად ჰქონდა ბრეიკის შანსი. მართალია, უილიამსს ისეთი სიზუსტე არ ჰქონდა, როგორც **ვიქტორია აზარენკასთან** ნახევარფინალში, მაგრამ ეს პოლონელს ვერ შველოდა. საბოლოოდ, მან ბოლოსკენ აიღო ერთი გეიმი, თორემ "მშრალი" ანგარიშით დამარცხდებოდა.

პირველი სეტის დასრულებისთანავე გაწვიმდა. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს არ გადაეხურათ კორტი და გამოდარებას დაელოდნენ. იძულებითი პაუზა პოლონელს ძალიან მოუხდა. რადვანსკამ მოიგო მეორე პარტიის პირველი გეიმი, თუმცა იქვე ამერიკელმა ისევ მოიპოვა უპირატესობა და კვლავ იდეალურად დაიწყო მოწოდების შესრულება. ისე ჩანდა, რომ ფინალი ძალიან მალე დასრულდებოდა, მაგრამ ამ რთულ მომენტში პოლონელი საბოლოოდ დამშვიდდა და თავისი ჩოგბურთი შესთავაზა მეტოქეს.

რა თქმა უნდა, აგნიეშკას მეტოქის შეცდომებიც დაეხმარა. მოულოდნელად, უილიამსმა მნიშვნელოვან ბურთებზე ძალიან უხეში შეცდომების დაშვება დაიწყო, რადვანსკა კი თავისი კოზირების გამოყენებას შეუდგა. ამით მან ორჯერ მოიგო მეტოქის მონოდება და პირველად 2011 წლის ავსტრალიის ღიას შემდეგ, "დიდ სლემზე" ქალების ტურნირების ფინალებში მესამე სეტის ჩატარება გახდა საჭირო.

ამერიკელს უკვე აღარ ჰქონდა უდავო ფავორიტის სტატუსი. რადვანსკა აშკარად აღმავლობის გზაზე იყო, თუმცა მან ამ სიტუაციის გამოყენება ვერ შეძლო. სერენამ მალე აიყვანა ხელში საკუთარი თავი და შეამცირა შეცდომების რაოდენობა. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მეოთხე გეიმმა, რომელშიც უილიამსმა ოთხი ეისი ჩააწოდა და გეიმი 48 წამში მოიგო. სხვათა შორის სწორედ ამ გეიმის შემდეგ გადალახა ამერიკელმა 100 ეისის ზღვარი და გაუსწრო **ფილიპ კოლშრაიბერს** - მამაკაცთა ლიდერს ტურნირზე ეისების რაოდენობით! ამერიკელმა ისევ კომფორტულად იგრძნო თავი კორტზე, აგნიეშკა კი დაიბნა. მან დათმო საკუთარი მოწოდება და იმის ნაცვლად, რომ მიღებაზე ებრძოლა, მალე მეტოქეს კიდევ ერთი ბრეიკის საშუალება მისცა. სერენა ერთხელაც არ მოდუნებულა თავის მოწოდებაზე და მალე კარიერაში 42-ე ტიტული გაიფორმა – 6:1, 5:7, 6:2.

უმძიმესი ტრავმის შემდეგ, სერენამ პირველად მოიგო "დიდი სლემის" ტურნირი. მისთვის ეს უკვე მე-14 ტრიუმფია "დიდ სლემზე". რაც შეეხება კლასიფიკაციას, სერენა მეოთხე ჩოგანი გახდება. პირველ ადგილზე ვიქტორია აზარენკა დაბრუნდება, მის უკან კი რადვანსკა და **მარია შარაპოვა** არიან.

ფინალი

სერენა უილიამსი (აშშ, 6)-აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 3) 6:1, 5:7, 6:2.

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

ფავორიტი გამოიკვეთა

ტურ დე ფრანსზე სამთო ეტაპების დრო დადგა. ჩვეულებრივ, მონაწილეთა დიდ ნაწილს ველომარათონის ეს ნაწილი არ მოსწონს, რადგან სამთო ფინიშებზე თავის გამოჩენის საშუალება პელოტონის მაქსიმუმ 20 პროცენტს თუ შეუძლია. მაგრამ ამჯერად, პირიქით უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ ტურის პირველი კვირა სარეკორდო იყო წაქცევების რაოდენობით, პარასკევის კოშმარული ეტაპის შემდეგ კი ფრანგულ რბოლას ერობაშად ცხრა ველომრბოლი გამოაკლდა, მათ შორის, ჯირო დ'იტალიას წლევანდელი ტრიუმფატორი, კანადელი **რეიდერ ჰესიედალი**. მოკლედ, ძალიან ბევრი დაცემა იყო ისეთი ეტაპებისთვის, რომლებშიც, წესით, ყველაფერი მშვიდად უნდა ყოფილიყო. ამის მიზეზი შეიძლება ის არის, რომ სწორედ სწორ მონაკვეთებზე ფინიშისას ყველა ლამობს წინ გასვლას და პოდიუმზე მოხვედრას, მაგრამ სინამდვილეში, საკუთარ თავსაც აზარალებენ და ფავორიტებსაც. სამთო ეტაპებზე კი ასეთი გულადები არ არიან. ყველას კარგად ესმის, რომ ზედმეტი აქტიურობა დამღუპველი იქნება.

მეექვსე ეტაპზე ფინიში ექვსკილომეტრიან აღმართზე იყო დაგეგმილი, რომელსაც სირთულის პირველი კატეგორია ჰქონდა მინიჭებული. შესაბამისად, ეჭვი არავის ეპარებოდა იმაში, რომ საერთო ჩათვლის ლიდერი აუცილებლად შეიცვლებოდა. შესაბამისად, "რედიოშეკს" არც უცდია **ფაბიან კანჩელარას** პოზიციების შენარჩუნება.

უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ წლევანდელი ტურის მთავარ ფავორიტად **ბრედლი უიგინსს** მიიჩნევენ. მისმა გუნდმა – "თიმ სქაიმ" სწორედ ამ ეტაპზე მიაყენა პირველი დარტყმა კონკურენტებს და აჩვენა ყველას, როგორ უნდა მუშაობა პელოტონის სათავეში. თავიდან **მაიკლ როჯერსი** იყო საერთო ჯგუფის სათავეში, შემდეგ **რიჩი პორტი**, ბოლოს კი ეს როლი **კრისტოფერ ფრუმმა** იტვირთა, რომელმაც ბრწყინვალე საფინიშო სპურტით ეტაპის მოგებაც კი შეძლო. ორი წამით ჩამორჩნენ მას ტურის მოქმედი ჩემპიონი **კეიდელ ევანსი** და ბრედლი უიგინსი.

ფრუმმა კარიერაში პირველად მოიგო ტურის ეტაპი, მისმა თანაგუნდელმა უიგინსმა კი პირველად ჩაიცვა ყვითელი მაისურა. "თიმ სქაიმ" პირველივე სამთო ეტაპზე გეგმა იდეალურად შეასრულა, რადგან ამ გუნდის წევრებმა ისე დაშალეს საერთო ჯგუფი, რომ ბოლო კილომეტრზე ბრძოლას მხოლოდ უიგინსი, ევანსი, ფრუმი, **ნიბალი** და **ტაარამაე** შემორჩნენ.

მენშოვმა, სანჩესმა, ფრენკ შლეკმა, კლიოდენმა და გენერალური კლასიფიკაციის სხვა პრეტენდენტებმა დრო დაკარგეს. მენშოვის შემთხვევაში, ეს იყო 50 წამი, სხვებმა უფრო მეტი დათმეს. თუმცა ჯერ ადრეა იმაზე ლაპარაკი, რომ საბოლოო გამარჯვებაზე პრეტენდენტთა ჯგუფი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ თუ "თიმ სქაი" ასე გააგრძელებს, უახლოეს ხანში ინტრიგა, შესაძლოა, საბოლოოდ გაქრეს.

VII ეტაპი

1. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,02; 3. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky) – იგივე დრო; 4. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,07; 5. **რეინ ტაარამაე** (ესტონეთი - Cofidis) - +0,19; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +0,44; 7. **პიერ როლანი** (საფრანგეთი - Europcar) - +0,46; 8. **იანეც ბრაიკოვიჩი** (სლოვენია - Mყითნთ) – იგივე დრო; 9. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,50; 10. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - RadioShack-Nissan) - +0,56...

ბრედლი უიგინსი

საერთო ჩათვლა

1. **ბრედლი უიგინსი** (ბრიტანეთი - Team Sky); 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრალია - BMC Racing Team) - +0,10; 3. **ვინჩენცო ნიბალი** (იტალია - Liquigas) - +0,16; 4. **რეინ ტაარამაე** (ესტონეთი - Cofidis) - +0,32; 5. **დენის მენშოვი** (რუსეთი – "კატიუშა") - +0,54; 6. **აიმარ სუბელდია** (ესპანეთი - RadioShack-Nissan) - +0,59; 7. **მაქსიმ მონფორი** (ბელგია - RadioShack-Nissan) - +1,09; 8. **ნიკოლას როში** (ირლანდია - Ag2r La Mondiale) - +1,22; 9. **კრისტოფერ ფრუმი** (ბრიტანეთი - Team Sky) - +1,32; 10. **მაიკლ როჯერსი** (ავსტრალია - Team Sky) - +1,40...

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● კალათბურთი

ალენმა მაიამი აირჩია

გასულ უქმეებზე ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი ხმაურიანი ტრანსფერი განხორციელდა. NBA-ის ახალი ჩემპიონი "მაიამი ჰიტი" შემადგენლობას ვარსკვლავური ვეტერანით **რეი ალენით** შეავსებს. და ეს იმის მიუხედავად, რომ "ბოსტონმა" მცველს უკეთესი ფინანსური პირობები შესთავაზა.

როგორც ამერიკული პრესა წერს, "კელტებმა" თავისუფალ აგენტს 12 მილიონ დოლარად შეფასებული ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზეს, "მაიამის" სამწლიანი კონტრაქტის ფასი კი მხოლოდ 9.5 მილიონი დოლარია. როგორც ჩანს, რეიმ კიდევ ერთი საჩემპიონო ტიტული ამჯობინა თანხას და ამიტომაც აირჩია "მაიამი". შეგახსენებთ, რომ ალენი 2007 წელს გადავიდა "ბოსტონში" და 2008 წელს ჩემპიონი გახდა. ეს მისი ერთადერთი საჩემპიონო ტიტულია კარიერაში.

შესაძლოა, ალენის "ბოსტონიდან" წასვლა იმანაც დააჩქარა, რომ ამ გუნდმა ცოტა ხნის წინ კონტრაქტი გააფორმა ყოფილ დალასელთან **ჯეისონ ტერისთან**.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე დადასტურდა 2006-07 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედას **ბრენდონ როის** "მინესოტაში" გადასვლა. ამ მცველმა ერთწლიანი შესვენების შემდეგ განაახლა კარიერა და "მგლებთან" 10.4 მილიონ დოლარად შეფასებული ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

პოლონეთის "პროკომის" ლიტველმა ლეგიონერმა, 21 წლის **დონატას მოტეიუნასმა** ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჰიუსტონთან". ხელშეკრულების თანხა არ სახელდება. ლიტველი 2011 წლის დრაფტის მე-20 ნომერი იყო. გასულ სეზონში ის "პროკომის" რიგებში საშუალოდ 13.4 ქულასა და 7.5 მოხსნას აგროვებდა.



რეი ალენი

"ატლანტა ჰოქსის" მცველი **ჯორდან ფარმარი** კარიერას თურქეთის "ეფეს პილსენში" გააგრძელებს. ებრაული წარმოშობის ამერიკელი ცოტა ხნის წინ, ტრეიდით აღმოჩნდა "ჰოქსის" რიგებში და ამ გუნდმა ფარმარის კონტრაქტის გამოსყიდვა გადაწყვიტა. ჯორდანის ხელფასი თურქეთში წელიწადში 2.5 მილიონი დოლარი იქნება. ეს კალათბურთელი შარშან, ლოკაუტის პერიოდში "მაკაბის" შემადგენლობაში თამაშობდა, შემდეგ NBA-ში დაბრუნდა და "ნიუ ჯერსიში" საშუალოდ 10.4 ქულას აგროვებდა.

საბოლოო დრიმ თიმი

დრიმ თიმი

აშშ-ის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** ლონდონის ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის საბოლოო შემადგენლობა დაასახელა. ათი კალათბურთელის გარდა, რომელთა ვინაობა წინასწარ იყო ცნობილი, ბრიტანეთში აგრეთვე გაემგზავრებიან "ოკლაჰომას" მცველი **ჯეიმს ჰარდენი** და "ფილადელფიას" ფორვარდი **ანდრე იგუოდალა**.

ლონდონის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრების განაცხადი ასე გამოიყურება:

მცველები – კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი"), რასელ უესტბრუკი ("ოკლაჰომა"), კრის პოლი ("კლიპერსი"), ჯეიმს ჰარდენი ("ოკლაჰომა"), დერონ უილიამსი ("ბრუკლინი");

ფორვარდები – კარმელო ენტონი ("ნიუ იორკი"), ლებრონ ჯეიმსი ("მაიამი"), ანდრე იგუოდალა ("ფილადელფია"), კევინ დურანტი ("ოკლაჰომა"), ბლეიკ გრიფინი ("კლიპერსი"), კევინ ლავი ("მინესოტა");

ცენტრი – ტაისონ ჩენდლერი ("ნიუ იორკი").

■ ■ ■

დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ "სან ანტონიოს" ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი** შეძლებს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას. "სპურსის" ექიმებმა ბოლო სამედიცინო შემოწმების შემდეგ, საფრანგეთის ნაკრების ლიდერს თამაშის ნება დართეს, არადა, მანამდე სკეპტიკურად უყურებდნენ ტონის ლონდონში გამოსვლას. შეგახსენებთ, რომ პლეიმეიკერმა თვალის ტრავმა ნიუ იორკის ერთ-ერთ ღამის კლუბში მომხდარი ჩხუბის დროს მიიღო.

...

ვენესუელაში მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირზე ზაფხულის თამაშების ორი საგზურის მფლობელი გამოვლინდა. ნახევარფინალური მატჩების მოგების შემდეგ, ლონდონში გამგზავრების უფლება მიიღეს რუსეთისა და ლიტვის ნაკრებებმა. მესამე საგზურის ბედი კი ნიგერიისა და დომინიკის რესპუბლიკის ნაკრებებს შორის მესამე ადგილისთვის შეხვედრაში გაირკვევა.

1/2 ფინალი

ნიგერია–რუსეთი 77:85

23:26, 8:20, 22:22, 24:17

ნ: დიოგუ (16+14 მოხსნა), დაგუნდურო (16+5 პასი), ამინუ (13), სკინი (11), ოგუჩი (10).

რ: შვედი (22+6 პასი), კირილენკო (19+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ფრიძონი (15), კაუნი (11).

ლიტვა–დომინიკა 109:83

21:16, 31:20, 23:25, 34:22

ლ: მაჩიულისი (19+6 მოხსნა), ვალანჩუნასი (17+7 მოხსნა), კლეიზა (13+6 მოხსნა), პოჩიუსი (12), დელინინკაიტისი (11), კალნიეტისი (9+9 პასი).

დ: მარტინესი (13+10 მოხსნა), ჰორფორდი (12), გარსია (11), კორონადო (10+4 პასი).

ტურნირის დასრულების შემდეგ, ვენესუელაში გაიმართება წილისყრა და იმის მიხედვით გადანაწილდებიან საკვალიფიკაციოს გამარჯვებული გუნდები ლონდონის საკალათბურთო ტურნირის ჯგუფებში.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ნორვეგია

ჰიონეფოსი-ბრანი	2:1
ტრომსიო-სიოგნდალი	1:1
ოლესუნდი-ვიკინგი	1:1
ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი	2:1
სანდნესი-ვოლერენგა	0:2
სტაბეკი-სტრიომსგოდსეტი	1:2
რუსენბორგი-ვიოლდე	1:0

II დივიზიონი

ბოდო გლიმტი-რანჰაიმი	0:3
ბორუმი-ნოტოდენი	6:0
ბრინი-სანდეფიორდი	0:1
ჰიოდი-სტარტი	0:0
მიონდალენი-კონგსვინგერი	2:1
ტრიომსდალენი-სარპსბორგი	0:0
ულ კისა-ჰამა კამი	გადაიდო

შვედეთი

სუნდსვალი-ატვიდაბერგი	3:3
სირიანსკა-იურგორდენი	1:1
აიკ-ჰაკენი	3:1
გეფლე-გაის	0:0
ელფსბორგი-ვიალბიუ	0:0
ნორჩოპინგი-კალმარი	2:1

ფინეთი

იარო-ჰაკა	1:0
მაერიეჰამნი-ვაასა	0:0
ინტერი-ჰიკ	2:0
იუვიასკიულა-ლაჰტი	3:1
მიუპა-კუოპიო	1:1

II დივიზიონი

ოულუ-პკ35	2:1
იიპო-ჰიფკ	5:2
კოტეპე-ვიიკინგიტი	0:4
როვანიემი-ოპს	3:0
სეინაიოენი-ჰამეენლინა	1:1

ირლანდიის თასი

ვესტმანაიეარი-რეიკიავიკი	1:2
ვიკინგური-გრინდავიკი	0:3
ტროტური-სელფოსი	3:0

ირლანდია

სლიგო-გრეი	1:1
შემროკი-სტ. პატსი	1:1
კორკი-გოჰემიანსი	1:1

II დივიზიონი

გალვეი-უეძსფორდი	2:2
ლონგფორდი-ეთლონი	0:0
ფინ ჰარპსი-მერვუ	3:2

ბელარუსი

შახტიორი-ბატე	1:1
ტორპედო-დინამო (მრ)	1:0
ნაფტანი-ბელშინა	3:0
გომელი-მინსკი	2:2
დინამო (მნ)-ნემანი	1:1

ლატვია

დაუგავა რიგა-გულბენე	2:2
დაუგავა-ვენტსპილსი	3:0

ნლრეანა

ოლიმპია-მარიბორი	1:2

ბრაზილია

ბოტაფოგო-ბაია	3:0
ინტერნასიონალი-კრუზეირო	2:1
ატ. გოიანენშე-ნაუტიკო	0:1
ფიგეირენსე-ვასკო	1:1
ფლუმინენსე-ფლამენგო	1:0
სანტოსი-გრემიო	4:2
სან პაულუ-კორიტიბა	3:1

ჩილე

ლა სერენა-რეინჯერსი	1:1
უნ. ესპანიოლა-იტალიანო	3:3
უნ. კონსეპსიონი-ლა კალერა	0:0
ს. უონდერერსი-უაჩიპატო	1:1
სან ფელიპე-კობრესალი	0:0
დეპ. იკიკე-კოლო კოლო	0:1

ეკვადორი

დეპ. კიტო-დეპ. მაკარა	3:0
ტეძ. უნივერსიტ.-ელ ნასიონალი	1:2
ლდუ დე კიტო-მანტა	2:0
დეპ. კუენკა-ბარსელონა	1:0
ეგელეკი-ოლვედო	5:0
ლიგა დე ლოხა-ინდეპენდიენტე	0:0

პარაგვაი

ნასიონალი-ლუკენო	2:1
გუარანი-სერო პორტენიო	0:0
ლიგერტადი-რუბიო ნუ	1:0
სოლ დე ამერიკა-დეპ. კარაპეგუა	1:0
ოლიმპია-სერო პორტენიო	1:2
ტაკუარი-ინდეპენდიენტე	1:1

პერუ

კოზრესოლი-უნ. პერუ	1:1
სპორტ გოისი-სპორტი	2:0
ალ. ლიმა-ველგარი	0:0
სპ. კრისტალი-უნ. სან მარტინი	4:1
სენსიანო-სესარ ვალეიხო	2:0
ინტი გასი-უ. კომერსიო	0:0

იაპონია

საპორო-ნიიგატა	0:1
ურავა-ტოსუ	4:3
შიმიცუ-კავასაკი	0:0
ტოკიო-გამბა	3:2
კაშიმა-ომიია	1:0
იოკოჰამა-სერეზო	1:1
კაშივა-ნაგოია	1:2
ჰიროშიმა-ივატა	2:0
კობე-ვეგალტა	0:1

აშშ

კანზასი-ჰიუსტონი	0:0
სოლტ ლეიკი-პორტლენდი	3:0
დალასი-სან ხოსე	0:0
ჩივასი-ვანკუვერი	0:0
სიეტლი-კოლორადო	2:1
ჩიკაგო-ლოს ანჯელესი	0:2
ფილადელფია-ტორონტო	3:0

● TV პროგრამა

9 ივლისი. ორშაბათი

GMG–ფეხბურთი

10:00 იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. მილანი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. კიოლნი-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ჩეზენა-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-აიაჩო.
18:00 საფეხბურთო პროგრამა – გოლი.
20:00 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. ბარსელონა.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ლივერპული.

GMG–სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-ბოსტონი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა. იუვენტუსი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-იტალია.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. ფინალი. სერენა უილიამსი-აგნიეშკა რადვანკა. ლონდონი. ინგლისი.
23:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ნიუ იორკი-ბოსტონი.

GMG–სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცები. ფინალი. როჯერ ფედერერი-ენდი მიურეი. ლონდონი. ინგლისი.
13:30 სპორტ-NEWS.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიქსტი. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.
17:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. მიმოხილვა.
18:00 სპორტ-NEWS.
18:30 კალათბურთი. ევროლიგა. გალათასარაი-ბარსელონა.
20:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. კაცების წყვილები. ფინალი. ლონდონი. ინგლისი.

ამინდის პროგნოზი

თბილისი	20	28	(მცირე წვიმა)
ქუთაისი	17	28	(მცირე წვიმა)
ბათუმი	17	25	(მცირე წვიმა)
ფოთი	17	28	(მცირე წვიმა)
ზუგდიდი	16	27	(მცირე წვიმა)
გორი	16	26	(მცირე წვიმა)
თელავი	20	27	(მცირე წვიმა)
სიღნაღი	19	26	(მცირე წვიმა)
ძოგულეთი	15	26	(მცირე წვიმა)
ბაკურიანი	11	18	(მცირე წვიმა)
ბორჯომი	14	26	(მცირე წვიმა)
მესტია	11	24	(მცირე წვიმა)

ვალუტის კურსი

1 ევრო	2.0395
1 ამერიკული დოლარი	1.6473
1 ბრიტანული ფუნტი	2.5604
100 რუსული რუბლი	5.0494

● მოტოგრანპრი. მსოფლიოს ჩემპიონატი

ჩემპიონის ბრაგედია

გერმანიის ზახსენრინგზე მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართა, რომელიც **კეისი სტოუნერის** პოულით დაიწყო და მისივე სავალალო შეცდომით დასრულდა.

დანი პედროსამ, რომელმაც კვალიფიკაციაში მესამე ადგილი დაიკავა, დამაჯერებელი სტარტი აიღო და შეავიწროვა სტოუნერი და **ბენ სპისი**. ასევე კარგი იყო პირველ მეტრებზე **ანდრეა დოვიციოზო**, რომელმაც სამი პოზიცია მოიგო, რის შემდეგაც პილოტებმა წინ ასეთი მიმდევრობით გააგრძელეს რბოლა: პედროსა, სტოუნერი, სპისი, **ლორენსო**, დოვიციოზო, **კრატჩლოუ, ბრადლი, ჰეიდენი, როსი**...

მეორე წრეზე სტოუნერმა დაიბრუნა ლიდერობა. რამდენიმე წრის შემდეგ, ხორხე ლორენსომ თავის თანაგუნდელს გაუსწრო და მესამე პოზიციაზე გადავიდა. უფრო მეტის გაკეთება მას არ შეეძლო, რადგან "ჰონდას" წევრებმა - სტოუნერმა და პედროსამ ძალიან გაზარდეს უპირატესობა კონკურენტებზე, სპისმა კი კიდევ ორი პოზიცია დაკარგა და მეექვსე ადგილამდე დაქვეითდა.

ამის შემდეგ, დიდი ხანი ტრასაზე საინტერესო არაფერი ხდებოდა. პედროსა აქტიურად უტევდა სტოუნერს და ფინიშამდე 12 წრით ადრე დანმ შეძლო წარმატებული მანევრის შესრულება და წინ გასვლა. ბოლო წრეზე კი დისტანციაზე ნამდვილი დრამა გათამაშდა: სტოუნერმა პედროსას გასწრება სცადა, მაგრამ ტრაექტორია ვერ გათვალა და ტრასიდან გადავარდა. პედროსა პირველი მივიდა ფინიშთან, მეორე იყო ლორენსო, მესამე ადგილი პოდიუმზე დოვიციოზოს ერგო.

დანი პედროსა

გერმანიის გრან-პრი

1. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 30 წრე; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - +14,996; 3. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - +20,669; 4. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - +20,740; 5. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა") - +27,893; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - +28,050; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - +28,246; 8. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა") - +28,447; 9. **ეექტორ ბარბერა** (ესპ, „დუკატი") - +29,053; 10. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - +29,226...

საერთო ჩათვლა

1. **ხორხე ლორენსო** (ესპ, „იამაჰა") - 160 ქულა; 2. **დანიელ პედროსა** (ესპ, „ჰონდა") - 146; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრა, „ჰონდა") - 140; 4. **ანდრეა დოვიციოზო** (იტა, „იამაჰა") - 92; 5. **კელ კრატჩლოუ** (ბრიტ, „იამაჰა") - 85; 6. **ვალენტინო როსი** (იტა, „დუკატი") - 71; 7. **ალვარო ბაუტისტა** (ესპ, „ჰონდა") - 67; 8. **ნიკი ჰეიდენი** (აშშ, „დუკატი") - 65; 9. **შტეფან ბრადლი** (გერ, „ჰონდა") - 62; 10. **ბენ სპისი** (აშშ, „იამაჰა") - 61.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი



კლიჩკოს ნოკაუტი

კლიჩკოს გასეირნება

უკრაინელ ჩემპიონს იოლი ნოკაუტი გამოუვიდა

როგორცმოსალოდნელი იყო, უკრაინელმა **ვლადიმირ კლიჩკომ** იოლად შეინარჩუნა სუპერმძიმე წონაში სამი საჩემპიონო ქამარი. ის კარიერაში მეორედ ხვდებოდა **ტონი ტომპსონს**. ამერიკელის თამამი დაპირებები ბრძოლის წინ, მხოლოდ დაპირებად დარჩა.

შვეიცარიის ქალაქ ბერნში გამართული ბრძოლა უკრაინელმა თავის სტილში დაიწყო – ის არ აპირებდა მოვლენების ფორსირებას და დაზვერვას ატარებდა. თუმცა იყო ერთი განსხვავება: ვლადიმირი უკვე პირველ რაუნდში იყენებდა მარჯვენა კროსს, რომელსაც, როგორც წესი, უფრო გვიანი რაუნდებისთვის ინახავს ხოლმე.

მეორე რაუნდიდან ცხადი გახდა, რომ ბრძოლისწინა პრესკონფერენციაზე ვლადიმირი სიტყვებს ჰაერში არ ისროდა, როცა ამბობდა – ბრძოლის ნაადრევად დასრულება მსურს, ოღონდ ამას ლამაზად გავაკეთებო. ამაზე მეტყველებდა მისი შემართება მეორე რაუნდიდან მოყოლებული, აგრეთვე "კლინწზე" უარის თქმა, რასაც ადრე უკრაინელი ხშირად იყენებდა.

მეორე რაუნდში ტომპსონი ორჯერ დაეცა რინგზე. პირველ შემთხვევაში მან უბრალოდ წონასწორობა ვერ შეინარჩუნა, მეორე ჯერზე კი მას ჩემპიონმა "გადაუარა". სწორედ აქ ჩანდა კოლოსალური განსხვავება სისწრაფეში. 41 წლის ამერიკელის დარტყმები სრულიად უხიფათო იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ტომპსონი უბრალოდ, მოვალეობას იხდიდა.

მესამე რაუნდიდან მოყოლებული, რეგულარულად აღწევდა მიზანს კლიჩკოს პირდაპირი დარტყმები. შესაძლოა, ეს შეტევები სიხშირით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ეფექტურობა ნამდვილად არ აკლდა.

მეოთხე რაუნდის წინ, ამერიკელის გუნდი მაქსიმალურად ცდილობდა დაერწმუნებინა პრეტენდენტი, რომ მას შეეძლო ღირსეულად ბრძოლა. შესაძლოა, ემოციათა ამგვარი გამოვლენა მესამე რაუნდის ბოლოს ტონის ლოკალური წარმატებით იყო გამოწვეული, როცა ამერიკელმა მარცხენათი "დაიჭირა" ჩემპიონი. დარტყმის ძალა კლიჩკოს ხელთათმანმა შეანელა, ამიტომაც არ იყო გამანადგურებელი ძალის. თუმცა ერთგვარი სიგნალი აღმოჩნდა უკრაინელისთვის.

მეხუთე რაუნდმა ვლადიმირის კარნახით ჩაიარა, რომელმაც სერიოზული უპირატესობა მოიპოვა. კლიჩკოს ჯები მოსვენებას არ აძლევდა ტომპსონს, რომელიც რაუნდის დასრულებამდე 19 წამით ადრე ნოკდაუნში აღმოჩნდა – მიზანს მიაღწია მარჯვენა პირდაპირმა დარტყმამ.

რაუნდის დარჩენილი ნაწილი ამერიკელმა კლინჩში გაატარა, უკვე შემდეგ რაუნდში კი ტონი ნოკაუტში აღმოჩნდა. ჩემპიონი აღარ აპირებდა ბრძოლის გაწელვას და პირველივე წამებიდან შეუტია. ბრძოლა ცალმხრივ ჩაგვრას დაემსგავსა, რამაც დააჩქარა შეხვედრის დასასრული. ვლადიმირს არ დასჭირვებია ბევრი აქცენტირებული დარტყმის შესრულება – ორივე ხელით რამდენიმე მოქნევაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ამერიკელი ნოკაუტში გაეშვა. ტომპსონმა ათ თვლამდე წამოდგომა შეძლო, მაგრამ ბრძოლის გაგრძელების სურვილი არ ჰქონდა. თანაც წონასწორობას ძლივს იკავებდა და მსაჯმაც ამ ცალმხრივი ბრძოლის შეწყვეტა ბრძანა.

ასე რომ, რევანში არ შედგა. ტომპსონს 2008 წელს გამართული ბრძოლის შემდეგ ბევრი არაფერი შეუძენია. კლიჩკომ კი თავისი საქმე უმაღლეს დონეზე შეასრულა და ახლა 14 ნოემბერს გამოჩნდება რინგზე, ოღონდ ჯერ მეტოქის ვინაობაა გასარკვევი.

● ფორმულა 1. ბრიტანეთის გრანპრი

უებერის მეორე გასრესა

რედ ბულის ავსტრალიელი პილოტი საჩემპიონო რბოლაში ჩაება

ბრიტანული ამინდის კაპრიზების შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი. შაბათს, კვალიფიკაციის დღეს, დილით მზიანი ამინდი იყო, მაგრამ საკვალიფიკაციო რბოლა წვიმიანი აღმოჩნდა და ის საათნახევრით შეწყდა კიდეც ტრასის დატბორვის გამო. პოული **ფერნანდო ალონსომ** მოიგო – პირველად 2010 წლის სინგაპურის რბოლის შემდეგ.

სინოპტიკოსთა პროგნოზების მიუხედავად, რბოლა სილვერსტოუნში მშრალ ამინდში დაიწყო – ალონსომ, **მარკ უებერმა** და **მიხაელ შუმახერმა** შეინარჩუნეს ლიდერის პოზიციები, იმ დროს, როცა მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში **ფელიპე მასამ სებასტიან ფეტელს** გაუსწრო, მათ უკან კი **პასტორ მალდონადომ კიმი რაიკონენი** ჩამოიტოვა უკან. თუმცა მეოთხე წრეზე ფინელს კონტრშეტევა გამოუვიდა და დაიბრუნა მეექვსე პოზიცია.

უკვე მეხუთე წრისთვის ალონსო 1.3 წამით დაშორდა უებერს, 10 წრის შემდეგ კი ესპანელის უპირატესობა ხუთ წამს შეადგენდა. შემდეგ წრეზე მასა მესამე პოზიციაზე გადავიდა – ბრაზილიელმა შუმახერს გაუსწრო. ამასობაში, ფეტელმა, მალდონადომ და **სერხიო პერესმა** ბოქსებში შეუხვიეს.

ბოქსებიდან გამოსვლის შემდეგ, პერესმა და მალდონადომ ტრასა ვერ გაიყვეს – ვენესუელელმა შიდა ტრაექტორია დაიჭირა, მის მანქანას ადგილი არ ეყო და "უილიამსი" "ზაუბერს" შეეჯახა.

მე-14 და მე-15 წრეებზე ბოქსებში შევიდნენ უებერი და ალონსო და ამით დასრულდა პიტსტოპების პირველი ტალღა. ტრასაზე დაბრუნების შემდეგ, ესპანელი ავსტრალიელს ისევ ხუთ წამს უგებდა, უებერის უკან სამი წამის ჩამორჩენით იყო ფეტელი, რომელმაც შეძლო ბოქსებიდან შუმახერისა და მასას გასწრება. რაიკონენმა შეინარჩუნა მეექვსე პოზიცია, ჰემილტონმა კი მეშვიდე პოზიციაზე შეძლო ასვლა.

24-ე წრეზე რაიკონენმა DRS-ის სისტემის დახმარებით გაუსწრო შუმახერს მეხუთე ადგილისთვის ბრძოლაში, რის შემდეგაც, მიხაელმა ჰემილტონიც გაატარა. სულ რაღაც ორი წრის შემდეგ, **რომენ გროსჟანმა** გახსნა პიტსტოპების მეორე სერია, რის შემდეგაც ჰემილტონი წავიდა ბოქსებისკენ.

39-ე წრეზე "უმოქმედო" გახდა საბურავების მეორე კომპლექტი **ნიკო როსბერგის** მანქანაზე, რის გამოც გერმანელმა ერთბაშად გაატარა ჰემილტონი და გროსჟანი და მე-13 პოზიციამდე დაეშვა. ახალი საბურავებით ლუისი დაეწია **ბატონს** და ჯენსონმაც გადაწყვიტა არ გაეფუჭებინა რბოლა პარტნიორისთვის და გაატარა თანაგუნდელი, თუმცა ამ მომენტში ლუისის გასწრება გროსჟანმა მოახერხა.

ერთი წრის შემდეგ ბოქსებისკენ გაემართა ფეტელი, კიდევ ორი წრის შემდეგ კი ახალი საბურავები მიიღო უებერმა. 37-ე წრეზე, ბოქსებში ბოლო გაჩერება ჰქონდა ლიდერ ფერნანდო ალონსოს. რბოლის დასკვნითი ნაწილის წინ, ესპანელი უებერს ოთხნახევარ წამს უგებდა. შემდეგ მოდიოდნენ ფეტელი, მასა, რაიკონენი, გროსჟანი და ჰემილტონი.

ალონსო რბოლას რბილი საბურავებით ამთავრებდა, იმ დროს, როცა "რედ ბულის" პილოტებმა "ჰარდით" გააგრძელეს ასპარეზობა. შედეგად, უფრო გვიანი პიტსტოპის მიუხედავად, ესპანელის ბოლიდზე მალე გაცვდა საბურავები – მე-40 წრიდან მოყოლებული, უებერი თანდათან ეწეოდა ლიდერს.

42-ე წრეზე უებერი ალონსოს უკვე სამი წამით ჩამორჩებოდა, რის შემდეგაც ის ყოველ წრეზე წამს უგებდა "ფერარის" პილოტს. რბოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდა 48-ე წრე, როცა ავსტრალიელმა DRS-ის გამოყენებით უკან ჩამოიტოვა ალონსო.

საბოლოოდ, უებერმა სეზონში მეორე და კარიერაში მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. ალონსომ ფინიშზე შეინარჩუნა ფეტელთან ორწამიანი უპირატესობა, სებასტიანი კი ბაჰრეინის გრანპრის შემდეგ (აპრილის ბოლოს), პირველად ავიდა პოდიუმზე.

საერთო ჩათვლაში ალონსოს უპირატესობა უებერთან 13 ქულამდე შემცირდა, 16 ქულა გახლავთ მოქმედი ჩემპიონის ფეტელის ჩამორჩენა. გენერალური კლასიფიკაციის პირველ ხუთეულში ვხედავთ ლუის ჰემილტონსა და კიმი რაიკონენს. კონსტრუქტორთა თასზე "რედ ბულის" უპირატესობა "ფერარისთან" 64 ქულამდე გაიზარდა.

ჩემპიონატის მეათე ეტაპი – გერმანიის გრანპრი 22 ივლისს "ჰოკენჰაირინგზე" გაიმართება.

ბრიტანეთის გრან-პრი. IX ეტაპი

სილვერსტოუნი (52 წრე, 306.198 კმ)

1(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია)	1:25.11,288 (2 პიტსტოპი)
2(1). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია)	+3,060 (2)
3(4). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია)	+4,836 (2)
4(5). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია)	+9,519 (2)
5(6). კიმი რაიკონენი (ლოტუსი, ფინეთი)	+10,314 (2)
6(10). რომენ გროსჟანი (ლოტუსი, საფრანგეთი)	+17,101 (2)
7(3). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია)	+29,153 (2)
8(8). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+36,463 (2)
9(15). გრუნო სენა (უილიამსი, ბრაზილია)	+43,347 (2)
10(18). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი)	+44,444 (2)
11(12). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია)	+45,370 (2)
12(9). ნიკო ჰიულკენბერგი (ფორს ინდია, გერმანია)	+47,856 (2)
13(14). დანიელ რიკარდო (ტორო როსო, ავსტრა)	+51,241 (2)
14(16). ჟან-ერიკ ვერნი (ტორო როსო, საფრანგეთი)	+53,313 (2)
15(13). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია)	+57,394 (2)
16(7). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა)	1 წრე (2)
17(20). ჰეიკი კოვალაინენი (კატერჰემი, ფინეთი)	1 წრე (2)
18(21). ტიმო გლოკი (მარუსია, გერმანია)	1 წრე (2)
19(24). შარლ პიკი (მარუსია, საფრანგეთი)	1 წრე (2)
20(22). პედრო დე ლა როსა (HRT, ესპანეთი)	2 წრე (1)
21(23). ნარაიან კართიკეიანი (HRT, ინდოეთი)	2 წრე (2)
22(17). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა)	40 წრე
23(11). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი)	49 წრე
24(19). ვიტალი პეტროვი (კატერჰემი, რუსეთი)	52 წრე

საერთო ჩათვლა

1. **ფერნანდო ალონსო** (ფერარი, იტალია) - 129 (2 მოგება); 2. **მარკ უებერი** (რედ ბული, ავსტრალია) - 116 (2); 3. **სებასტიან ფეტელი** (რედ ბული, გერმანია) - 100 (1); 4. **ლუის ჰემილტონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 92 (1); 5. **კიმი რაიკონენი** (ლოტუსი, ფინეთი) - 83; 6. **ნიკო როსბერგი** (მერსედესი, გერმანია) - 75 (1); 7. **რომენ გროსჟანი** (ლოტუსი, საფრანგეთი) - 61; 8. **ჯენსონ ბატონი** (მაკლარენი, ბრიტანეთი) - 50 (1); 9. **სერხიო პერესი** (ზაუბერი, მექსიკა) - 39; 10. **პასტორ მალდონადო** (უილიამსი, ვენესუელა) - 29 (1); 11. **პოლ დი რესტა** (ფორს ინდია, ბრიტანეთი) - 27; 12. **მიხაელ შუმახერი** (მერსედესი, გერმანია) - 23; 13. **ფელიპე მასა** (ფერარი, ბრაზილია) - 23; 14. **კამუი კობაიაში** (ზაუბერი, იაპონია) - 21; 15. **ბრუნო სენა** (უილიამსი, ბრაზილია) - 18; 16. **ნიკო ჰიულკენბერგი** (ფორს ინდია, გერმანია) - 17; 17. **ჟან-ერიკ ვერნი** (ტორო როსო, საფრანგეთი) - 4; 18. **დანიელ რიკარდო** (ტორო როსო, ავსტრა) - 2.

კონსტრუქტორთა თასი

1. **რედ ბული** - 216; 2. **ფერარი** - 152; 3. **ლოტუსი** - 144; 4. **მაკლარენი** - 142; 5. **მერსედესი** - 98; 6. **ზაუბერი** - 60; 7. **უილიამსი** - 47; 8. **ფორს ინდია** - 44; 9. **ტორო როსო** - 6.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

მარკ უებერი პოდიუმზე

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

9 772233 382000

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი*

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:10

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**